

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი

სისხლის სამართლის საქმეებზე

2008, # 12

კ ე რ ძ ო

ნ ა წ ი ლ ი

1. დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ
 - ადამიანის გატაცება
 - თავისუფლების უკანონო აღკვეთა
 - მძევლად ხელში ჩაგდება
 - წამება
 - წინასწარი შეცნობით, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შექმნა
2. ეკონომიკური დანაშაული
 - გამოძალვა
 - თაღლითობა (მცდელობა)
 - მითვისება ან გაფლანგვა

1. დანაშაული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების წინააღმდეგ

თავისუფლების უკანონო აღკვეთა; ადამიანის გატაცება

განჩინება

#2027-აპ

4 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),
- ლ. მურუსიძე,
- ი. ტყეშელაშვილი

ზუპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. ა-იანის ინტერესების დამცველი ადვოკატების - ე. ბ-იასა და ლ. გ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 11 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 6 მარტის განაჩენით:

დამტკიცდა 2007 წლის 26 თებერვალს პროკურორსა და განსასჯელ მ. ა-შვილს შორის დადებული საპროცესო შეთანხმება.

მ. ა-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით (2000 წლის 30 მაისის რედაქცია) 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 236-ე მუხლის პირველი ნაწილით (2006 წლის 25 ივლისის რედაქცია) - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილით (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია) - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა (ამ დანაშაულის ჩადენისათვის დაწესებული სასჯელის ზომის უმდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი), 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია), 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტით (2000 წლის 5 მაისის რედაქციით) - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა (ამ დანაშაულის ჩადენისათვის დაწესებული სასჯელის ზომის უმდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი), 344-ე მუხლის პირველი ნაწილით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა (ამ დანაშაულის ჩადენისათვის დაწესებული სასჯელის ზომის უმდაბლეს ზღვარზე ნაკლები სასჯელი), 362-ე მუხლის პირველი ნაწილით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია) - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საბოლოოდ მ. ა-შვილს სასჯელის ზომად განესაზღვრა 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მსჯავრდებულ მ. ა-შვილს სასჯელის მოხდა დაეწყო 2006 წლის 17 თებერვლიდან.

დ. ა-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია), 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ“, „გ“, „დ“ ქვეპუნქტებით (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, 181-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებით (2000 წლის 30 მაისის რედაქცია) - 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, 184-ე მუხლის მესამე ნაწილით (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) - 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, 187-ე მუხლის პირველი ნაწილით (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია) - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია) - 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, 109-ე მუხლის „თ“, „ლ“ ქვეპუნქტებით (2000 წლის 30 მაისის რედაქცია) - 14 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის მოქმედი რედაქციის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასჯელები შეიკრიბა და, საქართველოს სსკ-ის 2000 წლის 5 მაისის რედაქციის 59-ე მუხლის მესამე ნაწილის მოთხოვნათა მხედველობაში მიღებით, დ. ა-იანს საბოლოოდ სასჯელის ზომად განესაზღვრა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა.

დ. ა-იანს პატიმრობაში ყოფნის განვლილი პერიოდი, მათ შორის, შვეიცარიის კონფედერაციაში საექსტრადიციო პატიმრობაში ყოფნის პერიოდი, ჩათვალა სასჯელის მოხდაში და სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან - 2006 წლის 10 თებერვლიდან.

განაჩენით მსჯავრდებულების - მ. ა-შვილისა და დ. ა-იანის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2000-2001 წლებში ქ. თბილისში მცხოვრებმა დ. ა-იანმა, მ. ა-შვილმა, თ. გ-მემ და ლ. ც-მემ ჩამოაყალიბეს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი, ისინი შეკავშირდნენ მძიმე დანაშაულების ჩასადენად.

2001 წლის მაისში, აღნიშნული ჯგუფის წევრებმა გადაწყვიტეს დიდი ოდენობით თანხის გამოძალვის მიზნით, კ. კ-ის უმცროსი ძმის - ლ. კ-ის გატაცება. მათ დააწესეს თვალთვალი ლ. კ-ის გადაადგილებაზე, მისი გატაცებისათვის ხელსაყრელი პირობების შესაქმნელად.

2001 წლის 23 მაისს, დაახლოებით 11 საათზე, ლ. კ-მე მამიდის - რ. კ-ის საცხოვრებელი ბინიდან ტაქსით გაემგზავრა თბილისში, ლუბლიანას ქუჩაზე მდებარე რკინიგზის #2 საავადმყოფოში.

ტაქსიდან გამოსვლის შემდეგ, საავადმყოფოს ეზოს შესასვლელთან, მას დ. ა-იანის კუთვნილი თეთრი «ვაზ-2121» მარკის ავტომანქანა „ნივით“, დახვდნენ ლ. ც-მე, მ. ა-შვილი და დ. ა-იანი, რომლებმაც იგი ძალის გამოყენებით ჩასვეს ავტომანქანაში და გაიტაცეს. ლ. კ-მე თავდაპირველად გადაძალეს და თავისუფლება აღუკვეთეს დ. ა-იანის საცხოვრებელ სახლში - თბილისში, ... ქუჩა #13-ში და თავისუფლების სანაცვლოდ მოითხოვეს 600 000 აშშ დოლარის გადახდა. ვინაიდან ლ. კ-მემ ვერ შეძლო მითითებული თანხის გადახდა, შესთავაზეს, დაერეკა ძმასთან - კ. კ-ძესა და მამასთან - კა. კ-ძესთან, მაგრამ ლ. კ-მე მათ ვერ დაუკავშირდა. აღნიშნულის შემდეგ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებმა ლ. კ-ძეს დააწერიეს წერილი ოჯახის სახელზე, რათა მის გამოსასყიდად გადაეხდათ 600 000 აშშ დოლარი, წერილი დატოვეს თბილისში, ვაჟა-ფშაველას ძეგლთან და ამის შესახებ აცნობეს ლ. კ-ის მამიდას. მეორე დღეს დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს შეუერთდა თ. გ-მე, რომელიც მივიდა დ. ა-იანის საცხოვრებელ ბინაში, სადაც რამდენიმე დღის განმავლობაში გადაძალული ჰყავდათ ლ. კ-მე. დანაშაულებრივი ჯგუფის ოთხივე წევრმა გატაცებული ლ. კ-მე, კვალის აბნევის მიზნით, გადაიყვანა და თავისუფლება აღუკვეთა მ. ა-შვილის ბინაში - თბილისში, ... ბინა #65-ში. ბოროტმოქმედებმა წერილობითი და სატელეფონო კავშირები დაამყარეს ლ. კ-ის მამასთან - კა. კ-ძესთან და დათანხმდნენ თავდაპირველად მოთხოვნილი თანხის 65 000 აშშ დოლარამდე შემცირებას და გადახდის შემთხვევაში - ლ. კ-ის განთავისუფლებას.

აღნიშნული ფაქტის თაობაზე კა. კ-მემ განცხადებით მიმართა თბილისის პროკურატურას, რაც ცნობილი გახდა დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებისათვის.

დანაშაულის გამჟღავნებისა და მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შიშის გამო, დ. ა-იანმა, თ. გ-მემ და ლ. ც-მემ განზრახ მოკლეს ლ. კ-მე 2001 წლის 13 ივნისს თბილისში, ... მე-4 მიკრორაიონის პირველი კვარტლის მე-14 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებულ ხევში, სადაც მიატოვეს გარდაცვლილის გვამი.

გარდა აღნიშნულისა, 2001 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში დ. ა-იანი დანაშაულებრივად დაუკავშირდა ლ. ც-ძეს, მ. ა-შვილს, კ. თ-ძეს, ს. მ-ძეს, დ. თ-იას, ს. ქ-ძეს, კ. ა-ძეს და გამოძიებით დაუდგენელ პირს. ისინი შეთანხმდნენ, განეხორციელებინათ ყაჩაღური თავდასხმა თბილისი-სტამბოლის მიმართულებით მოძრავი ავტობუსის მგზავრებზე. მათ შეიმუშავეს თავდასხმის დეტალური გეგმა, გაინაწილეს როლები, კერძოდ, მ. ა-შვილს ყალბი პასპორტებით 2001 წლის 21 აგვისტოს უნდა შეეძინა თბილისი-სტამბოლის ავტობუსის ორი სამგზავრო ბილეთი, თვითონ გაჰყოლოდა ავტობუსს, ხოლო თბილისი-სენაკის გზატკეცილის ზესტაფონის რაიონის მონაკვეთში, მეორე მგზავრის ამოყვანის მოტივით, გაეჩერებინა ავტობუსი, სადაც, მათივე გეგმით, უნდა მომხდარიყო ყაჩაღური თავდასხმა. დ. ა-იანს იმავე დღეს თბილისის რკინიგზის სადგურში ს. მ-ძესთან, კ. თ-ძესა და დ. თ-იასთან ერთად უნდა დაეჭირავენინა მიკროავტობუსი, რომლითაც გაემგზავრებოდნენ ზესტაფონის მიმართულებით. ხარაგაულის გადასახვევთან მათ უნდა დალოდებოდნენ ს. ქ-მე და ლ. ც-მე, ხოლო სოფელ შორაპნამდე მძღოლს ცენტრალური გზიდან გადაახვევინებდნენ, სადაც მათ შეუერთდებოდა კ. ა-მე თავის მეგობართან ერთად, რომლებიც თან იქონიებდნენ ავტომატურ ცეცხლსასროლ იარაღს. გაიტაცებდნენ რა დაჭირავებულ მიკროავტობუსს, აღნიშნული ტრანსპორტით დაელოდებოდნენ დათქმულ ადგილას თბილისიდან მომავალ ავტობუსს, გზის ამ მონაკვეთზე მ. ა-შვილი გააჩერებდა ავტობუსს, რის შემდეგაც მის მგზავრებზე განახორციელებდნენ ყაჩაღურ თავდასხმას.

წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, მ. ა-შვილმა ყალბი პასპორტების გამოყენებით, ორთაჭალის ავტოსადგურში, 2001 წლის 21 აგვისტოს შეიძინა თბილისი-სტამბოლის ავტობუსის ორი სამგზავრო ბილეთი და იმავე დღეს გაემგზავრა თურქეთის მოქალაქე ა. ბ-ის მართვის ქვეშე მყოფი „მერსედესის« მარკის ავტობუსით. მძღოლი გააფრთხილა, რომ მგზავრი, რომლისთვისაც მეორე ბილეთი ჰქონდა შეძენილი, დაელოდებოდა ზესტაფონის რაიონში. მ. ა-შვილს თან ჰქონდა ცეცხლსასროლი იარაღი, კერძოდ, პისტოლეტი.

იმავე დღეს, 6 საათზე, ქ. თბილისის ცენტრალური ვაგზლის მიმდებარე ტერიტორიაზე დ. ა-იანი, ს. მ-მე, დ. თ-ია და კ. თ-მე, შეიარაღებულნი სხვადასხვა სისტემის ცეცხლსასროლი იარაღით, თითქოსდა ქ. ქუთაისში გასამგზავრებლად, ჩასხდნენ წინასწარ დაჭირავებულ ნ. ქ-შვილის კუთვნილი „მერსედესის« მარკის მიკროავტობუსში. ნ. ქ-შვილს თან ახლდა მეზობელი ზ. ი-შვილი. ხარაგაულის გადასახვევთან შეუერთდათ ჯგუფის სხვა წევრები - ს. ქ-მე და ლ. ც-მე. ზესტაფონის რაიონის ტერიტორიაზე, სოფ. შორაპნამდე, მძღოლ ნ. ქ-შვილს სთხოვეს გზიდან მარჯვნივ გადაეხვია, სადაც მდინარე ძირულასთან დახვდნენ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებული კ. ა-მე და გამოძიებით დაუდგენელი პირი. მათ ნ. ქ-შვილს და ზ. ი-შვილს მიაყენეს ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა, შეუკრეს ხელ-ფეხი, მოათავსეს მიკროავტობუსის სალონის უკანა მხარეს, ბოლო სავარძელზე. ავტობუსზე თავდასხმის გაადვილების მიზნით, უკანონოდ აღუკვეთეს რა თავისუფლება, სიცოცლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით და მოკვლის მუქარით, მართლსაწინააღმდეგოდ

დაეუფლნენ და დროებით გამოსაყენებლად გაიტაცეს ნ. ქ-შვილის მართვის ქვეშ მყოფი მიკროავტობუსი.

დ. ა-იანმა, ლ. ც-მემ, ს. მ-მემ, დ. თ-იამ, ს. ქ-მემ, კ. ა-მემ, კ. თ-მემ და გამოძიებით დაუდგენელმა პირმა გატაცებული მიკროავტობუსი გააჩერეს თბილისი-სენაკის გზატკეცილის ზესტაფონის რაიონის სოფ. შორაპნის ცენტრის მიმდებარე ტერიტორიაზე და მობილური ტელეფონის მეშვეობით, ავტობუსში მყოფ მ. ა-შვილთან ერთად, აკონტროლებდნენ ავტობუსის მოძრაობას. დაახლოებით 12 საათზე მ. ა-შვილმა მგზავრის ამოყვანის მოტივით მძღოლს გააჩერებინა ავტობუსი. ისარგებლეს რა აღნიშნულით, ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებითა და პისტოლეტებით შეიარაღებულები თავს დაესხნენ ავტობუსს. მოსალოდნელი საფრთხის შემჩნევისას მძღოლმა ა. ბ-იმ, ბოროტმოქმედებისაგან თავის დასაღწევად დაძრა ავტობუსი, რომელსაც თავდამსხმელები დაედევნენ გატაცებული მიკროავტობუსით, გადაუსწრეს და მასზე შეჯახებით შეაჩერეს, შემდეგ შეიჭრნენ გაჩერებული ავტობუსის სალონში. მძღოლს მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა, ავტობუსი გაიტაცეს სოფ. ფუთის მიმართულელებით, სადაც დაუსახლებელ ადგილას მძღოლებისა და მგზავრების მიმართ ცეცხლსასროლი იარაღის დემონსტრირებითა და მოღერებით, რასაც თან ერთვოდა ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის გამოყენების მუქარა, მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრეს მათი კუთვნილი ქონება, კერძოდ: ა. ბ-ის კუთვნილი 6200 აშშ დოლარი, მისი ძმის - ა. უ-ის კუთვნილი 5000 აშშ დოლარი. მგზავრების - მ. მ-ოვის კუთვნილი 2900 აშშ დოლარი, დ. მ-უვის კუთვნილი 4000 აშშ დოლარი, ჯ. ი-ოვის კუთვნილი 7800 აშშ დოლარი და 35 ლარი, ა. მ-ოვას კუთვნილი 4300 აშშ დოლარი და 800 ლარი, ოქროს 30-გრამიანი სამაჯური, ღირებული 300 აშშ დოლარად, ოქროს 5-გრამიანი ბეჭედი ღირებული 100 აშშ დოლარად, ს. გ-ავას კუთვნილი 4000 აშშ დოლარი, ლ. ს-შვილის კუთვნილი 150 აშშ დოლარი, რ. ს-ოვის კუთვნილი 35 ლარი, ნ. შ-ოვის კუთვნილი 6500 აშშ დოლარი და 80 ლარი, ა. ჯ-ოვის კუთვნილი 2500 აშშ დოლარი, ნ. პ-იანის კუთვნილი 1500 აშშ დოლარი, თ. კ-ის კუთვნილი 9000 აშშ დოლარი, ე. ს-შვილის კუთვნილი 5500 აშშ დოლარი, ა. მ-ოვის კუთვნილი 8800 აშშ დოლარი, მ. ა-ევის კუთვნილი 6500 აშშ დოლარი და 400 ლარი, ჯ. ს-ევის კუთვნილი 3500 აშშ დოლარი, მ. თ-შვილის კუთვნილი 4770 აშშ დოლარი, ლ. ხ-ანის კუთვნილი 800 აშშ დოლარი, დ. ყ-შვილის კუთვნილი 1900 აშშ დოლარი და 60 ლარი და მიიმალნენ შემთხვევის ადგილიდან. გატაცებული 112 580 აშშ დოლარი, 1385 ლარი, 450 აშშ დოლარად ღირებული ოქროს ნივთები ურთიერთშორის გაინაწილეს. ავტომანქანის განზრახ დაზიანებით ნ. ქ-შვილს მიადგა 700 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

გარდა აღნიშნულისა, 2001 წლის 5 დეკემბერს ქ. თბილისში დ. ა-იანი დანაშაულებრივად დაუკავშირდა კ. თ-მეს, რომელმაც შესთავაზა ლ. ც-მესთან, ი. ლ-აჩთან და გამოძიებით დაუდგენელ ოთხ პირთან ერთად, დიდი ოდენობის ნივთის დაუფლების მიზნით, განეხორციელებინათ ყაჩაღური თავდასხმა ქ. გორში, ... მცხოვრებ ჯ. გ-შვილის საცხოვრებელ ბინაზე, რაზეც შეთანხმდნენ. მათ წინასწარ შეიმუშავეს დანაშაულის ჩადენის დეტალური გეგმა, განაწილდა როლები, რომლის მიხედვით, ი. ლ-აჩი, რომელიც იყო ჯ. გ-შვილის ნათესავი, უნდა მისულიყო მასთან ბინაში ოქროს სამკაულის მიყიდვის მოტივით და მობილური ტელეფონით მიეწოდებინა ინფორმაცია ჯგუფის წევრებისათვის ბინაში არსებული სიტუაციის შესახებ. კ. თ-მეს უნდა უზრუნველყო მათი ტრანსპორტით გადაადგილება. მეორე დღეს იგი თავისი მეგობრის - კ. გ-იას კუთვნილი ლურჯი ფერის ვაზ-21099 მარკის ავტომანქანით მივიდა ქ. თბილისში, დ. ა-იანის საცხოვრებელ ბინასთან, საიდანაც იმავე ავტომანქანით დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები - დ. ა-იანი, ლ. ც-მე, კ. თ-მე და გამოძიებით დაუდგენელი ორი პირი ჩავიდნენ ქ. გორში, სადაც მათ თეთრი ვაზ-2106 მარკის ავტომანქანით დახვდათ ასევე გამოძიებით დაუდგენელი ორი პირი. წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, იმავე დღეს, დაახლოებით 18 საათზე, ი. ლ-აჩი ოქროს სამკაულის გაყიდვის საბაბით მივიდა ჯ. გ-შვილის ბინაში, საიდანაც მობილური ტელეფონით დაუკავშირდა დ. ა-იანს და აცნობა ოჯახის წევრების ბინიდან გამოსვლის შესახებ. ი. ლ-აჩის მიერ მიწოდებული მორიგი ინფორმაციის შემდეგ, ყაჩაღური ჯგუფის წევრებმა ჩათვალეს რა სიტუაცია თავდასხმისათვის ხელსაყრელად, ცეცხლსასროლი იარაღით შეიარაღებულნი, თავს დაესხნენ ბინიდან გამოსულ ძმებს - ლ. და დ. გ-შვილებს.

ამ უკანასკნელს თავში იარაღის ტარის ჩარტყმით მიაყენეს სხეულის მსუბუქი ხარისხის დაზიანება და ძირს დააწვინეს. გამოძიებით დაუდგენელი ერთ-ერთი ბოროტმოქმედი დარჩა მათთან, ხოლო ლ. ც-მე, კ. თ-მესთან და გამოძიებით დაუდგენელ პირთან ერთად, შეიჭრა მისაღებ ოთახში, სადაც დიასახლისი მ. გ-აია, ნათესავები - ქ. რ-მე და ზ. ქ-მე იარაღის მუქარით აიძულეს არ გაეწიათ წინააღმდეგობა. ამის შემდეგ კ. თ-მე ავიდა მეორე სართულზე, საძინებელ ოთახში და იქ მყოფ ჯ. გ-შვილისაგან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით, გაიტაცეს: „ტტ-ს“ სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი ღირებული 500 აშშ დოლარად, აგრეთვე ფული - 1700 ლარის ოდენობით, „ნოკიას“ სისტემის მობილური ტელეფონი ღირებული 100 აშშ დოლარად, ოქროს სამკაულები, კერძოდ: ბრილიანტის თვლებით გაწყობილი ოქროს „ტროიკა“, ღირებული 1000 აშშ დოლარად, ბრილიანტის თვლებით გაწყობილი ოქროს „ტროიკა“ ღირებული 1000 აშშ დოლარად, ზურმუხტის თვლით გაწყობილი ოქროს „ტროიკა“ ღირებული 1000 აშშ დოლარად, საფირის თვლით გაწყობილი ოქროს ტროიკა, ღირებული 700 აშშ დოლარად, ძველებული პლატინის საყურე, ბრილიანტის თვლებით გაწყობილი ღირებული 500 აშშ დოლარად, ორი წყვილი კამეის „ტროიკა“, ორივე ღირებული 500 აშშ დოლარად, ბრილიანტის ბეჭედი „ტულპანი“ ღირებული 2500 აშშ

დოლარად, ბრილიანტის ბეჭედი „ტულპანი» ღირებული 2500 აშშ დოლარად, ბრილიანტის ბეჭედი «ტულპანი», ღირებული 500 აშშ დოლარად, ბრილიანტის ბეჭედი «ტულპანი», ღირებული 300 აშშ დოლარად, ბრილიანტის ბეჭედი ღირებული 500 აშშ დოლარად, საფირის და ბრილიანტის თვლებით გაწყობილი ოქროს ბეჭედი ღირებული 800 აშშ დოლარად, ბრილიანტის თვლებით გაწყობილი ოქროს ბეჭედი ზურმუხტის თვლით ღირებული 800 აშშ დოლარად, ოქროს ბეჭედი ხუთი ბრილიანტის თვლით ღირებული 250 აშშ დოლარად, მამაკაცის ოთხკუთხედი ფორმის ბრილიანტის ბეჭედი ღირებული 200 აშშ დოლარად, ორი დაგრეხილი ბაჯაღლოს ბეჭედი საერთო ღირებულებით 550 აშშ დოლარი, ბრილიანტის თვლებით გაწყობილი ქალის სამაჯური, ღირებული 1500 აშშ დოლარად, ზურმუხტის თვლებით გაწყობილი ქალის სამაჯური, ღირებული 100 აშშ დოლარად, მამაკაცის სამი ოქროს სამაჯური, საერთო თანხით ღირებული 500 აშშ დოლარად, ქალის ორი ოქროს საათი ბრილიანტის თვლებით გაწყობილი, თავისივე ოქროს სამაჯურით საერთო თანხით ღირებული 800 აშშ დოლარად, ერთი ოქროსსამაჯურიანი ოქროს საათი, ღირებული 200 აშშ დოლარად, ბრილიანტის თვლებით გაწყობილი რომბის ფორმის ოქროს კულონი ღირებული 1500 აშშ დოლარად, ბრილიანტის თვლებით გაწყობილი გვირილის ფორმის ოქროსგულიანი კულონი, ღირებული 100 აშშ დოლარად, ოთხი ოვალური ფორმის ოქროს კულონი საერთო თანხით ღირებული 150 აშშ დოლარად, ზემოთ აღნიშნული ყველა კულონი იყო ოქროს ძეწკვზე და მათი საერთო ღირებულება შეადგენს 200 აშშ დოლარს, სამი გრებილი ოქროს ძეწკვი საერთო ღირებულებით 500 აშშ დოლარად, ერთი ლენტის ფორმის 50 გრამიანი ძეწკვი, ღირებული 300 აშშ დოლარად, ერთი ოქროს ე.წ. „არაბული ნაქსოვი» ძეწკვი, ღირებული 300 აშშ დოლარად, ერთი ოქროს ე.წ. „არაბული ნაქსოვი» ძეწკვი, ღირებული 300 აშშ დოლარად, სამი 10-10 გრამიანი ოქროს მონეტა, საერთო თანხით 300 აშშ დოლარად, მარგალიტის თვლებით გაწყობილი გულსაბნევი, ღირებული 70 აშშ დოლარად, ლურჯი თვლებით გაწყობილი ორი ოქროს ბეჭედი საერთო ღირებულებით 100 აშშ დოლარი, ორი ამოზრცული ფორმის ოქროს ბეჭედი საერთო თანხით 150 აშშ დოლარი, ორი ოვალური ფორმის ბრტყელი ბეჭედი საერთო თანხით 100 აშშ დოლარი, სამი წყვილი ოქროს საყურე საერთო თანხით 150 აშშ დოლარი, ერთი წყვილი მამაკაცის ოქროს „ზაპონკები», ღირებული 70 აშშ დოლარად, ორი ცალი ოქროს ჯვარი საერთო თანხით 30 აშშ დოლარი, ოვალური ფორმის ორი ცალი ოქროს ბეჭედი საერთო თანხით 100 აშშ დოლარი, ოთხი ოქროს ძეწკვი საერთო თანხით 100 აშშ დოლარი, აღნიშნული ოქროს სამკაულები ეყვო ხის კოლოფში ე.წ. „შკატულკაში», ღირებული 10 აშშ დოლარად, რის შემდგომ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრები მიიმალნენ შემთხვევის ადგილიდან, ხოლო გატაცებული თანხა და ნივთები ურთიერთშორის გაინაწილეს.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულ დ. ა-იანის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა - ე. ბ-იამ და ლ. გ-შვილმა. აპელანტები ითხოვდნენ დ. ა-იანის გამართლებასა და პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ გამოტანილი მთელი რიგი დადგენილებების გაუქმებას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 11 ოქტომბრის განაჩენით არ დაკმაყოფილდა სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 6 მარტის განაჩენი დარჩა უცვლელად, კერძოდ:

დ. ა-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია), 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ», „გ», „დ» ქვეპუნქტებით (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, 181-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა», „გ» ქვეპუნქტებით (2000 წლის 30 მაისის რედაქცია) - 5 წლით თავისუფლების აღკვეთა, 184-ე მუხლის მესამე ნაწილით (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) - 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, 187-ე მუხლის პირველი ნაწილით (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია) - 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა» ქვეპუნქტით (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია) - 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, 109-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მეორე ნაწილის «ე» ქვეპუნქტით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია, მუხლის ძველი რედაქციით განსაზღვრული სასჯელის მინიმუმის გათვალისწინებით) - 14 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საქართველოს სსკ-ის მოქმედი რედაქციის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სასჯელები შეიკრიბა და, საქართველოს სსკ-ის 2000 წლის 5 მაისის რედაქციის 59-ე მუხლის მესამე ნაწილის მოთხოვნათა მხედველობაში მიღებით, დ. ა-იანს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვრა 25 წლით თავისუფლების აღკვეთა.

დ. ა-იანს პატიმრობაში ყოფნის განვლილი პერიოდი, მათ შორის, შვეიცარიის კონფედერაციაში საექსტრადიციო პატიმრობაში ყოფნის პერიოდი, ჩათვალა სასჯელის მოხდაში და სასჯელის მოხდის ათვლა დაეწყო დაკავების მომენტიდან - 2006 წლის 10 თებერვლიდან.

მსჯავრდებულ დ. ა-იანის ინტერესების დამცველი ადვოკატები - ე. ბ-ია და ლ. გ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვენ განაჩენის გაუქმებას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი, არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ნორმათა მოთხოვნებს, არ ემყარება უტყუარ მტკიცებულებებს; მოცემულ საქმეზე დარღვეულია სისხლის სამართლის საპროცესო კანონი და არასწორადაა გამოყენებული სისხლის

სამართლის მატერიალური სამართლის კანონი. კასატორები ასაჩივრებენ ასევე შემდეგ დადგენილებებს: 1) 2007 წლის 2 ივლისს სააპელაციო სასამართლოში დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა საქართველოს სსკ-ის 468-ე მუხლის საფუძველზე დამატებითი მოწმეებისა და მტკიცებულებების გამოთხოვის თაობაზე; 2) 2007 წლის 10 ივლისს დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა დოკუმენტების გამოთხოვისა და სისხლის სამართლის საქმეზე ახალი მტკიცებულებების დართვის მოთხოვნით; 3) 2007 წლის 24 სექტემბერს დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობა გ. წაქაძის დავითხვის თაობაზე; 4) 2007 წლის 8 სექტემბერს დაცვის მხარემ დააყენა შუამდგომლობები მტკიცებულებათა გამოქვეყნებისა და გამოკვლევის შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ უსაფუძვლოა საჩივრის მტკიცება იმის შესახებ, რომ დ. ა-იანს არ ჩაუდენია მასზე ბრალად შერაცხული დანაშაულებრივი ქმედებები.

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ: მსჯავრდებულ მ. ა-შვილის ჩვენებებით, დაზარალებულების - კ. კ-ძის, ლ. ს-შვილის, მ. მ-ოვის, ნ. კ-იანის, ა. ჯ-ოვის, ე. ს-შვილის, ჯ. ი-ოვის, ნ. შ-ოვის, ნ. ქ-შვილის, ი. ა-კაიას, ჯ. გ-შვილის, დ. გ-შვილის, ლ. გ-შვილის, მ. გ-აიას, ზ. ქ-ძის, ქ. რ-ძისა და სხვათა ჩვენებებით, მოწმეების - რ. კ-ძის, ყ. ნ-ელის, გ. ო-შვილის, ლ. ო-შვილის, ი. ლ-აჩის, ე. ს-შვილის ჩვენებებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, ჰაზიდოსკოპიური, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზების დასკვნებით, აშშ-ს იუსტიციის სამინისტროს გამოძიების ფედერალურ ბიუროსა და უკრაინის შს სამინისტროს სამეცნიერო-კვლევით საექსპერტო კრიმინალისტიკურ ცენტრში დნმ-ზე ჩატარებული ბიოლოგიური ექსპერტიზების დასკვნებითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით დ. ა-იანის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედებათა ჩადენა დადასტურებულია.

საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება გასაჩივრებული განაჩენისა და დადგენილებების გაუქმებას.

საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სასამართლომ გაითვალისწინა მსჯავრდებულის პიროვნება, ის, რომ დ. ა-იანს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები არ გააჩნია და დაუნიშნა მისი ქმედებისა და პიროვნების შესაბამისი სამართლიანი სასჯელი.

ამასთან, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებული დ. ა-იანი უნდა გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელის - 2 წლით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისაგან. მსჯავრდებულ დ. ა-იანს საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია), 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ», „გ», „დ» ქვეპუნქტებით (2000 წლის 5 მაისის რედაქცია), 181-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა», „გ» ქვეპუნქტებით (2000 წლის 30 მაისის რედაქცია), 184-ე მუხლის მესამე ნაწილით (2000 წლის 5 მაისის რედაქცია), 187-ე მუხლის პირველი ნაწილით (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია), 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა» ქვეპუნქტით (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია), 109-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მეორე ნაწილის «ე» ქვეპუნქტით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია, მუხლის ძველი რედაქციით განსაზღვრული სასჯელის მინიმუმის გათვალისწინებით) საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 25 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 11 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

«ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე მსჯავრდებული დ. ა-იანი გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით დანიშნული სასჯელის - 2 წლით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისაგან.

მსჯავრდებულ დ. ა-იანს საბოლოოდ საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია), 179-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ», „გ», „დ» ქვეპუნქტებით (2000 წლის 5 მაისის რედაქცია), 181-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა», „გ» ქვეპუნქტებით (2000 წლის 30 მაისის რედაქცია), 184-ე მუხლის მესამე ნაწილით (2000 წლის 5

მაისის რედაქცია), 187-ე მუხლის პირველი ნაწილით (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია), 143-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა» ქვეპუნქტით (2000 წლის 30 ივნისის რედაქცია), 109-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, ამავე მუხლის მეორე ნაწილის «ე» ქვეპუნქტით (2006 წლის 28 აპრილის რედაქცია, მუხლის ძველი რედაქციით განსაზღვრული სასჯელის მინიმუმის გათვალისწინებით) მოსახდელად განესაზღვროს 25 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავისუფლების უკანონო აღკვეთა

განჩინება

#121-აპ

23 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

ლ. მურუსიძე

განიხილა მსჯავრდებულ დ. ქ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 16 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 28 დეკემბრის განაჩენით დ. ქ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და «თ» ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) იმაში, რომ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობით ჩაიდინა თავისუფლების უკანონო აღკვეთა, რაც გამოიხატა შემდეგში:

დ. ქ-შვილმა და მისმა მეგობრებმა - გ. გ-მემ და თ. მ-შვილმა ანგარებით გადაწყვიტეს თავისუფლება აღეკვეთათ ქ. თბილისში, ... ბინა #27-ში მცხოვრებ ი. ჯ-იასთვის. 2006 წლის 20 აპრილს, დაახლოებით 18 საათზე, ხსენებული პირები «BMჭ»-ს მარკის ავტომანქანით მივიდნენ ი. ჯ-იას საცხოვრებელ კორპუსთან. დ. ქ-შვილი ავიდა ი. ჯ-იასთან სახლში, ჩამოიყვანა იგი დაბლა მისი ნების საწინააღმდეგოდ, ჩასვა მანქანაში, ჩაუკეტა კარი და თანამზრახველებთან ერთად წაიყვანა ცემის ქუჩაზე მდებარე ელექტროტექნიკური ქარხნის ტერიტორიაზე, შემდეგ კახოვკის ქუჩაზე მდებარე სასკოლო ინვენტარის ფაბრიკის ტერიტორიაზე, სადაც გ. გ-მე «თთ»-ს სისტემის პისტოლეტით დაემუქრა ი. ჯ-იას სიცოცხლის მოსპობით და სამივემ მისგან მოითხოვეს 500 აშშ დოლარი. მოთხოვნის შესრულებაზე უარის გამო დ. ქ-შვილმა თანამზრახველებთან ერთად უკანონოდ თავისუფლება აღკვეთილი ი. ჯ-ია წაიყვანა მუხათვერდის სასაფლაოს მიმართულებით. სასაფლაომდე მათ გადაუხვიეს გრუნტიან გზაზე და გაჩერდნენ გზიდან 20-25 მეტრში. მათ უბრძანეს ი. ჯ-იას მანქანიდან გადასვლა, წაეციეს იგი და სამივემ დაუწყეს ცემა. თ. მ-შვილმა პისტოლეტის ტარით გაუხეთქა თავი და დაუზიანა ცხვირი, რის შემდეგ იგი წამოაყენეს. თ. მ-შვილმა შესაშინებლად სამჯერ გაისროლა ი. ჯ-იას ფეხების მიმართულებით, რასაც თან სდევდა მოკვლის მუქარა და სამივეს მხრიდან კატეგორიული მოთხოვნა მიეტანა ფული - 500 აშშ დოლარი ან შესაბამისი ღირებულების ნარკოტიკული საშუალება. დ. ქ-შვილმა ი. ჯ-ია გაიყვანა მოშორებით მოლაპარაკების მიზნით, რა დროსაც ი. ჯ-იამ მოახერხა გაქცევა, მაგრამ იგი დაიჭირეს, ძალით ჩასვეს მანქანაში, გაუწმინდეს დასისხლიანებული სახე, დაჟინებით მოსთხოვეს 500 აშშ დოლარი, წინააღმდეგ შემთხვევაში - დაემუქრნენ მოკვლით, რის შემდეგ დააბრუნეს სახლში.

აღნიშნული ქმედებისათვის დ. ქ-შვილს მიესაჯა 3 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2006 წლის 3 მაისიდან.

პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა და მისმა ადვოკატმა ლ. ჯ-მემ და მოითხოვეს გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 16 ნოემბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებული დ. ქ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა, შემდეგ გარემოებათა გამო:

წარდგენილ ბრალდებაში დ. ქ-შვილი თავს დამნაშავედ არ ცნობს და აღნიშნავს, რომ დაზარალებულმა ი. ჯ-იამ წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენება, რის საფუძველზეც იგი დააკავეს, სასამართლოში ვერ დაადასტურა. სასამართლოსთვის მიცემული ჩვენება იყო წინააღმდეგობრივი და ორაზროვანი და ვერ ადასტურებდა დ. ქ-შვილის მონაწილეობას დანაშაულში. კასატორი არ უარყოფს

მასა და დაზარალებულს შორის კონფლიქტის არსებობას და აღნიშნავს, რომ მან მიაყენა ფიზიკური შეურაცხყოფა ი. ჯ-ის, თუმცა მათ შორის კონფლიქტში სხვა პირი არ ჩარეულა, რადგანაც დ. ქ-შვილი და ი. ჯ-ია ახლო ნათესავები არიან და ამის აუცილებლობა არ არსებობდა.

კასატორი ასევე აღნიშნავს, რომ გამომძიებლის მიერ მოპოვებული და საქმეზე დართული არცერთი დოკუმენტი არ შეიძლება მის საწინააღმდეგოდ იქნას გამოყენებული, რადგანაც ისინი არათუ უტყუარად, საერთოდ ვერ ადასტურებენ მისი მხრიდან დანაშაულის ჩადენის ფაქტს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მსჯავრდებული დ. ქ-შვილი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 16 ნოემბრის განაჩენის გაუქმებას და მის მიმართ საქმის შეწყვეტას.

საკასაციო პალატის სხდომაზე მსჯავრდებულმა დ. ქ-შვილმა განაცხადა, რომ წარდგენილ ბრალდებაში თავს მთლიანად ცნობს დამნაშავედ, აღიარებს და ინანიებს ჩადენილ ქმედებას. მან დააზუსტა თავისი საკასაციო საჩივრის მოთხოვნა და იშუამდგომლა მისთვის დანიშნული სასჯელის შემსუბუქების შესახებ.

სახელმწიფო ბრალდებელმა ლ. ყ-იანმა მხარი დაუჭირა კასატორის მოთხოვნას და იმის გათვალისწინებით, რომ დ. ქ-შვილმა წარდგენილ ბრალდებაში თავი მთლიანად ცნო დამნაშავედ, აღიარა და მოინანია ჩადენილი ქმედება, იშუამდგომლა მსჯავრდებულისათვის დანიშნული სასჯელის 6 თვით შემსუბუქების შესახებ.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, მოისმინა მხარეთა მოსაზრება, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნევს, რომ იგი უნდა დაკმაყოფილდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

დ. ქ-შვილის მიერ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და «თ» ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) გათვალისწინებული ქმედების ჩადენა უტყუარადაა და-დასტურებული საქმეში არსებული მასალებით, მათ შორის დაზარალებულ ი. ჯ-ის ჩვენებით და ამ ჩვენების ადგილზე შემოწმების ოქმით, მოწმე თამარ ჯ-ის ჩვენებით, სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნით. აღნიშნული მტკიცებულებები სააპელაციო პალატამ სათანადოდ შეაფასა და მსჯავრდებულის ქმედება სწორად დააკვალიფიცირა.

საკასაციო პალატა მხედველობაში იღებს იმას, რომ მსჯავრდებულს პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოება არ გააჩნია, იგი არ არის ნასამართლევი, აღიარებს და ინანიებს ჩადენილ დანაშაულს.

აღნიშნულის გათვალისწინებით პალატა მიიჩნევს, რომ დ. ქ-შვილს უნდა შეუმსუბუქდეს სასჯელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ დ. ქ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 16 ნოემბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ - დ. ქ-შვილს საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» და «თ» ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) გათვალისწინებული ქმედების ჩადენისათვის დანიშნული სასჯელი - 3 წლით და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა შეუმცირდეს 6 თვით და საბოლოოდ განესაზღვროს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თავისუფლების უკანონო აღკვეთა

განჩინება

#2118-აპ

7 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

მ. ოშარელი (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა ქ. თბილისის პროკურატურის განყოფილების პროკურორ ს. ჯ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 30 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საბრალდებო დასკვნით დ. ხ-ელს, ნ. შ-ძეს, ე. შ-ძეს ბრალი დაედოთ საქართველოს სსკ-ის 144-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «გ», «ვ», «ი» ქვეპუნქტებით, 236-ე მუხლის პირველი, მეორე ნაწილებით, ხოლო მ. გ-შვილს სსკ-ის 375-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში, რაც გამოიხატა შემდეგში:

დ. ხ-ელმა, ნ. შ-ძემ და ე. შ-ძემ გამოძიებით დაუდგენელ პირთან წინასწარი შეთანხმებით, ფულის გამოძალგის მიზნით, განიზრახეს მძევლად ხელში ჩაეგდოთ ძმები - კა. და კო. კ-ძეები. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, ზემოაღნიშნულ პირებთან ერთად, მ. გ-შვილის კუთვნილი ავტომანქანა «ვაზ 2109»-ით, რომელსაც მ. გ-შვილი მართავდა. 2006 წლის 7 მარტს, დაახლოებით 19.30 საათზე, მივიდნენ თბილისში, ... დასახლების 1 მ\რ-ის ტერიტორიაზე, საიდანაც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის მუქარით, ცეცხლსასროლი იარაღების გამოყენებით, გაიტაცეს კა. კ-ძე, ხოლო შემდეგ, იმავე დღეს - მისი ძმა - კო. კ-ძე, რომლებიც მიიყვანეს მათ მიერ ნაქირავებ ბინაში, მდებარე თბილისში, ... ბ. #21-ში, სადაც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ძალადობის მუქარით გათავისუფლების სანაცვლოდ მოსთხოვეს 3500 აშშ დოლარის გადახდა. ამ მიზნით კო. კ-ძე ე. შ-ძის მეთვალყურეობის ქვეშ დატოვეს მითითებულ ბინაში, ხოლო კა. კ-ძე ნ. შ-ძემ, დ. ხ-ელმა და გამოძიებით დაუდგენელმა პირმა მ. გ-შვილის მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანით იძულებით წაიყვანეს ქ. ხაშურში, საიდანაც ჩამოიყვანეს ამ უკანასკნელის კუთვნილი ავტომანქანა «გოლფ-3», რომელიც გადამალეს ... I და II მიკრორაიონებს შორის მდებარე ავტოსადგომზე. 2006 წლის მარტში, დაახლოებით 23 საათზე, მათ გაათავისუფლეს კა. და კო. კ-ძეები იმ პირობით, რომ ისინი გადაუხდიდნენ 3500 აშშ დოლარს, რის შემდეგაც დაუბრუნებდნენ ზემოხსენებულ ავტომანქანას.

2006 წლის 7 მარტს, დაახლოებით 19.00 საათზე, მ. გ-შვილი თავისი კუთვნილი ავტომანქანით «ვაზ-2109», იმყოფებოდა ქ. თბილისში, მეტროს სადგურ «...» მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც ავტომანქანაში ჩაუსხდნენ ნაცნობები - ნ. შ-ძე, ე. შ-ძე, დ. ხ-ელი და გამოძიებით დაუდგენელი პირი, რომლებიც აიყვანა ქ. თბილისში, ...-ში მდებარე ტერიტორიაზე, სადაც მათ ცეცხლსასროლი იარაღების გამოყენებით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის მუქარით, ჩასვეს ავტომანქანაში და გაიტაცეს კა. კ-ძე, რომელსაც თავზე ჩამოაცვეს შავი ფერის ნაქსოვი ნიღაბი და ისე აიყვანეს წინასწარ მომზადებულ, ნაქირავებ ბინაში, მდებარე ქ. თბილისში, ... ბინა #21-ში. დაახლოებით 30 წუთის შემდეგ მისი მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანით ნ. შ-ძემ, დ. ხ-ელმა და გამოძიებით დაუდგენელმა პირმა იმავე ტერიტორიიდან ანალოგიური ხერხით გაიტაცეს კა. კ-ძის ძმა, კო. კ-ძე, რომელიც ასევე მიიყვანეს ხსენებულ მისამართზე და ჯანმრთელობისა და სიცოცხლისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის მუქარით, გათავისუფლების სანაცვლოდ, მოსთხოვეს 3500 აშშ დოლარის გადახდა.

ამდენად, გახდა რა ცნობილი მ. გ-შვილისათვის ძმები კ-ძეების მძევლად ხელში ჩაგდების ფაქტი, მან არ განაცხადა მომხდარი დანაშაულის შესახებ სამართალდამცავ ორგანოებში, უფრო მეტიც: 2006 წლის 8 მარტს, დაახლოებით 12.00 საათზე, მ. გ-შვილმა მისივე ავტომანქანით ქ. ხაშურში ჩაიყვანა დაზარალებული კა. კ-ძე, ნ. შ-ძე, დ. ხ-ელი და გამოძიებით დაუდგენელი პირი. მან თავისი ავტომანქანით, ე.წ. «ბუქსირის» საშუალებით, კა. კ-ძის კუთვნილი ა/მანქანა «გოლფ-3», ხაშურიდან ჩამოიყვანა ქ. თბილისში.

2006 წლის 23 მარტს, გატარებული საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, მ. გ-შვილი დააკავეს ეჭვმიტანილის სახით ქ. თბილისის შს მთავარი სამმართველოს კრიმინალური პოლიციის სამმართველოს თანამშრომლებმა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2006 წლის 27 ოქტომბრის განაჩენით:

დ. ხ-ელი საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა.

დ. ხ-ელი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 144-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «გ», «ვ», «ი» ქვეპუნქტებით და მიესაჯა 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

ე. შ-ძე საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა.

ე. შ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 144-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «გ», «ვ», «ი» ქვეპუნქტებით და მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

ნ. შ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით 1 წლით თავისუფლების აღკვეთა, ამავე მუხლის მეორე ნაწილით - 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, 144-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «გ», «ვ», «ი» ქვეპუნქტებით - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

მ. გ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლით და მიესაჯა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა, რაც სსკ-ის 63-ე-64-ე მუხლების საფუძველზე ჩაეთვალა პირობით, 2 წლის გამოსაცდელი ვადით.

საქართველოს სსკ-ის 42-ე მუხლის მეხუთე ნაწილის თანახმად, მ. გ-შვილს დამატებით სასჯელად განესაზღვრა ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით.

აღნიშნულ განაჩენში თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 30 აპრილის განაჩენით შევიდა ცვლილება, კერძოდ:

დ. ხ-ელს, ე. შ-ძეს, ნ. შ-ძეს მოეხსნათ საქართველოს სსკ-ის 144-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «გ», «ვ», «ი» ქვეპუნქტებით წარდგენილი ბრალდება;

დ. ხ-ელის ქმედება გადაკვალიფიცირდა საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «გ», «თ» ქვეპუნქტებზე (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა;

ნ. შ-ძეს მოეხსნა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით წარდგენილი ბრალდება და იგი ამ ნაწილებში გამართლდა.

ნ. შ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «გ», «თ» ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა;

ე. შ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 143-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «გ», «თ» ქვეპუნქტებით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) და მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა;

მ. გ-შვილს მოეხსნა საქართველოს სსკ-ის 375-ე მუხლით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) წარდგენილი ბრალდება და იგი ამ ნაწილში გამართლდა.

მ. გ-შვილს განემარტა, რომ საქართველოს სსკ-ის 219-228-ე მუხლების თანახმად უფლება აქვს, მოითხოვოს ყველა სახის ზიანის ანაზღაურება.

თბილისის პროკურატურის განყოფილების პროკურორი ს. ჯ-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და საქმის დაბრუნებას ახალი სასამართლო განხილვისათვის იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უსამართლო; მძევლად ხელში ჩაგდებასა და თავისუფლების უკანონო აღკვეთას შორის ის განსხვავებაა, რომ ადამიანის თავისუფლების აღკვეთის მოტივი შეიძლება იყოს შურისძიება, ეჭვიანობა, ხულიგნური ქვენაგრძობა, სხვა დანაშაულის ჩადენისათვის ხელის შეწყობა, საქმიანი მოლაპარაკების ჩაშლა, ქორწინების მიზანი და სხვა, მაგრამ არა - ანგარება. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე მუხლის დისპოზიციამში პირდაპირაა მითითებული («ვ»-ქვეპუნქტი) «ჩადენილი ანგარებით», რაც არა აქვს 143-ე მუხლს. ხ-ელმა და ძმებმა შ-ძეებმა რომ კო. და კა. კ-ძეებს სწორედ ანგარების მიზნით შეუზღუდეს თავისუფლად გადაადგილების უფლება, უტყუარადაა დადგენილი საქმის მასალებით. დამნაშავეებმა ძმები კ-ძეები გაათავისუფლეს სწორედ იმ პირობით, რომ თავისუფლების სანაცვლოდ მათთვის უნდა მიეტანათ 3500 აშშ დოლარი. სწორედ ეს გახდა კა. კ-ძის მიერ პოლიციაში განცხადების შეტანის საფუძველი. ორგანიზაციის ან მესამე პირის მიმართ მოთხოვნის წაყენება არ უნდა იყოს განმსაზღვრელი მძევლად ხელში ჩაგდების კვალიფიკაციისათვის, ვინაიდან გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს იმ ფაქტს, რომ მოთხოვნა წაყენებულია პირადად გატაცებული პირის, თუ მისი ახლობლის ან ორგანიზაციის მიმართ. მთავარია, რომ გამტაცებლებს მძევლად ხელში აყვანილი ჰყავთ ადამიანები და მისი განთავისუფლების სანაცვლოდ ითხოვენ ფულად თანხას ან სხვა, ნების საწინააღმდეგო ქმედების შესრულებას ან შეუსრულებლობას. სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორცაა იძულება და გამოძალვა. აქ ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზეა პირისათვის თავისუფლების უკანონო შეზღუდვა და არ არსებობს მისი განთავისუფლების სანაცვლოდ მოთხოვნა, რომ გატაცებულების გათავისუფლება მოხდებოდა მხოლოდ გარკვეული ფულადი თანხის გადახდის შემდეგ. კონკრეტულ შემთხვევაში ძმები კ-ძეები გაათავისუფლეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც კა. კ-ძის კუთვნილი ავტომანქანა დაიტოვეს გარანტად, რომ ფულის - 3500 აშშ დოლარის მიტანის შემთხვევაში დაუბრუნებდნენ ავტომანქანას. ამდენად, მას მიაჩნია, რომ დ. ხ-ელის, ნ. და ე. შ-ძეების ქმედება საქართველოს სსკ-ის 144-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებაა.

რაც შეეხება ნ. შ-მის გამართლებას ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვა-ტარების ნაწილში, ამ შემთხვევაშიც სასამართლოს გადაწყვეტილება კასატორს მიაჩნია უკანონოდ, ვინაიდან ნ. შ-მეს რომ დანაშაულის ჩადენის დროს ხელში ეჭირა „მაკაროვის» ტიპის ცეცხლსასროლი იარაღი და ემუქრებოდა დაზარალებულებს, დადასტურებულია როგორც დაზარალებულების - კო. და კა. კ-ძეების, ასევე ამჟამად ბრალდებულ მ. გ-შვილის ჩვენებებითაც.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, კერძოდ, დაზარალებულების - კ. და კო. კ-ძეების ჩვენებებით, ფოტოსურათებით ამოცნობისა და მობილური ტელეფონების შესახებ მონაცემების ამოღების ოქმებით, ა/მანქანის ამოღების ოქმით, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და პირის ამოსაცნობად წარდგენის ოქმებით საკასაციო პალატა დადგინდად მიიჩნევს საბრალდებო დასკვნით, პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების განაჩენებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს, რომლებიც, ასევე, საკასაციო წესით მხარეებს სადავოდ არ მიაჩნიათ.

რაც შეეხება მსჯავრდებულების მიერ ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედების სამართლებრივ კვალიფიკაციას, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ, მსჯავრდებულების ქმედებები საქართველოს სსკ-ის 144-ე მუხლიდან გადააკვალიფიცირა რა მხოლოდ სსკ-ის 143-ე მუხლზე და სამართლებრივი შეფასების გარეშე დატოვა მსჯავრდებულების მხრიდან სწორედ ანგარების მიზნითა და მათთვის ფულის გამოძალვის მოთხოვნით დაზარალებულებისათვის თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტი, სწორად გამოიყენა სისხლის სამართლის მატერიალური და საპროცესო კანონი, კერძოდ:

საკასაციო პალატა ვერ დაეთანხმება საკასაციო საჩივრის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ მხოლოდ მესამე პირის ან ორგანიზაციისათვის მოთხოვნის წაყენების გარემოებები არ უნდა იყოს განმსაზღვრელი მძევლად ხელში ჩაგდების კვალიფიკაციისათვის, ვინაიდან გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს იმ ფაქტს, რომ მოთხოვნა წაყენებულია პირადად გატაცებული პირებისა თუ მისი ახლობლების ან ორგანიზაციის მიმართ. მთავარია, რომ გამტაცებლებს მძევლად აყვანილი ჰყავთ ადამიანები და მისი განთავისუფლების სანაცვლოდ ითხოვენ ფულს ან სხვა, ნების საწინააღმდეგო ქმედების შესრულებას ან შეუსრულებლობას. ყურადღება უნდა მიექცეს იმ გარემოებას, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში მოხდა პირისათვის თავისუფლების უკანონო შეზღუდვა და მისი გათავისუფლების სანაცვლოდ არსებობს მოთხოვნა, რომ გატაცებულების გათავისუფლება მოხდეს მხოლოდ გარკვეული ფულადი თანხის გადახდის შემდეგ. მძეები კ-ძეები გაათავისუფლეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც კა. კ-მის კუთვნილი ავტომანქანა დაიტოვეს გარანტად, რომ 3500 აშშ დოლარის მიტანის შემთხვევაში დაუბრუნებდნენ ავტომანქანას. ამდენად, დ. ხ-ელის, ნ. და ე. შ-ძეების ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 144-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებაა.

საკასაციო პალატა სავსებით იზიარებს სააპელაციო სასამართლოს მიერ განაჩენში წარმოდგენილ მოსაზრებას, რომ მძევლად ხელში ჩაგდების სუბიექტური შემადგენლობისათვის, გარდა პირდაპირი განზრახვისა, დამახასიათებელია კონკრეტული მიზანი, რომლის გარეშეც ქმედება ვერ დაკვალიფიცირდება ამ მუხლით. კერძოდ, მძევლად ხელში პირის ჩაგდება ხდება იმ მიზნით, რომ მძევლის გათავისუფლების პირობით აიძულონ პირი ან ორგანიზაცია, შეასრულოს ან არ შეასრულოს ესა თუ ის მოქმედება და რომ, სწორედ ამ მიზნით განსხვავდება იგი თავისუფლების უკანონო აღკვეთისაგან. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ, როცა დამნაშავე თავისუფლებას აღუკვეთს პირს ზემოხსენებული მიზნით, ხდება მძევლად ხელში ჩაგდება, ხოლო, როცა ასეთი მიზანი დამნაშავეს არ ამოძრავებს, არსებობს თავისუფლების უკანონო აღკვეთა.

მოცემულ შემთხვევაში, როგორც საქმის მასალებით არის დადასტურებული და რასაც სადავოდ არც მხარეები ხდიან, დ. ხ-ელმა, ნ. და ე. შ-ძეებმა, მ. გ-შვილმა წინასწარი შეთანხმებით ფულის გამოძალვის მიზნით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებით, გატაცებულ კა. კ-ძესა და გ. კ-ძეს გათავისუფლების სანაცვლოდ მოსთხოვეს 3500 აშშ დოლარი, ე.ი. ფულის გამოძალვის მოთხოვნა წაუყენეს მათ მიერ გატაცებულ პირებს, რომლებსაც უკანონოდ აღუკვეთეს თავისუფლება და არა - სხვა პირს ან ორგანიზაციას, რაც არის მძევლად ხელში ჩაგდების დანაშაულებრივი ქმედების ერთ-ერთი სავალდებულო ნიშანი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულების ქმედებაში არის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედება - თავისუფლების უკანონო აღკვეთა.

რაც შეეხება საკასაციო საჩივარში მითითებულ გარემოებებს, რომ მსჯავრდებულები სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით დაზარალებულებს განთავისუფლების სანაცვლოდ სთხოვდნენ ფულად თანხას, ან სხვა ნების საწინააღმდეგო ქმედების შესრულებას ან შეუსრულებლობას, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ამ კონკრეტულ შემთხვევაში სახეზეა არა მარტო პირისათვის თავისუფლების უკანონო აღკვეთა, არამედ - ასევე გამოძალვის დანაშაულებრივი შემადგენლობის ნიშნები, არსებობდა რა დაზარალებულების გათავისუფლების სანაცვლოდ მოთხოვნა, რომ

გატაცებულების გათავისუფლება მოხდებოდა მხოლოდ გარკვეული ფულადი თანხის გადახდის შემდეგ, რაც უნდა მომხდარიყო მათი გათავისუფლების შემდეგ, რამდენიმე დღეში. მოცემულ შემთხვევაში ძმები კ-ძეები გაათავისუფლეს მხოლოდ მას შემდეგ, რაც კა. კ-მის კუთვნილი ავტომანქანა დაიტოვეს გარანტად, რომ ფულის - 3500 აშშ დოლარის მიტანის შემთხვევაში მას დაუბრუნებდნენ.

აღნიშნულის მიუხედავად, ვინაიდან სააპელაციო სასამართლო მოკლებული იყო შესაძლებლობას, გაეზარდა ბრალდების მოცულობა და შესაბამისად, სამართლებრივი შეფასება მიეცა მსჯავრდებულების მხრიდან სწორედ ანგარების მიზნითა და ფულის გამოძალვის მოთხოვნით დაზარალებულებისათვის თავისუფლების უკანონო აღკვეთის ფაქტისათვის, საკასაციო პალატაც მოკლებულია შესაძლებლობას, ამ მოტივით გააუქმოს განაჩენი და საქმე გაგზავნოს ახალი სასამართლო განხილვისათვის, რადგან საკასაციო ინსტანციას უფლება არა აქვს, მსჯავრდებულის მდგომარეობის გაუარესების მოტივით გააუქმოს სასამართლოს გადაწყვეტილება და ბრალდების მოცულობის გაფართოების მიზნით საქმე დააბრუნოს ხელახალი სასამართლო განხილვისათვის.

ამასთან, პალატა ასევე არ ეთანხმება კასატორის მოსაზრებას იმ ნაწილში, რომ საქმის მასალებით უტყუარად დასტურდება ნ. შ-მის მიერ ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შენახვა-ტარების ფაქტი.

როგორც საქმის მასალებით ირკვევა, მოცემულ საქმეზე ცეცხლსასროლი იარაღი ნ. შ-მისაგან არ ყოფილა ამოღებული, რის გამოც მისი ვარგისიანობა ვერ დადგინდა. მხოლოდ დაზარალებულის ჩვენება, რომ ნ. შ-მის დანაშაულის ჩადენის დროს ხელში ეჭირა «მაკაროვის» სისტემის ცეცხლსასროლი იარაღი და ემუქრებოდა დაზარალებულებს, არ არის საკმარისი მტკიცებულება საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში პირის მსჯავრდებისათვის.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 30 აპრილის განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

დ ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 30 აპრილის განაჩენი დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მძევლად ხელში ჩაგდება

განჩინება

#444-აპ

12 სექტემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემლაშვილი (თავმჯდომარე),**
- ზ. მენიშვილი,**
- ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ შ. შ-მის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 31 იანვრის განაჩენზე შ. შ-მისა და პ. დ-ანიას მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

გალისა და გულრიფშის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 23 ოქტომბრის განაჩენით შ. შ-მე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „გ», „ვ» და „ი» ქვეპუნქტებით იმაში, რომ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ანგარებით, სიცოცხლისათვის საშიში ძალადობის გამოყენებით ჩაიდინა ორი პირის მძევლად ხელში ჩაგდება იმ მიზნით, რომ მძევლის განთავისუფლების პირობით აიძულონ პირი, შეასრულოს ესა თუ ის ქმედება.

ამავე განაჩენით პ. დ-ანია ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „ბ», „გ», „ე», „ვ» და „ი» ქვეპუნქტებით იმაში, რომ წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად, ანგარებით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი

ძალადობის გამოყენების მუქარით ჩაიდინა მძევლად ხელში ჩაგდება, შვიდ დღეზე მეტი ხნით იმ მიზნით, რომ მძევლის განთავისუფლების პირობით აიძულონ პირი, შეასრულოს ესა თუ ის ქმედება; მანვე არაერთგზის, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ანგარებით, სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით ჩაიდინა ორი პირის მძევლად ხელში ჩაგდება იმ მიზნით, რომ მძევლების განთავისუფლების პირობით აიძულონ პირი, შეასრულოს ესა თუ ის ქმედება.

შ. შ-ძისა და პ. დ-ანიას მიერ ჩადენილი ქმედება გამოიხატა შემდეგში:

ზუგდიდის რ-ნის სოფელ ... მცხოვრები პ. დ-ანია დანაშაულებრივად დაუკავშირდა დაუდგენელ პირებს. მათ განიზრახეს, ფულის გამოძალვის მიზნით მძევლად ხელში ჩაეგდოთ ამავე სოფელში მცხოვრები ო. ნ-ია. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად ისინი 2006 წლის 10 აპრილს შეიარაღდნენ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებით და მივიდნენ გალის რ-ნის სოფელ ... ტერიტორიაზე, მდინარე ხურჩის მარჯვენა სანაპიროსთან მდებარე ო. ნ-იას თხილნარში, სადაც ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობითა და ძალადობის მუქარით, ფულის გამოძალვის მიზნით, მძევლად ხელში ჩაიგდეს ო. ნ-ია, გადაიყვანეს მდინარე ხურჩის მარჯვენა სანაპიროზე, საქართველოს ხელისუფლების მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე და წაიყვანეს გალის რ-ნის სოფელ ...; დათქმულ ადგილზე მიყვანის შემდეგ მას შეუკრეს ხელ-ფეხი, ე.წ. „სკოჩით“ აუხვიეს თვალები და აიძულებდნენ, მობილური ტელეფონის საშუალებით დაკავშირებოდა თავის ნათესავებს და მათთვის ეთხოვა გამოსასყიდი თანხა. თავის მხრივ, ბოროტმოქმედებიც მობილური ტელეფონით არაერთხელ დაუკავშირდნენ ო. ნ-იას მამას - ა. ნ-იას, რომელსაც ემუქრებოდნენ შვილის მოკვლით და მისი განთავისუფლების სანაცვლოდ ითხოვდნენ 100 000 ლარს. საბოლოოდ ბოროტმოქმედებსა და გატაცებულის მამას შორის მოხდა შეთანხმება 20 100 ლარზე. აღნიშნული თანხა 2006 წლის 27 აპრილს ა. ნ-იამ გადასცა თავის მეზობელ ტ. ქ-ავას, რომელმაც ეს თანხა იმავე დღეს გადასცა ო. ნ-იას გამტაცებლებს გალის რ-ნის სოფელ ..., ტყის მიმდებარე ტერიტორიაზე, რის შემდეგაც ტ. ქ-ავას მიუთითეს იმ ადგილზე, სადაც იმყოფებოდა მძევლად აყვანილი ო. ნ-ია, ხოლო ბოროტმოქმედები მიიმალნენ. ტ. ქ-ავამ ო. ნ-ია გადაიყვანა თავის საცხოვრებელ სახლში, ზუგდიდის რ-ნის სოფელ ...

2007 წლის იანვარში პ. დ-ანია დანაშაულებრივად დაუკავშირდა შ. შ-ძესა და დაუდგენელ პირებს. მათ განიზრახეს, ფულადი თანხის გამოძალვის მიზნით მძევლად ხელში ჩაეგდოთ გალის რ-ნის სოფელ ..., დროებით ქ. თბილისში, ... შესახ. #17-ში მცხოვრები გ. ლ-ია და გალის რ-ნის სოფელ ... მცხოვრები ხ. ც-ხია. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად 2007 წლის 28 იანვარს ა. დ-ანია და მისი თანამზრახველები შეიარაღდნენ ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღებით და დაახლოებით 23.³⁰ საათზე მივიდნენ სოფელ ... გ. ლ-იას საცხოვრებელ სახლში, სადაც ასევე იმყოფებოდა ხ. ც-ხია. ბოროტმოქმედებმა, წინასწარი შეთანხმებისამებრ, გ. ლ-ია და ხ. ც-ხია იმ მოტივით, რომ თითქოსდა სჭირდებოდათ მათი დახმარება ავტომანქანის ძრავას ამუშავებასთან დაკავშირებით, გამოიტყუეს საცხოვრებელი სახლიდან 100 მეტრის მოშორებით, რის შემდეგაც სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით მათ თავზე წამოაცვეს ტომრები და წაიყვანეს გალის რ-ნის სოფელ ..., აწ გარდაცვილი ქ. ა-იას კუთვნილ მიტოვებულ სახლში. აღნიშნულის შემდეგ ბოროტმოქმედები პერიოდულად უკავშირდებოდნენ გატაცებულების ოჯახის წევრებს და მძევლების განთავისუფლების სანაცვლოდ მოითხოვდნენ მათთვის 60 000 აშშ დოლარის გადაცემას, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდნენ მძევლების მოკვლით. საბოლოოდ ბოროტმოქმედებსა და გატაცებულების ნათესავებს შორის მოხდა შეთანხმება 20 000 ლარზე. აღნიშნული თანხა 2007 წლის 2 თებერვალს გ. ლ-იას ბიძამ - მ. ლ-იამ გადასცა შ. შ-ძეს, პ. დ-ანიას და სხვა პირებს, რის შემდეგაც მ. ლ-იას მიუთითეს იმ ადგილზე, სადაც იმყოფებოდნენ გ. ლ-ია და ხ. ც-ხია, ხოლო თვითონ მიიმალნენ. მ. ლ-იამ ბოროტმოქმედების მიერ მითითებულ ადგილზე იპოვა გატაცებულები და გადაიყვანა ისინი ქ. ზუგდიდში.

აღნიშნული ქმედებისათვის შ. შ-ძეს მიესაჯა 11 წლით, პ. დ-ანიას - 11 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. მათვე სამოქალაქო მოსარჩელე მ. ლ-იას სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 20 000 ლარის გადახდა. შ. შ-ძეს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 21 თებერვლიდან, ხოლო პ. დ-ანიას - 2007 წლის 11 ივნისიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა შ. შ-ძემ. მან ითხოვა გასაჩივრებელი განაჩენის გაუქმება და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 31 იანვრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; ამასთან, გალისა და გულრიფშის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 23 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალა შემდეგი მიმართებით: განაჩენიდან ამოირიცხა მითითება შ. შ-ძისათვის მ. ლ-იას სასარგებლოდ 20 000 ლარის გადახდის დაკისრების თაობაზე. განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებული შ. შ-ძე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ საქმეზე წინასწარი გამოძიება წარმართა დაინტერესებით, ძალადობით, მუქარითა და ტენდენციურად; ყალბია ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა; თვითონ არის უდანაშაულო, ამიტომ ითხოვს, სამართლიანად დაისაჯოს ყველა ის პირი, ვისაც ბრალი მიუძღვის მის უკანონო პატიმრობაში.

სამოტივაციო ნაწილი:

სსსკ-ის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, პალატამ შეამოწმა საქმე სრული მოცულობით, გააანალიზა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა ვერ გაიზიარებს კასატორის მითითებას მისი უდანაშაულობის შესახებ, კერძოდ:

მოწმე მ. ლ-ია საქმის წინასწარი გამოძიებისას არაერთხელ დაიკითხა და დამაჯერებლად ამხილა შ. შ-ძე და პ. დ-ანია. ამ უკანასკნელის ჩვენებითაც დადგენილია, რომ მ. ლ-იამ ბოროტმოქმედებს გამოსასყიდი თანხა გადასცა 2007 წლის 2 თებერვალს. მ. ლ-ია იმ დღესვე დაიკითხა და მიუთითა, რომ დათქმულ ადგილას შეხვდა ავტომატებით შეიარაღებულ ოთხ პირს. ნიღაბი არცერთს ეკეთა. ამ დაკითხვისას მოწმე აღწერს შ. შ-ძის გარეგნობას, იგი მიუთითებს, რომ ერთ-ერთი ბოროტმოქმედი, როგორც შემდეგ შეიტყო - შ. შ-ძე, იყო დაბალი, სუსტი აღნაგობის, შავგვრემანი და შუბლზე ეტყობოდა ნაიარევი. მ. ლ-იამ მიუთითა, რომ შეეძლო სამი პირის ამოცნობა.

მ. ლ-იამ სასამართლო სხდომაზეც კატეგორიულად განაცხადა, რომ ერთ-ერთი ბოროტმოქმედი იყო შ. შ-ძე. მოწმემ ფოტოსურათებით და პირადად ამოიცნო პ. დ-ანია და შ. შ-ძე. ამ უკანასკნელის ამოცნობისას მ. ლ-იამ მიუთითა, რომ შ. შ-ძე ამოიცნო შუბლზე ნაიარევიც.

დაზარალებულმა ო. ნ-იამ ასევე დამაჯერებლად ამხილა პ. დ-ანია და აღნიშნა, რომ ეს უკანასკნელი მის თვალწინ გაიზარდა და ამოცნობა არ გასჭირვებია. მიველობიდან გათავისუფლების სანაცვლოდ ბოროტმოქმედებს გადასცეს 20600 ლარი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დაცვით მოპოვებული და გამოკვლეული ზემოაღნიშნული და სხვა მტკიცებულებებით, მათი ურთიერთშეჯერებითა და განალიზებით უტყუარადაა დადასტურებული და სააპელაციო პალატამაც სწორად მიიჩნია დადგენილად, რომ შ. შ-ძემ და პ. დ-ანიამ ჩაიდინეს მათთვის ბრალად შერაცხული ქმედებები. ამასთან, მატერიალური კანონი სწორადაა გამოყენებული და მსჯავრდებულებს დანიშნული აქვთ მათი პიროვნებისა და ჩადენილი ქმედებების სიმძიმის შესაბამისი, სამართლიანი სასჯელები.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებული და სამართლიანია.

პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სამოქალაქო მოსარჩელე მ. ლ-ია მოითხოვდა მის სასარგებლოდ ბოროტმოქმედებისათვის (და არა მხოლოდ პ. დ-ანიასათვის) 20 ათასი ლარის გადახდის დაკისრებას. ვინაიდან საქმეზე სამოქალაქო მოპასუხედ ცნობილ იქნა მხოლოდ პ. დ-ანია, ფაქტობრივად არ დაწყებულა სრული სამოქალაქო სამართალწარმოება შ. შ-ძისა და პ. დ-ანიას მიმართ, რასაც ითხოვდა სამოქალაქო მოსარჩელე და პირველი ინსტანციის სასამართლომ საპროცესო კოდექსის მოთხოვნათა დარღვევით დააკისრა ორივე მსჯავრდებულს აღნიშნული თანხის გადახდა.

სააპელაციო პალატამ საქმე განიხილა მსჯავრდებულ შ. შ-ძის საჩივრის საფუძველზე და იმის გამო, რომ ეს უკანასკნელი არ იყო ცნობილი სამოქალაქო მოპასუხედ, მ. ლ-იას სასარგებლოდ 20 ათასი ლარის გადახდა დააკისრა მხოლოდ პ. დ-ანიას, რითაც სსსკ-ის 540-ე და 543-ე მუხლების დარღვევით, გაუარესდა ამ უკანასკნელის მდგომარეობა.

ვინაიდან პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენით არ იყო განსაზღვრული თითოეული მსჯავრდებულის მიერ გადასახდელი თანხის ოდენობა, სამოქალაქო მოპასუხედ ცნობილი იყო მხოლოდ პ. დ-ანია და, შესაბამისად, ფაქტობრივად არ დაწყებულა სრული სამოქალაქო სამართალწარმოება შ. შ-ძისა და პ. დ-ანიას მიმართ, რასაც ითხოვდა სამოქალაქო მოსარჩელე, სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განაჩენი უნდა გაუუქმებინა სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში სრულად, რაც არ უკარგავდა უფლებას მ. ლ-იას, წარედგინა სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის განაჩენი უნდა გაუქმდეს პ. დ-ანიასათვის მ. ლ-იას სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილში, რაც ამ უკანასკნელს სსსკ-ის 33-ე მუხლის მე-6 ნაწილის შესაბამისად, არ უკარგავს უფლებას, წარადგინოს სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

გარდა სამოქალაქო სარჩელის საკითხის გადაწყვეტისა, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მოთხოვნები არსებითად არ დარღვეულა და სხვა ნაწილში გასაჩივრებული განაჩენი უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ შ. შ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 31 იანვრის განაჩენი გაუქმდეს მსჯავრდებულ პ. დ-ანიასათვის სამოქალაქო მოსარჩელე მ. ლ-იას სასარგებლოდ თანხის დაკისრების ნაწილში.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

წამება

განჩინება

#2157-აბ

10 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- მ. ოშხარელი (თავმჯდომარე),**
- დ. სულაქველიძე,**
- ი. ტყემელაშვილი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ჯ. შ-ავას ინტერესების დამცველის, ადვოკატ დ. ფ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 27 სექტემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 18 მაისის განაჩენით ჯ. შ-ავა ცნობილ იქნა დამნაშავედ და მიესაჯა საქართველოს სსკ-ის 144¹-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «ბ», «ზ» ქვეპუნქტებით 9 წლით თავისუფლების აღკვეთა, 139-ე მუხლის პირველი ნაწილით - 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საბოლოოდ მას სასჯელის ზომად განესაზღვრა 9 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენის მიხედვით, მსჯავრდებულ ჯ. შ-ავას მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 13 აგვისტოს დაბა ..., #72-ში მცხოვრები ბ. ფ-შვილი დასასვენებლად ჩავიდა ოზურგეთის რაიონის დაბა ..., სადაც გაიცნო ასევე დასასვენებლად მყოფი, ხონის რაიონის სოფელ ... მცხოვრები თ. წ-ელი. 2006 წლის 15 აგვისტოს იგი მივიდა თ. წ-ლის დასასვენებელ სახლში, სადაც მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა ამ უკანასკნელის კუთვნილ «მოტოროლას» ფირმის ც-139 მოდელის მობილურ ტელეფონს, ოქროს ყელსაბამს, ოქროს ბეჭედს და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

თ. წ-ლის პოლიციაში გაკეთებული განცხადების საფუძველზე ბ. ფ-შვილი პოლიციის თანამშრომლებმა წარადგინეს დაბა ... პოლიციის ქვეგანყოფილებაში.

პოლიციის განყოფილებაში მიყვანის შემდეგ ბ. ფ-შვილმა ამავე ქვეგანყოფილების უფროსს - ჯ. შ-ავს ჰკითხა, თუ რა იყო საჭირო მოსალოდნელი სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად და «საქმის მოსაგვარებლად», რაზეც ჯ. შ-ავამ უპასუხა, რომ მთავარი იყო, დაზარალებულისათვის დაებრუნებინა მოპარული ნივთები. ამის შემდეგ ბ. ფ-შვილმა აღიარა მხოლოდ მობილური ტელეფონის ქურდობის ფაქტი და მიუთითა ადგილზე, სადაც შენახული ჰქონდა აღნიშნული მოპარული ტელეფონი, რომელიც მის საცხოვრებელ ბინაში არსებული საწოლის ლეიბის ქვემოდან ამოიღეს პოლიციის თანამშრომლებმა.

დაბა ... პოლიციის ქვეგანყოფილების ერთ-ერთ სამუშაო ოთახში მოთავსებულმა ბ. ფ-შვილმა ამავე ქვეგანყოფილების უფროსთან - ჯ. შ-ავასთან პირისპირ საუბრისას დანაშაულის ერთი ეპიზოდის აღიარების სანაცვლოდ ადვოკატის მოწვევა და დანაპირები დახმარების აღმოჩენა ითხოვა. ჯ. შ-ავა შეეცადა, კანონსაწინააღმდეგო მეთოდებით დაკავებული ბ. ფ-შვილისაგან დაშინებითა და იძულებით მიეღო სრული აღიარებითი ჩვენება დაზარალებულ თ. წ-ლის კუთვნილი ოქროს სამკაულების ქურდობის ნაწილშიც. აღნიშნულზე ბ. ფ-შვილისაგან უარის მიღებით განაწყენებულმა ჯ. შ-ავამ მას გაშლილი ხელის გულის ქვედა ნაწილი გაარტყა ქვედა ტუჩზე, რის გამოც ტუჩის შიგნით, ლორწოვანი გარსის მხრიდან სისხლი წამოუვიდა. ბ. ფ-შვილი დაჯდა სკამზე, მარჯვენა ხელი დაზიანებულ ტუჩზე მოიკიდა და წელში მოიხარა, რათა ახლად გაკეთებული თიაქრის ნაოპერაციევი ადგილი მოერიდებინა პოლიციის უფროსის მხრიდან შესაძლო შემდგომი დარტყმისაგან. ამ დროს მას ხელიდან გაუვარდა ანთებული სიგარეტი. ჯ. შ-ავამ, მოქმედებდა რა დაკავებული ბ. ფ-შვილის დაშინებისა და მისგან სრულყოფილი აღიარებითი ჩვენების მიღების მიზნით, აიღო ძირს დაგდებული ანთებული სიგარეტი და მიადო ამ უკანასკნელს კისრის არეში. ბ. ფ-შვილმა განიცადა რა დამწვრობით მიღებული ძლიერი ფიზიკური ტკივილი, ჯ. შ-ავამ მარჯვენა ხელზეც დაადო ანთებული სიგარეტი. ჯ. შ-ავას მხრიდან მიყენებული წამების შედეგად ბ. ფ-შვილმა მიიღო ჯანმრთელობის მსუბუქი ხარისხის დაზიანება - მომრგვალო ფორმის კანის დეფექტი მარჯვენა წინა მხარსა (ორი) და კისრის უკანა ზედაპირზე (ერთი), ასევე, ლორწოვანი ნახეთქი ჭრილობა ტუჩის მარჯვენა შიდა ზედაპირზე.

ჯ. შ-ავამ, ჰქონდა რა უკვე ჩადენილი თ. წ-ლის მობილური ტელეფონისა და პირადი ოქროს სამკაულების ქურდობაში ეჭვმიტანილ ბ. ფ-შვილის წამება, განიზრახა თ. წ-ელთან სამსახურებრივი გავლენის გამოყენებით, იძულებით დაემყარებინა სქესობრივი კავშირი.

განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით 2006 წლის 15 აგვისტოს, ჯ. შ-ავამ დაბა ... პოლიციის ქვეგანყოფილებაში გამომძიებელ ე. ჩ-შვილის მიერ დაზარალებულის სახით დაკითხვის შემდეგ, თ. წ-

ელი მიიპატიჟა დაბა . . . ერთ-ერთ კაფე-ბარში, რის შემდეგაც ჯ. შ-ავამ თ. წ-ელი არასრულწლოვან ვაჟიშვილთან ერთად ავტომანქანით, რომელსაც თვითონ მართავდა, წაიყვანა ქობულეთის მიმართულე-ბით. ურეკი-ქობულეთის გზატკეცილზე, მშენებარე ატრაქციონებთან, გზიდან გადაუხვია და იქვე არსებულ ტყის პირას ავტომანქანა შეაჩერა. ჯ. შ-ავა მოქმედებდა დაზარალებულ თ. წ-ელთან სქესობრივი კავშირის დამყარების მიზნით და მას ბ. ფ-შვილის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებული ოქროს სამკაულების დაბრუნების სანაცვლოდ დაუყოვნებლივ მოსთხოვა სქესობრივი კავშირის დამყარება, რაზედაც თ. წ-ელმა თავდაპირველად უარი განუცხადა. ჯ. შ-ავას მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი თავისი სამსახურებრივი გავლენის გამოყენებით აეძულებინა თ. წ-ელი, მასთან სქესობრივი კავშირი დაემყარებინა მოპარული ოქროს ნივთების დაბრუნებისა და მომხდარი დანაშაულის სრულად გახსნის სანაცვლოდ და თ. წ-ელს განემორებით მოსთხოვა სქესობრივი კავშირის დამყარება. ასევე განუცხადა, რომ მათ შორის სისტემატური ხასიათის სექსუალური კონტაქტების შემთხვევაში მატერიალურად დაეხმარებოდა და მობილური ტელეფონისათვის შეუძენდა სიმ-ბარათს, ხოლო წინააღმდეგ შემთხვევაში მასზე ფსიქოლოგიური ზეგავლენის მოსახდენად ავტომანქანის უკანა სავარძელზე მძინარე არასრულწლოვანი ვაჟიშვილის გაღვიძებით დაემუქრა. დაზარალებული თ. წ-ელი დარწმუნდა იმაში, რომ ჯ. შ-ავას, როგორც დაბა . . . პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსს, სამსახურებრივი გავლენიდან გამომდინარე, შეეძლო, გაეხსნა მომხდარი დანაშაული და სრულად დაებრუნებინა მოპარული ნივთები, თავისი ნების საწინააღმდეგოდ იძულებული გახდა, ჯ. შ-ავასთან დაემყარებინა სქესობრივი კავშირი. ჯ. შ-ავამ თ. წ-ელთან სქესობრივი კავშირის დამყარების შემდეგ იგი თავისი ავტომანქანით წაიყვანა დაბა . . ., ხოლო მეორე დღეს, დაპირებისამებრ, ერთ-ერთი პოლიციის თანამშრომლის ხელით გაუგზავნა სიმ-ბარათი და 5-ლარიანი მონო-ბარათი, ხოლო დაბა . . .-დან გამგზავრებამდე მას პირადად გადასცა 50 ლარი.

აღნიშნული განაჩენი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 27 სექტემბრის განაჩენით დარჩა უცვლელად.

მსჯავრდებულ ჯ. შ-ავას ინტერესების დამცველი, ადვოკატი დ. ფ-ძე საკასაციო საჩივრით ითხოვს განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულის გამართლებას იმ მოტივით, რომ განაჩენი არის უკანონო, ჯ. შ-ავას მიმართ წარდგენილი ბრალდებები უსაფუძვლოა, შეითხილია, რისი დამადასტურებელიცაა საქმეში არსებული უამრავი საპროცესო დარღვევა, სიყალბე და საეჭვო გარემოებანი; განაჩენი ეყრდნობა მოწმეების ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებს; გარდა დაზარალებულების ცრუ ბრალდებებისა, საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულებები, რომლებიც დაადასტურებდა ჯ. შ-ავას ბრალეულობას; საქმეზე არ ჩატარებულა ბიო-ქიმიური ექსპერტიზა, გამოძიებას არ დაუთვალა იერებია დაზარალებულ თ. წ-ლის ჩვენებაში მითითებული შემთხვევის ადგილი.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატას, საქმეზე შეკრებილი მასალებიდან გამომდინარე, კერძოდ: დაზარალებულ ბ. ფ-შვილის ჩვენებებით, ბ. ფ-შვილისათვის გადაღებული ფოტოსურათებით, მოწმეების - შ. ბ-ძის, გ. ჭ-იას ჩვენებებით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმით, ბიოლოგიური ექსპერტიზის დასკვნითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით დადასტურებულად მიაჩნია მსჯავრდებულ ჯ. შ-ავას მიერ საქართველოს სსკ-ის 144¹ მუხლის მეორე ნაწილის «ა», «ბ», «ზ» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა. საქმეში არ არსებობს სხვა ისეთი მტკიცებულებები, რომლებითაც გაბათილდებოდა ანდა ეჭვქვეშ დადგებოდა ჯ. შ-ავას მიმართ ამ ეპიზოდში განაჩენით შერაცხული ბრალდება.

რაც შეეხება მსჯავრდების იმ ეპიზოდს, რომ ჯ. შ-ავამ ჩაიდინა საქართველოს სსკ-ის 139-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება (სქესობრივი კავშირის იძულება, სხვაგვარი დამოკიდებულების გამოყენებით), საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ ჯ. შ-ავას მიმართ ამ მუხლით გათვალისწინებული მსჯავრდების ეპიზოდში საქმეზე არ არის შეკრებილი საკმარისი მტკიცებულებები მისი ბრალდების დასადასტურებლად. მხოლოდ დაზარალებულ თ. წ-ლის ჩვენებები არ არის საკმარისი ჯ. შ-ავას ბრალეულობის დასადასტურებლად ამ ეპიზოდში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ ჯ. შ-ავას უნდა მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 139-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილი ბრალდება და ამ ნაწილში მის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.

მსჯავრდებულ ჯ. შ-ავას საქართველოს სსკ-ის 144¹ მუხლის მეორე ნაწილის «ა», «ბ», «ზ» ქვეპუნქტებით საბოლოოდ მოსახდელად უნდა განესაზღვროს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.
ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 27 სექტემბრის განაჩენში შევიდეს ცვლილება, კერძოდ:
მსჯავრდებულ ჯ. შ-ავას მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 139-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილი ბრალდება და ამ ნაწილში მის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა.
მსჯავრდებულ ჯ. შ-ავას საქართველოს სსკ-ის 144¹ მუხლის მეორე ნაწილის «ა», «ბ», «ზ» ქვეპუნქტებით საბოლოოდ მოსახდელად განესაზღვროს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა.
განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.
განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

წინასწარი შეცნობით, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენა

განჩინება

#423-აპ

3 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),
- პ. სილაგაძე,
- ი. ტყემელაშვილი

ჯებირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ მ. ა-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატების - მ. თ-შვილისა და გ. ჭ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 31 იანვრის განაჩენზე, რომლითაც მ. ა-შვილი ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 186-ე მუხლის II ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით.

აღწერილობითი ნაწილი:

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 14 სექტემბრის განაჩენით მ. ა-შვილი, ამჟამად პატიმარი, გამართლდა საქართველოს სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ბრალდებაში. მის მიმართ წარდგენილი ბრალდება, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ» და „გ» ქვეპუნქტებით, გადაკვალიფიცირდა იმავე კოდექსის 186-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტზე და შეეფარდა 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა. გაუქმდა მ. ა-შვილის მიმართ თბილისის საოლქო სასამართლოს 2005 წლის 17 მაისის განაჩენით დანიშნული პირობითი მსჯავრი, ბოლო განაჩენით დანიშნულ სასჯელს ნაწილობრივ დაემატა წინა განაჩენით დანიშნული სასჯელის მოუხდელი ნაწილი და საბოლოოდ, საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე, შეკრების წესით, მ. ა-შვილს სასჯელად განესაზღვრა 3 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2006 წლის 21 იანვრიდან.

განაჩენით მ. ა-შვილს მსჯავრი დაედო არაერთგზის ჩადენილ ქურდობაში, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის ფარულ დაუფლებაში მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, რაც გამოიხატა შემდეგში:

ადრე ქურდობისათვის ნასამართლევა მ. ა-შვილმა კვლავ განიზრახა, ჩადენა ქურდობა. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, 2006 წლის 8 იანვარს, ღამით, დედოფლისწყაროს რაიონის სოფელ ... მცხოვრებ, დაზარალებულ ნ. ყ-შვილის საცხოვრებელი სახლის ეზოდან, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად გაიტაცა 5 სული თხა, რითაც დაზარალებულს მიაყენა 470 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი. 2006 წლის იანვარში, გამოძიებით დაუდგენელ დროს, დედოფლისწყაროს რაიონის „პატარა ტბის» მიმდებარე ტერიტორიაზე მან ორი სული დედალი თხა მიუყვანა მწყემსს - თ. ბ-ოვს, რაშიც მას თვის ბოლოს მ. ა-შვილისათვის უნდა გადაეხადა 100 ლარი. მესამე დედალი თხა აღმოაჩინეს მ. ა-შვილის საცხოვრებელ სახლში. დანარჩენი ორი თხის სამყოფელი კი ვერ დადგინდა.

2006 წლის 21 იანვარს, 10.25 საათზე, დედოფლისწყაროს შს რაიგანყოფილების თანამშრომლებმა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე გაჩხრიკეს ამავე რაიონის ტერიტორიაზე, ადგილ „დიდ-ნაურაზე», შპს „ელას» მეცხოველეობის ფერმაში არსებული მ. ა-შვილის დროებითი საცხოვრებელი ოთახი და მისი საწოლის ლეიბის ქვემოდან ამოიღეს 5,6 მმ კალიბრის, კუსტარულად დამზადებული „ნაგანის» სისტემის პისტოლეტი, რომელიც ბალისტიკური ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, მიეკუთვნება ატიპურ ცეცხლსასროლ იარაღთა კატეგორიას და ვარგისია სროლისათვის.

გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 14 სექტემბრის განაჩენით დადგინდა, რომ როგორც მ. ა-შვილის დროებითი საცხოვრებელი ბინის ჩხრეკა, ისე ბალისტიკური ექსპერტიზა ჩატარდა კანონის უხეში დარღვევებით და აღნიშნული მტკიცებულებები მიჩნეულ იქნა დაუშვებელ მტკიცებულებებად. სასამართლომ მ. ა-შვილი გამართლა სსკ-ის 236-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ბრალდებაში. სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ საქმეზე არ მოიპოვებოდა უტყუარი მტკიცებულებები სსკ-ის 177-ე მუხლით გათვალისწინებულ ბრალდებაში მსჯავრდებულის დასადასტურებლად და დადასტურებულად ჩათვალა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მ. ა-შვილმა ჩაიდინა წინასწარი შეცნობით, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შექმნა არაერთგზის, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 186-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ« ქვეპუნქტით, რაშიც დაედო მას მსჯავრი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს სიღნაღის რაიონული პროკურატურის პროკურორმა დ. დ-შვილმა და მსჯავრდებულმა მ. ა-შვილმა.

პროკურორმა სააპელაციო საჩივრით ითხოვა განაჩენის შეზღუდვა მსჯავრდებულისათვის საუარესოდ, კერძოდ, მისი დამნაშავედ ცნობა საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის II ნაწილის «ბ», «გ» ქვეპუნქტების, 236-ე მუხლის I ნაწილის საფუძველზე და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის გამოყენებით, მისთვის სასჯელად 6 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდება.

მსჯავრდებულმა მ. ა-შვილმა სააპელაციო საჩივრით ითხოვა ცვლილებების შეტანა გასაჩივრებულ განაჩენში, კერძოდ, გამართლება სსკ-ის 186-ე მუხლის II ნაწილის „ბ« ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ბრალდებაში იმ მოტივით, რომ მას არ ჩაუდენია განაჩენით მისთვის შერაცხული ქმედება.

საჩივრები განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც 2007 წლის 25 იანვრის განაჩენით უცვლელად დატოვა გურჯაანის რაიონული სასამართლოს განაჩენი.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ მ. ა-შვილის დამცველმა, ადვოკატმა გ. ჭ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორმა ითხოვა აღნიშნული განაჩენის გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც მ. ა-შვილი ცნობილ იქნა ბრალულად საქართველოს სსკ-ის 186-ე მუხლის II ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული ქმედების ჩადენაში და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა იმ საფუძველით, რომ მას არ ჩაუდენია აღნიშნული ქმედება, თანახმად საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის I ნაწილის «ა» ქვეპუნქტისა. კასატორმა საჩივარში აღნიშნა, რომ სისხლის სამართლის საქმეში არ მოიპოვება მტკიცებულებები იმის დასადასტურებლად, რომ მ. ა-შვილმა ჩაიდინა განაჩენით მისთვის შერაცხული ქმედება, რის გამოც მსჯავრდება არის უსაფუძვლო, ხოლო განაჩენი - დაუსაბუთებელი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 9 ნოემბრის განჩინებით გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 25 იანვრის განაჩენი მ. ა-შვილის საქართველოს სსკ-ს 186-ე მუხლის II ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით მსჯავრდების ნაწილში, ხოლო საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 31 იანვრის განაჩენით გურჯაანის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 14 სექტემბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ მ. ა-შვილის ინტერესების დამცველმა ადვოკატებმა - მ. თ-შვილმა და გ. ჭ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართეს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორებმა აღნიშნეს, რომ განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი, იგი არ გამომდინარეობს საქმეზე შეკრებილ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობიდან; საქმე განხილულია საპროცესო კანონმდებლობის დარღვევით; ექვი არ გადაწყდა ბრალდებულის სასიკეთოდ. ამდენად, ადვოკატებმა ითხოვეს უკანონო, გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმება და სისხლის სამართლის საქმის წარმოებით შეწყვეტა.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა და თვლის, რომ მსჯავრდებულ მ. ა-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატების - მ. თ-შვილისა და გ. ჭ-შვილის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 14 აპრილის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, შემდეგი გარემოებების გამო:

პალატა ვერ დაეთანხმება მსჯავრდებულ მ. ა-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატების საკასაციო საჩივრის მოტივაციას საქართველოს სსკ-ის 186-ე მუხლის მეორე ნაწილის „ბ« ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ბრალდებაში მისი გამართლების შესახებ, რადგან მისი ბრალი კონკრეტული დანაშაულის ჩადენაში დადასტურებულია საქმის მასალებით, კერძოდ: დაზარალებულისა და მოწმეთა ჩვენებებით, თვით მსჯავრდებულის, მისი დედის - მ. ა-შვილისა და მეუღლის - ხ. დ-მის ჩვენებებით, რომლითაც უდავოდ არის დადგენილი, რომ ნ. ყ-შვილის ეზოდან ფარულად გატაცებული თხებიდან ორი სული თხა, მ. ა-შვილმა მიაბარა მწყემსს - თ. ბ-ოვს, რომლისგანაც ისინი წაიყვანა დაზარალებულის შვილმა - თ. ს-შვილმა, ხოლო ერთი თხა მსჯავრდებულის დედამ მიუყვანა დაზარალებულს. თან დაჰპირდა, რომ დაადგენდა და დანარჩენ ორ თხასაც მიუყვანდა. დაზარალებ-

ბულმა ნ. ყ-შვილმა სააპელაციო სასამართლოში განაცხადა, რომ მსჯავრდებულის მეუღლემ მას აუწერა დაკარგული მეოთხე თხის ნიშნებიც, რაც უდავოდ ცხადყოფს, რომ მსჯავრდებულმა და მისმა ოჯახის წევრებმა (დედამ, მეუღლემ) იცოდნენ სხვა დაკარგული თხების შესახებაც და ეს შეგნებულად დამალეს, რათა არ გამჟღავნებულიყო მ. ა-შვილის მიერ დაუდგენელი პირისაგან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა და იყო რა წარსულში ნასამართლევი ქურდობისათვის, მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან დაცვის მიზნით, უარყვეს ასეთი ინფორმაცია საქმის როგორც წინასწარი გამოძიების, ისე სასამართლო განხილვის დროს.

ამდენად, პალატას მიაჩნია, რომ საქმის მასალებით მსჯავრდებულისათვის ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია და მას სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული.

ამასთან, პალატა ითვალისწინებს იმას, რომ მ. ა-შვილს ჰყავს 3 მცირეწლოვანი შვილი, ზარალი ნაწილობრივ ანაზღაურებულია და შესაძლებლად მიიჩნევა, რომ გასაჩივრებულ განაჩენში შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ: მ. ა-შვილს საქართველოს სსკ-ის 186-ე მუხლის II ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი - 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა - შეუმცირდეს 2 თვით, რასაც უნდა დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული მოუხდელი სასჯელის ნაწილი - 6 თვე და საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის საფუძველზე მ. ა-შვილს საბოლოო სასჯელად განესაზღვროს 2 წლითა და 10 თვით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის „ა», „დ» ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ მ. ა-შვილის ინტერესების დამცველი ადვოკატების - მ. თ-შვილისა და გ. ჭ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 31 იანვრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ შემდეგი მიმართებით:

მსჯავრდებულ მ. ა-შვილს საქართველოს სსკ-ის 186-ე მუხლის II ნაწილის „ბ» ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი - 2 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა - შეუმცირდეს 2 თვით, რასაც დაემატოს წინა განაჩენით დანიშნული მოუხდელი სასჯელის ნაწილი - 6 თვე და მ. ა-შვილს საბოლოო სასჯელად განესაზღვროს 2 წლითა და 10 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. ეკონომიკური დანაშაული

თაღლითობა

განჩინება

#1146-აპ

4 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),**
- ნ. კვანტალიანი,**
- რ. ნადირიანი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორ დ. ა-შვილისა და დაზარალებულების - ბ. გ-მის, დ. თ-ურისა და მ. ს-მის საკასაციო საჩივრები თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 მაისის განაჩენზე პ. თ-შვილის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 10 დეკემბრის განაჩენით პ. თ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ», „გ» ქვეპუნქტებითა და 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, არაერთგზის, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; ასევე - ყალბი პირადობის მოწმობის დამზადება და გამოყენება, რაც გამოიხატა შემდეგში:

2003 წლის თებერვლის თვის ბოლო რიცხვებში დაზარალებულებმა - ბ. გ-მემ, დ. თ-ურმა და მ. ს-მემ პ. თ-შვილს ამერიკაში გასამგზავრებლად სთხოვეს დახმარება, რომელმაც დახმარებისათვის თითოეულს გასამრჯელოს სახით მოსთხოვა 3300 აშშ დოლარი. 2003 წლის 17 და 19 აპრილს დაზარალებულებმა აღნიშნული თანხა ნაწილ-ნაწილ გადასცეს პ. თ-შვილს.

იმ მიზნით, რომ ბ. გ-მის გამგზავრება ნაკლები თანხა დამჯდარიყო, მსჯავრდებულმა მას გამოართვა ორი ფოტოსურათი და დაამზადა ყალბი დოკუმენტი, რომელიც გამოიყენა გასამგზავრებელი ბილეთის შეღავათიან ფასში შესაძენად. პ. თ-შვილმა ბაქოში აიღო თვითმფრინავის ბილეთი ბაქო-ფრანკფურტი-მაიამი-იამაიკის მიმართულებით და მეტი დამაჯერებლობისათვის დაზარალებულები გააგზავნა ქ. ბაქოდან თვითმფრინავით, მაგრამ ისინი დააბრუნეს ქ. ფრანკფურტიდან. ვინაიდან საბოლოოდ ბ. გ-მის, დ. თ-ურისა და მ. ს-მის საზღვარგარეთ გამგზავრება ვერ მოხერხდა და დაზარალებულები დარწმუნდნენ, რომ ისინი მოატყუეს, მივიდნენ პ. თ-შვილთან და მოითხოვეს ფულის უკან დაბრუნება. მსჯავრდებულმა თითოეულ მათგანს დაუბრუნა მხოლოდ 350-350 აშშ დოლარი, რითიც მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით მიიღო მათგან 2950-2950 აშშ დოლარი.

აღნიშნული ქმედებისათვის პ. თ-შვილს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით განესაზღვრა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - ტუსაღობა 3 თვის ვადით; სსკ-ის 59-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, პ. თ-შვილს საბოლოოდ მიესაჯა 2 წლით თავისუფლების აღკვეთა; მასვე თითოეული დაზარალებულის სასარგებლოდ დაეკისრა 2950 აშშ დოლარის გადახდა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა მ. ბ-ურამ და ითხოვა პ. თ-შვილის გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 მაისის განაჩენით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2004 წლის 10 დეკემბრის განაჩენი შეიცვალა: პ. თ-შვილი გამართლდა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით წარდგენილ ბრალდებაში; მას სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით განესაზღვრა ჯარიმა 500 ლარის ოდენობით, სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ. მსჯავრდებულს განემართა ნაწილობრივი რეაბილიტაციის უფლება.

კასატორი - რუსთავის რაიონული პროკურატურის პროკურორი დ. ა-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი პ. თ-შვილის სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით გამართლების ნაწილში უკანონოა და უნდა გაუქმდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

იამაიკაში ტურისტად წამსვლელს აუცილებლად წინასწარ უნდა ჰქონდეს დაჯავშნული სასტუმროს ნომერი, რაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა მსჯავრდებულის მიზეზით, რომელმაც იცოდა, რომ ეს შეიძლებოდა გამხდარიყო დაზარალებულების გამგზავრების შემაფერხებელი საფუძველი, თუმცა მან ამ ვალდებულებას შეგნებულად აარიდა თავი, რადგან იამაიკაში სასტუმროს დაჯავშნა დამატებით თანხებს მოითხოვდა და მას, შესაბამისად, აღებული თანხიდან ნაკლები მოგება დარჩებოდა; პ. თ-შვილმა წინასწარ იცოდა, რომ დაზარალებულთა მგზავრობა უშედეგო იქნებოდა, მოტყუებით, ბოროტად გამოიყენა მათი ნდობა, რაც თაღლითობის მთავარი ელემენტია; მისი უკანონო ქმედებით დაზარალებულებმა განიცადეს საკმაოდ მნიშვნელოვანი მატერიალური ზარალი, მით უფრო, რომ მათ უცხო ქვეყანაში სამუშაოდ წასვლა დიდმა გაჭირვებამ გადააწყვეტინა, შეროვილი თანხა კი დღემდე არ დაბრუნებიათ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, პროკურორი დ. ა-შვილი საკასაციო საჩივრით ითხოვს პ. თ-შვილის მიმართ თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 21 მაისის განაჩენის გაუქმებას და საქმის დაბრუნებას იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობისათვის ხელახლა განსახილველად.

დაზარალებულები - ბ. გ-მე, დ. თ-ური და მ. ს-მე საკასაციო საჩივარში აღნიშნავენ, რომ განაჩენი უკანონოა შემდეგ გარემოებათა გამო:

თაღლითობის სპეციფიკა იმაში მდგომარეობს, რომ გარეგნულად ქონების გადაცემა ხდება ნებაყოფლობით, თვით მესაკუთრის მიერ, რომელიც შეცდომაშია შეყვანილი; ამ შემთხვევაში დამნაშავეს მოქმედებას ინფორმაციული ხასიათი აქვს ან გამოყენებულია მასსა და დაზარალებულს შორის არსებული ნდობის ფაქტორი; სასამართლომ არ გაიზიარა ის გარემოება, რომ მსჯავრდებულსა და დაზარალებულს შორის ხანგრძლივი ურთიერთობის შედეგად ჩამოყალიბდა განსაკუთრებული ნდობა და სამივე დარწმუნებული იყო, რომ თანხის გადახდის შემდეგ გაემგზავრებოდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში; პ. თ-შვილის ქმედება მთლიანად თავსდება თაღლითობის შემადგენლობაში და თაღლითობის კლასიკური მაგალითია.

აღნიშნულის გათვალისწინებით, დაზარალებულები ითხოვენ გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით პ. თ-შვილის გამართლების ნაწილში და კანონიერი გადაწყვეტილების მიღებას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ სრულად შეისწავლა საქმის მასალები, გაანალიზა წარმოდგენილი საჩივრების საფუძველიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ისინი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საპელაგო სასამართლოში დაზარალებულმა მ. ს-მემ განმარტა, რომ პ. თ-შვილთან შეხვედრისას მან და დ. თ-ურმა გამოთქვეს აშშ-ში გამგზავრების სურვილი და სთხოვეს დამხარება. მ. ს-ძის განმარტებით პ. თ-შვილს უთხრეს, რომ სურდათ «ვიზით წასვლა ან როგორც თვითონ შეძლებდა». პ. თ-შვილისაგან იცოდა, რომ გერმანია უპრობლემოდ უნდა გაევიდა, ვიზა არ სჭირდებოდა და არც იამაიკაში ჩასვლას აპირებდნენ, თუმცა ქ. მაიამიში ჩასვლის შემდეგ მას თავად უნდა ეპატრონა თავისი თავისთვის. დაზარალებულის განცხადებით, მან იცოდა, რომ აშშ-ში ჩასვლას სჭირდებოდა ვიზა, რომელზეც საუბარი არ ყოფილა, იგი როგორმე უნდა ჩასულიყო ქ. მაიამიში. ამ ქალაქიდან რომ გამოებრუნებინათ, არანაირი პრეტენზია არ ექნებოდა, მაგრამ პრეტენზია აქვს იმის გამო, რომ შეთანხმების თანახმად, გერმანიის ტერიტორია უპრობლემოდ უნდა გაევიდა.

დაზარალებულმა დ. თ-ურმა განმარტა, რომ პ. თ-შვილს სთხოვდა სამგზავრო ბილეთში გადახდილი თანხის დაბრუნებას. დ. თ-ურის განცხადებით, მას 1 წლით ადრეც სურდა გამგზავრება აშშ-ში და იცოდა, რომ საჭირო იყო ვიზა. ამასთან, 4 წლით ადრე აშშ-ში გამგზავრდნენ მისი ნათესავები თბილისი-პარიზი-მაიამი-იამაიკას რეისით. შემდეგ ეს მარშრუტი დაკეტეს. დ. თ-ურს აეროპორტში უთხრეს, რომ შეეძლო ბილეთის აღება, მაგრამ უკან დააბრუნებდნენ და ბილეთში გადახდილი თანხაც არ დაუბრუნდებოდა. სწორედ ამის შემდეგ მან მიაკითხა პ. თ-შვილს, რომელიც დაჰპირდა, რომ ქ. ბაქოდან გაამგზავრებდა. დაზარალებულის განმარტებით, მან იცოდა, რომ ქ. თბილისიდან, პარიზის გავლით, ქ. მაიამიში ვერ მოხვდებოდა და თანახმა იყო, გამგზავრებულიყო ქ. ბაქოდან.

დაზარალებულმა ბ. გ-მემ განმარტა, რომ ქ. მაიამიში მოსახვედრად პ. თ-შვილმა შესთავაზა მარშრუტი, რომლისთვისაც, მისივე განცხადებით, საჭირო არ იყო ტრანზიტული ვიზა. ბ. გ-მემ მიუთითა, რომ ტელევიზიის საშუალებით იცოდა ქ. მაიამიში უვიზოდ მოხვედრის შესაძლებლობის თაობაზე, მაგრამ არ იყო გარკვეული დეტალებში და ამიტომ მიაკითხა პ. თ-შვილს. ამ უკანასკნელმა უთხრა, რომ შეთავაზებული რეისით მგზავრობისათვის საჭირო არ იყო ტრანზიტული ვიზა და ამის თაობაზე დოკუმენტიც აჩვენა. დაზარალებულის განცხადებით, ქ. ფრანკფურტიდან დაბრუნების მიზეზის გასარკვევად მიმართეს საგარეო საქმეთა სამინისტროს და მიიღეს პასუხი, რომ მათთვისაც უცნობი იყო ამის მიზეზი.

პალატა აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა იმ საკითხის გარკვევას, ჰქონდა თუ არა ადგილი პ. თ-შვილის მხრიდან მოტყუებას.

უტყუარადაა დადგენილი, რომ 2003 წლის 21 აპრილის მდგომარეობით, საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც მგზავრობდნენ ქალაქების - ფრანკფურტისა და მაიამის გავლით და არ ტოვებდნენ დარბაზს, სატრანზიტო ვიზა არ ესაჭიროებოდათ. გაირკვა ისიც, რომ გადამზიდავი კომპანია სამგზავრო ბილეთს არ გაყიდდა, თუ საჭირო იყო ვიზა და იგი პირს არ გააჩნდა.

დაზარალებულმა პ. თ-შვილისაგან იცოდნენ, რომ იამაიკაში ტურისტად მიმავალ პირს ვიზა არ ესაჭიროებოდა. საბრალდებო დასკვნითაც კი დადგენილია, რომ დაზარალებულები ქ. ფრანკფურტიდან უკან დააბრუნეს იმის გამო, რომ ცნობილი გახდა მათი მგზავრობის ჭეშმარიტი მიზეზი და ეს არ მომხდარა ტრანზიტული ვიზების არქონის გამო. ამდენად, უსაფუძვლოა საკასაციო საჩივრების მოტივი, თითქოს მსჯავრდებულმა იცოდა, რომ დაზარალებულთა მგზავრობა უშედეგო იქნებოდა და მან დაუმალა დაზარალებულებს იურიდიული მნიშვნელობის ფაქტები.

პალატა აღნიშნავს, რომ ცალკეულ გარემოებათა გამო შეთანხმების ფაქტობრივად შეუსრულებლობა არ მეტყველებს, რომ ადგილი ჰქონდა მოტყუებას. პალატა სრულად იზიარებს გასაჩივრებული განაჩენის მითითებას, რომ პ. თ-შვილის მოქმედება, რაც დაზარალებულებისაგან ფულის მიღებაში გამოიხატა, არ არის მართლსაწინააღმდეგო, ხოლო იმ შედეგში, რომ დაზარალებულები ქ. ფრანკფურტიდან უკან დააბრუნეს, პ. თ-შვილს ბრალი არ მიუძღვის.

რაც შეეხება პ. თ-შვილის მიერ ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებისა და გამოყენების ბრალდებას, აღნიშნული უტყუარადაა დადასტურებული საქმეში არსებული მასალებით, კერძოდ, დაზარალებულ ბ. გ-ძისა და მოწმე ფირდოვის რზაევის ჩვენებებით, ასევე - ბ. გ-ძის სახელზე გაცემული სტუდენტური ბარათით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გასაჩივრებული განაჩენი კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია და მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს.

ამასთან, «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის საფუძველზე, ამავე კანონის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილში მოცემული მითითების გათვალისწინებით (ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია არ ვრცელდება გადახდილ ჯარიმებზე, რომლებიც შეფარდებულია, როგორც ძირითადი სასჯელი), მსჯავრდებულ პ. თ-შვილს უნდა გაუნახვერდეს საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული ძირითადი სასჯელი - ჯარიმა 500 ლარის ოდენობით.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლით, მე-3 მუხლის მე-2 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა :

პროკურორ დ. ა-შვილის და დაზარალებულების - ბ. გ-ძის, დ. თ-ურისა და მ. ს-ძის საკასაციო საჩივრები არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 მაისის განაჩენი შეიცვალოს: «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, ამავე კანონის მე-3 მუხლის მე-2 ნაწილში მოცემული მითითების გათვალისწინებით (ამ კანონით გათვალისწინებული ამნისტია არ ვრცელდება უკვე გადახდილ ჯარიმებზე, რომლებიც შეფარდებულია, როგორც ძირითადი სასჯელი), მსჯავრდებულ კ. თ-შვილს გაუნახევრდეს საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით) დანიშნული სასჯელი - ჯარიმა 500 ლარის ოდენობით და საბოლოოდ განესაზღვროს ჯარიმა 250 ლარის ოდენობით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თაღლითობის მცდელობა

განჩინება

#2121-აპ

29 იანვარი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**ი. ტყემელაშვილი (თავმჯდომარე),
დ. სულაქველიძე,
ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ თ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 16 მაისის განაჩენით თ. მ-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, მე-19, 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა« ქვეპუნქტითა და მე-3 ნაწილის „ბ« ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა ყალბი პირადობის მოწმობის დამზადება და გამოყენება; ასევე - თაღლითობის მცდელობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლებისა და ქონებრივი უფლების მიღების მცდელობა მოტყუებით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, დიდი ოდენობით, რაც გამოიხატა შემდეგში:

თ. მ-შვილი დაუდგენელ დროსა და ვითარებაში დანაშაულებრივად დაუკავშირდა თავის ნაცნობებს - თ. ბ-ძესა და გ. ბ-შვილს და მათთან ერთად განიზრახა, თაღლითური გზით, მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით დაუფლებოდა სხვის ქონებრივ უფლებას.

ამ მიზნით 2006 წლის 19 ოქტომბერს იგი მივიდა ქ. თბილისში, ... ქ. #6-ში მდებარე ინდემწარმე „თ. გ-შვილის« ბინების ყიდვა-გაყიდვისა და სესხების საშუაშეგო ოფისში, სადაც შეხვდა აღნიშნული ოფისის კურიერ გ. ა-ევას, რომლისგანაც შეიტყო, რომ ვინმე ნ. ზ-ელს სურდა თავისი კუთვნილი 13 ათასი აშშ დოლარის გასესხება ყოველთვიურად გარკვეული სარგებლის გადახდის სანაცვლოდ. აღნიშნულის შემდეგ თ. მ-შვილი, განზრახული ჰქონდა რა სხვისი ქონებრივი უფლების თაღლითური გზით დაუფლება, ვინმე გ. ბ-შვილთან ერთად, 2006 წლის 24 ოქტომბერს გ. ა-ევას მემგობით დაუკავშირდა და შეხვდა ნ. ზ-ელს, რა დროსაც თ. მ-შვილმა, ნდობის გამოყენების მიზნით, მიიყვანა ეს უკანასკნელი გ. ბ-შვილთან არაოფიციალურ ქორწინებაში მყოფ ქ. კ-იას საცხოვრებელ ერთობაშიან ბინაში - ქ. თბილისში, ..., ბინა #52-ში, სადაც ისინი შეთანხმდნენ, რომ, ერთი მხრივ, ნ. ზ-ელი გადასცემდა მათ 13 ათას აშშ დოლარს, ხოლო, მეორე მხრივ, თ. მ-შვილი და გ. ბ-შვილი, სესხის უზრუნველყოფის მიზნით, აღნიშნულ ბინას ნოტარიალურად იპოთეკის წესით დაუტვირთავდნენ.

2006 წლის 25 ოქტომბერს თ. მ-შვილი თ. ბ-ძესთან ერთად მივიდა ქ. თბილისში, ... ქ. #4-ში მდებარე სანოტარო ბიუროსთან, სადაც მას შეხვდა გ. ა-ევას, რომელსაც თ. ბ-ძე გაეცნო, როგორც გ. ბ-შვილის მეუღლე ქ. კ-იას და გადასცა სანოტარო აქტი, ამონაწერი საჯარო რეესტრიდან და აგრეთვე დაუდგენელ დროსა და ვითარებაში ქ. კ-იას სახელზე ყალბად დამზადებული საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობა, რომელშიც ჩაკრული იყო თ. ბ-ძის ფოტოსურათი. მას შემდეგ, რაც გ. ა-ევას დარწმუნდა, რომ პირადობის დამადასტურებელი მოწმობა ნამდვილად ეკუთვნოდა მის წინ მდგომ ვითომდა ქ. კ-იას, მან აღნიშნული დოკუმენტები სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების სანოტარო წესით გასაფორმებლად წარუდგინა ქ. თბილისში, ... ქ. #4-ში მომუშავე

ნოტარიუს ე. შ-შვილს, რომელსაც საბუთების შემოწმებისას ეჭვი შეეპარა პირადობის მოწმობის ნამდვილობაში, რის გამოც მან გამოიძახა ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის შს სამმართველოს თანამშრომლები, რომლებმაც აღკვეთეს თ. ბ-ძისა და მისი თანმხლები თ. მ-შვილის დანაშაულებრივი ქმედება, რომლითაც დაზარალებულ ნ. ზ-ელს მიაღებოდა 13 000 აშშ დოლარის, ე.ი. 22 750 ლარის დიდი ოდენობით მატერიალური ზიანი.

აღნიშნული ქმედებისათვის თ. მ-შვილს საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიესაჯა 1 წლით, ხოლო სსკ-ის მე-19, 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა« და მე-3 ნაწილის „ბ« ქვეპუნქტებით - 6 წლით თავისუფლების აღკვეთა; სსკ-ის 59-ე მუხლის შესაბამისად, თ. მ-შვილს საბოლოოდ განესაზღვრა 7 წლით თავისუფლების აღკვეთა, რომლის ათვლა დაეწყო 2006 წლის 25 ოქტომბრიდან.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა და ითხოვა გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 ოქტომბრის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ამასთან, განაჩენი შეიცვალა: თ. მ-შვილს საქართველოს სსკ-ის მე-19,180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ« ქვეპუნქტით განესაზღვრა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა, 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა; საბოლოოდ მას მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით.

კასატორი - მსჯავრდებული თ. მ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა და უნდა გაუქმდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

არასწორადაა შერაცხული საქართველოს სსკ-ის 362-ე მუხლით გათვალისწინებული ბრალდება, რადგან გამოიძიება ტენდენციური და ცალმხრივი იყო; დაცვის მხარემ სასამართლო სხდომაზე წარადგინა თ. ბ-ძის სახელზე გაცემული სანოტარო აქტი - მინდობილობა, აღებული 2006 წლის 18 ოქტომბერს და დამოწმებული ნოტარიუს ე. მ-ძის მიერ, რაც ადასტურებს, რომ თ. ბ-ძემ არაერთჯერადად გამოიყენა თავისი სურათით დამზადებული გაყალბებული პირადობის მოწმობა; ამ მინდობილობის საფუძველზე ამჟამად ძებნილმა გ. ბ-შვილმა შეძლო საჯარო რეესტრისა და ყადაღის ცნობის ოფიციალურად აღება; ამის გამო დაცვის მხარე ითხოვდა ნოტარიუს ე. მ-ძის დაკითხვას, რაც დაადასტურებდა თ. მ-შვილისათვის ამ ბრალდების უკანონოდ წარდგენას; ტექნიკურ-კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით, არ დგინდება თ. მ-შვილის მიერ შესრულებული ხელმოწერის ან ჩანაწერის იდენტურობა ყალბ პირადობის მოწმობასთან.

რაც შეეხება მსჯავრდებულის ე.წ. „აღიარებით ჩვენებას«, ის მიღებულია მოტყუებით, გამომძიებლების მიერ ცრუ დაპირებებით საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესახებ; დაზარალებულ ნ. ზ-ელისა და მოწმე ზ-ძის ჩვენებებით ირკვევა, რომ თ. მ-შვილს მათთან შეთანხმება და რაიმე საუბარი არ ჰქონია, მხოლოდ შუამდგომლობა გაუწია გ. ბ-შვილს საშუამავლო ფირმაში თავის ნაცნობებთან, რათა ამ უკანასკნელს დაეგირავებინა ბინა და მისთვის დაებრუნებინა ვალი - 7000 აშშ დოლარი; გ. ბ-შვილი მალე დააკავეს, ხოლო თ. მ-შვილი ორი შვილით აღმოჩნდა ქუჩაში; მისთვის წაყენებული ბრალი თაღლითობის მცდელობაში არ დასტურდება არც დაზარალებულის და არც - მოწმეების ჩვენებებით, მაშინ გაუგებარია, რაში გამოიხატება მისი მხრიდან ვინმეს მოტყუება დიდი ოდენობით ქონების დაუფლების მიზნით; არავინ დაინტერესდა იმით, თუ ვის უნდა აეღო გირავნობის დროს მიღებული, ე.წ. „თაღლითური გზით გამოძალული დიდი ოდენობით« თანხა, თუ არა - თ. ბ-ძეს, რომელიც ყველა ინსტანციაში მოქმედებდა გაყალბებული პირადობის მოწმობით.

კასატორის აზრით, მისთვის წაყენებული ბრალდებები უსაფუძვლოა, უკანონოა, არ დასტურდება მტკიცებულებებით და ეყრდნობა მხოლოდ ვარაუდებს; სასამართლომ, გარდა აღნიშნულისა, არ გაითვალისწინა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები - იგი არის მარტოხელა დედა, ჰყავს ორი შვილი და მთელი სიმკაცრით დაისაჯა დაუმთავრებელი დანაშაულისათვის, რომელიც მას არ ჩაუდენია.

აღნიშნულის გათვალისწინებით, მსჯავრდებული თ. მ-შვილი ითხოვს მის მიმართ დადგენილი გამამტყუნებელი განაჩენის გაუქმებას და სიმართლის დადგენას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული მასალებით, მათ შორის დაზარალებულ ნ. ზ-ელის, მოწმეების: მ. ზ-ძის, ე. შ-შვილის, გ. ა-ევას, თ. გ-შვილისა და თ. ბ-ძის ჩვენებებით, კრიმინალისტიკური ექსპერტიზის დასკვნით, მათი ურთიერთშეჯერებითა და გაანალიზებით უდავოდ დადგენილია, რომ თ. მ-შვილმა ჩაიდინა მისთვის ბრალად შერაცხული ქმედებები. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კანონი არ დარღვეულა, ხოლო მატერიალური კანონი სწორადაა გამოყენებული.

ჩადენილი მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედებების სიმძიმისა და მსჯავრდებულის პიროვნების გათვალისწინებით თ. მ-შვილისათვის დანიშნული სასჯელი არ არის მეტისმეტად მკაცრი და აშკარად უსამართლო, მისი განსაზღვრისას სასამართლომ მხედველობაში მიიღო, რომ თ. მ-შვილს ჰყავს ორი შვილი. ამასთან, მსჯავრდებულს მე-19, 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით დანიშნული აქვს თავისუფლების აღკვეთის სახით გათვალისწინებული სასჯელის მინიმუმი, რომლის შემსუბუქების საფუძველი არ არსებობს.

პალატა მიიჩნევს, რომ გასაჩივრებული განაჩენი კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია, მისი გაუქმების საფუძველი არ არსებობს, მაგრამ უნდა შეიცვალოს «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, კერძოდ, მსჯავრდებულს უნდა გაუნახევრდეს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით, «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ თ. მ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლოდ გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 ოქტომბრის განაჩენი შეიცვალოს: «ამნისტიის შესახებ» საქართველოს 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, მსჯავრდებულ თ. მ-შვილს გაუნახევრდეს სსკ-ის 362-ე მუხლის 1-ლი ნაწილით დანიშნული სასჯელი - 1 წლით თავისუფლების აღკვეთა და განესაზღვროს 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად და საბოლოოდ თ. მ-შვილს განესაზღვროს 6 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თაღლითობა

განჩინება

#1078-აპ

11 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- ლ. მურუსიძე,**
- მ. ოშხარელი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. ვ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 24 აპრილის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ახმეტის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 7 დეკემბრის განაჩენით დ. ვ-შვილი ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით. იგი სასჯელს იხდის 2006 წლის 15 აპრილიდან.

განაჩენის მიხედვით, დ. ვ-შვილს მსჯავრი დაედო თაღლითობისათვის, ჩადენილი დიდი ოდენობით, რაც გამოიხატა შემდეგში: 2006 წლის თებერვალში მან განიზრახა თაღლითური გზით დაუფლებოდა მოქალაქეების კუთვნილ ფულად თანხებს. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, იგი დაუკავშირდა ქ. ახმეტაში მცხოვრებ შ. მ-შვილს, მოიპოვა მისი ნდობა და შესთავაზა მას, შეეკრიბა საზღვარგარეთ წასვლის მსურველთა თერთმეტკაციანი ჯგუფი, რომლებსაც, თითოეულის მიერ 2 700 აშშ დოლარის გადახდის შემთხვევაში, წაიყვანდა იტალიაში. ამასთან, შ. მ-შვილს შეჰპირდა, რომ გაწეული მუშაობისათვის მას უფასოდ გაგზავნიდა იტალიაში. დ. ვ-შვილმა შ. მ-შვილს მოსთხოვა, რომ იტალიაში გამგზავრების მსურველთა ჯგუფის თითოეულ წევრს წინასწარ მიეტანა 1 400 აშშ დოლარი და პასპორტი. შ. მ-შვილი დაუკავშირდა ნაცნობ პირებს: გ. მ-შვილს, ლ. ბ-შვილს, კ. ა-ძეს, ო. პ-შვილს, მ. ჯ-შვილს, ზ. გ-შვილს, გ. ქ-ძეს, ლ. რ-შვილს, ნ. მ-შვილს, ნ. გ-შვილს და ვ. გ-შვილს, რომლებმაც გადასცეს მას თავიანთი პასპორტები და თითოეულმა - 1 400 აშშ დოლარი. ამის შემდეგ, დ. ვ-შვილის მოთხოვნის თანახმად, შ. მ-შვილმა შეგროვილი თანხა შესანახად მიუტანა თავის ახლობელს, თბილისში მცხოვრებ ნ. მ-შვილს, რომლისგანაც ეს თანხა წაიღო დ. ვ-შვილმა, დაეუფლა მას და მართლსაწინააღმდეგოდ მიისაკუთრა. აღნიშნულის შემდეგ, მეტი დამაჯერებლობისათვის, დ. ვ-შვილმა ჯგუფის წევრებს შ. მ-შვილის სახელით მოსთხოვა თითოეულის პირად ანგარიშზე «თი ბი სი» ბანკში შეეტანათ 1 300 აშშ დოლარი. ამავე დროს შეჰპირდა, რომ 2006 წლის 11 აპრილს ის ყველა მათგანს შეიყვანდა იტალიის საელჩოში. აღნიშნულის

შემდეგ დ. ვ-შვილი დაემალა შ. მ-შვილს, რომელმაც, ვედარ შეძლო რა მასთან დაკავშირება და მიხვდა მის თაღლითურ ქმედებას, განცხადებით მიმართა პოლიციას.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა დ. ვ-შვილმა, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვდა ახმეტის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 7 დეკემბრის განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ საფუძველით, რომ მას არ ჩაუდენია განაჩენით მისთვის შერაცხული ქმედება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 24 აპრილის განაჩენით სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, ხოლო ახმეტის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 7 დეკემბრის განაჩენი მსჯავრდებულ დ. ვ-შვილის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა დ. ვ-შვილმა, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 19 ნოემბრის განაჩენის გაუქმებასა და მისი ბრალდების საქმის გაგზავნას ახალი სასამართლო განხილვისათვის იმ მოტივით, რომ საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარდა არაობიექტურად და ტენდენციურად, რა დროსაც დაირღვა სისხლის სამართლის საპროცესო ნორმებით დადგენილი მოთხოვნები, სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოებები, რომლებიც მას ამართლებდნენ მისთვის წარდგენილ ბრალდებაში, არ დაუკითხავთ ის მოწმე, რომლის ჩვენება ნათელს მოჰყენდა საქმის არსს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ დ. ვ-შვილის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძველიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სისხლის სამართლის საქმის მასალების შესწავლით უტყუარად დგინდება, რომ მსჯავრდებულმა დ. ვ-შვილმა ნამდვილად ჩაიდინა განაჩენით მისთვის შერაცხული ქმედება - თაღლითობა, რაც დადასტურებულია სარწმუნო მტკიცებულებების ერთობლიობით, რომლებიც მოპოვებულია სისხლის სამართლის საპროცესო ნორმების დაცვით. კასატორის მოსაზრება იმის თაობაზე, რომ წინასწარი გამოძიება და სასამართლო ტენდენციური იყო მის მიმართ, ვერ იქნება გაზიარებული, რადგან მას არ გააჩნია რეალური საფუძველი, ამასთან, საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, არ შეინიშნება ისეთი საპროცესო დარღვევები, რომელთა გამო ეჭვის ქვეშ დადგებოდა ბრალდების მტკიცებულებათა კანონიერება, ხოლო ეს მტკიცებულებები არ არიას გაბათილებული სხვა, საწინააღმდეგო და უტყუარი მტკიცებულებებით, რის გამოც კასატორის მოთხოვნა განაჩენის გაუქმებისა და საქმის ახალი განხილვისათვის დაბრუნების თაობაზე არ უნდა დაკმაყოფილდეს.

ამასთან ერთად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლოს განაჩენი მსჯავრდებულ დ. ვ-შვილის მიმართ უნდა დაზუსტდეს ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციისა და სასჯელის ნაწილში. გასაჩივრებული განაჩენით დ. ვ-შვილის მიერ ჩადენილი ქმედება დაკვალიფიცირებულია საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით (მითითებულია რედაქცია), ე.ი. როგორც თაღლითობა, ჩადენილი დიდი ოდენობით. აღნიშნული კვალიფიკაცია სააპელაციო სასამართლომ დაადგინა იქიდან გამომდინარე, რომ დ. ვ-შვილის მიერ თაღლითური გზით მითვისებულმა თანხებმა მთლიანობაში შეადგინა 13690 აშშ დოლარი და 2950 ლარი, რაც, ერთად აღებული, 10000 ლარზე მეტია. საკითხის ამგვარად გადაწყვეტა არასწორია, რადგან, მოცემულ შემთხვევაში, საქმეში თერთმეტი დაზარალებულია, ხოლო თითოეული მათგანისათვის დ. ვ-შვილის ქმედებით მიყენებული ზიანი, ცალკე აღებული, არ აღწევს 10000 ლარს. კანონის თანახმად, ზემოაღნიშნული კვალიფიკაციისათვის აუცილებელია, რომ თუნდაც ერთი დაზარალებულისათვის მიყენებული ზიანი მაინც აღემატებოდეს ათი ათას ლარს, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არა აქვს, რადგან რეალურად თითოეულ დაზარალებულს მიადგა მნიშვნელოვანი ზიანი.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ მსჯავრდებულ დ. ვ-შვილის მიერ ჩადენილი ქმედება საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტიდან (მითითებული რედაქცია), რომელიც ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას დიდი ოდენობით ჩადენილი თაღლითობისათვის, უნდა გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტზე (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) და იგი უნდა განისაზღვროს როგორც თაღლითობა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

შესაბამისად, გასაჩივრებული განაჩენი უნდა გადაისინჯოს სასჯელის ნაწილშიც. დ. ვ-შვილის მიერ ქმედების ჩადენის დროს მოქმედი სისხლის სამართლის კანონის მიხედვით, ამ ქმედებისათვის სასჯელის მაქსიმალურ ზომად გათვალისწინებული იყო თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით. იმის გათვალისწინებით, რომ დ. ვ-შვილი პირველად არის სამართალში და იგი წარსულში არ ხასიათდება უარყოფითად, სასჯელის მაქსიმუმის დანიშვნის საფუძველი არ არსებობს, რის გამოც, ჩადენილი ქმედების სიმძიმიდან და შედეგებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატას საკმარის ზომად მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ დ. ვ-შვილს სასჯელად დაენიშნოს თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით.

ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 24 აპრილის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილებები მსჯავრდებულ დ. ვ-შვილის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ დ. ვ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლობის გამო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 24 აპრილის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ დ. ვ-შვილის ქმედება საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტიდან (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის «გ» ქვეპუნქტზე (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) და ამ დანაშაულისათვის მას სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თაღლითობა

განჩინება

#2124-აპ

29 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),**
- ლ. მურუსიძე,**
- მ. ოშხარელი**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ჯ. კ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ჯ. კ-ძე ამჟამად პატიმრობაში მყოფი, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 21 ივნისის განაჩენით მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებითა და იმავე კოდექსის 188-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ისეთ დანაშაულთა ჩადენისათვის, როგორცაა სხვისი ნივთის განადგურება გაუფრთხილებლობით და თაღლითობა, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, რისთვისაც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა:

საქართველოს სსკ-ის 188-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე - ჯარიმა 2000 ლარის ოდენობით, ხოლო სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით, რასაც დაემატა წინა განაჩენით დანიშნული მოუხდელი სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, რის შედეგადაც საბოლოოდ მსჯავრდებულ ჯ. კ-ძეს სასჯელად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 5 წლის ვადით და ჯარიმა 2000 ათასი ლარის ოდენობით.

განაჩენის მიხედვით, ჯ. კ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: ჯ. კ-ძე, გასამართლებული იყო რა 2000 წლის 22 ივლისს ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 187-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულისათვის და შეფარდებული ჰქონდა პირობითი მსჯავრი, არ დაადგა გამოსწორების გზას და გამოსაცდელ ვადაში კვლავ ჩაიდინა დანაშაული, კერძოდ: ჯ. კ-ძე ცხოვრობდა ქ. ბათუმში, ... ქუჩის #105-ში, ნ. დ-ძის ბინაში ქირით. 2005 წლის 29 ივლისს დაუდევრობით, რაც გამოიხატა იმაში, რომ საშარეულოში არსებული მაცივარი ელექტროქსელში ჩართული ჰქონდა არასწორად, დაზიანებულ შტეტესელში, ხანძარი გაუჩნდა მაცივრის სადენს და იქიდან გავრცელდა საშარეულოში არსებულ ნივთებზე, რა დროსაც დაზიანდა საშარეულოს მოპირკეთება და განადგურდა ნივთები, რითაც დაზარალებულ ნ. დ-ძეს მიაყენა 850 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

2005 წლის 30 აგვისტოს ჯ. კ-ძე დაუკავშირდა ნ. დ-ძეს და სთხოვა, რომ დაეტოვებინა იგი მის ბინაში, შეეძინა სამშენებლო მასალები მისივე ხარჯებით და გაერემონტებინა ბინა, რომლის ხარჯებს ყოველთვიურად აუნაზღაურებდა, რაზედაც ნ. დ-ძე დათანხმდა. ისინი მივიდნენ მაღაზიაში ტაქსით, სადაც ნ. დ-ძემ შეიძინა 100 აშშ დოლარის ღირებულების სხვადასხვა სამშენებლო მასალა და ტაქსითვე გაატანა ჯ. კ-ძეს. ამ უკანასკნელმა, ისარგებლა რა ნ. დ-ძის ნდობით, წინასწარი შეთანხმებით,

გამოძიებით დაუდგენელ პირთან ერთად დაბრუნდა იმავე მაღაზიაში. მათ უკან დააბრუნეს ნ. დ-მის კუთვნილი თანხით შეძენილი სამშენებლო მასალები, დაიბრუნეს მაღაზიისათვის ნ. დ-მის მიერ გადახდილი 100 აშშ დოლარი, თაღლითურად მიითვისეს იგი და მიიმალნენ, რითაც დაზარალებულს მიაყენეს 180 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ჯ. კ-მის დამცველმა, ადვოკატმა დ. კ-მემ, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვდა მსჯავრდებულისათვის სასჯელის შემსუბუქებას შემდეგი მოტივებით:

ჯ. კ-მე აღიარებს და გულწრფელად ინანიებს ჩადენილ დანაშაულს, მან ითანამშრომლა გამოძიებასთან; იგი ხასიათდება დადებითად, არის ორი მცირეწლოვანი შვილის მამა და ოჯახის ერთადერთი მარჩენალი; მისი ოჯახი განიცდის მძიმე მატერიალურ სიდუხჭირეს; მართალია, ის წარსულში ნასამართლევა, მაგრამ ნაკლებად მძიმე დანაშაულის ჩადენისათვის.

საჩივარი განიხილა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც 2007 წლის 4 ოქტომბრის განაჩენით მსჯავრდებულ ჯ. კ-მის მიმართ ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციისა და დანიშნული სასჯელის ნაწილში დატოვა უცვლელად, ამასთან, მას მოხდელი სასჯელის ვადაში ჩაუთვალა 2004 წლის 17 ივლისიდან 22 ივლისამდე მისი დაკავების დრო - 5 დღე.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ჯ. კ-მემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი ითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტას იმ მოტივით, რომ მას არ ჩაუდენია აღნიშნული განაჩენით მისთვის შერაცხული დანაშაული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ ჯ. კ-მის მიმართ და შეამოწმა მისი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს სასჯელის ნაწილში შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა არ ეთანხმება კასატორის მოტივაციას იმის თაობაზე, რომ მას არ ჩაუდენია მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება, ხოლო საქმის ფაქტობრივი გარემოებები სასამართლოს სწორად არ დაუდგენია და არ შეუფასებია, ვინაიდან საქმეშია სასამართლო სხდომაზე ჯ. კ-მის მიერ მიცემული ჩვენება, რომელშიც იგი დეტალურად აღწერს თავის მიერ ჩადენილი დანაშაულის გარემოებებს, რასაც ადასტურებს დაზარალებულ ნ. დ-მისა და მოწმეთა ჩვენებები, ხოლო აღნიშნულ მტკიცებულებებს შორის წინააღმდეგობა არ არსებობს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოს განაჩენებით სწორად არის დადგენილი ყველა ის ფაქტობრივი გარემოება, რომლებიც ჯ. კ-მის მიერ ჩადენილ დანაშაულს შეეხება, სახეზეა ერთმანეთთან შეთანხმებულ უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობა, რომლითაც დადასტურებულია მისი ბრალეულობა ჩადენილ ქმედებაში. ამასთან, საკასაციო პალატის აზრით, სასამართლომ ჯ. კ-მეს ჩადენილი ქმედების სიმძიმისა და მისი პიროვნების გათვალისწინებით შეუფარდა სამართლიანი სასჯელი.

ამავე დროს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ჯ. კ-მის მიმართ უნდა გავრცელდეს „ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის კანონის მოქმედება. აღნიშნული კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, იგი უნდა გათავისუფლდეს წინა განაჩენითა და ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 21 ივნისის განაჩენით საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მისთვის განსაზღვრული სასჯელის - 2 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის მოხდისაგან, აგრეთვე საქართველოს სსკ-ის 188-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელის - 2000 ლარის ოდენობით ჯარიმის გადახდისაგან იმ პირობით, თუკი აღნიშნული ჯარიმა ჯ. კ-მეს არ გადაუხდია მის მიმართ ბათუმის საქალაქო სასამართლოსა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, რადგან „ამნისტიის შესახებ» იმავე კანონის მე-3 მუხლის მეორე პუნქტის მიხედვით, ამნისტია არ ვრცელდება გადახდილ ჯარიმაზე, რომელიც დანიშნული იყო ძირითადი სასჯელის სახით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 4 ოქტომბრის განაჩენში შეტანილ უნდა იქნეს ცვლილება მსჯავრდებულ ჯ. კ-მის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის პირველი და მე-5 ნაწილებით, 561-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ჯ. კ-მის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს უსაფუძვლოდ გამომდინარე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 21 ივნისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებული ჯ. კ-მე „ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29

ნოემბრის საქართველოს კანონის პირველი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად გათავისუფლდეს საქართველოს სსკ-ის 187-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე მისთვის განსაზღვრული სასჯელის - 2 წლის ვადით თავისუფლების აღკვეთის - მოხდისაგან, აგრეთვე საქართველოს სსკ-ის 188-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ძირითადი სასჯელის სახით შეფარდებული ჯარიმის - 2000 ლარის გადახდისაგან, თუკი მას აღნიშნული ჯარიმა არ გადაუხდია ბათუმის საქალაქო სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოს მიერ მის მიმართ გამოტანილი განაჩენების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ.

მსჯავრდებულ ჯ. კ-ძეს საბოლოოდ მოსახდელად დარჩეს საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტების საფუძველზე დანიშნული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 3 წლის ვადით.

თაღლითობა

განჩინება

#2203-აპ

29 ივლისი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. დ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 ნოემბრის განაჩენზე, რომლითაც ნ. დ-შვილი ცნობილ იქნა ბრალეულად საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის II ნაწილის «ბ» და იმავე მუხლის III ნაწილის «ბ» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 14 სექტემბრის განაჩენით ნ. დ-შვილი ამჟამად პატიმარი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის II ნაწილის «ბ», იმავე მუხლის III ნაწილის «ბ» და «გ» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში და მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2007 წლის 14 თებერვლიდან.

განაჩენით ნ. დ-შვილს მსჯავრი დაედო მასში, რომ მან ჩაიდინა თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, არაერთგზის, დიდი ოდენობით.

აღნიშნული დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის ივნისში ნ. დ-შვილმა განიზრახა მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგოდ, ნდობის ბოროტად გამოყენებით, დაუფლებოდა მოქალაქეთა კუთვნილ თანხებს. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, გაზეთ «სიტყვა და საქმეში» პერიოდულად აქვეყნებდა განცხადებებს საცხოვრებელი ბინის, მდებარე თბილისში, . . ., 34-ე კორპუსი, ბინა #42-ის დაგირავების შესახებ. განცხადების საფუძველზე, მას უკავშირდებოდნენ მოქალაქეები, რომლებსაც წინასწარ უთანხმდებოდა, რომ თითქოსდა სესხის ხელშეკრულების გაფორმების გზით, 2 წლის ვადით დაუთმობდა თავის საცხოვრებელ ბინას, რის შემდეგაც მოტყუებით აფორმებდა მათთან სესხის ხელშეკრულებებს და თაღლითურად ეუფლებოდა მათ კუთვნილ თანხებს, კერძოდ: ნ. დ-შვილი 2005 წლის 1 აგვისტოს თაღლითური გზით დაეუფლა ნ. ბ-ძის კუთვნილ - 5422 ლარს, 2006 წლის 30 ივნისს ა. შ-შვილის კუთვნილ - 5000 აშშ დოლარს, 2006 წლის 4 ივლისს ნ. მ-ძის კუთვნილ - 3500 აშშ დოლარს, 2006 წლის 5 სექტემბერს ქ. თ-აიას კუთვნილ - 4000 აშშ დოლარს, 2006 წლის 21 ოქტომბერს მ. ხ-ძის კუთვნილ - 4000 აშშ დოლარს, 2006 წლის 26 აგვისტოს ზ. ბ-ავას კუთვნილ - 5000 აშშ დოლარს, 2006 წლის 22 მარტს ი. ა-ძის კუთვნილ - 4000 აშშ დოლარს. ნ. დ-შვილის მიერ მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლებულმა თანხამ ჯამში შეადგინა - 5422 ლარი და 25500 აშშ დოლარი.

ზემოთ აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ნ. დ-შვილმა და მისი ინტერესების დამცველმა ადვოკატმა და მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით, მოითხოვეს მასში ცვლილების შეტანა და საქართველოს სსკ-ის 50-ე მუხლის V ნაწილის საფუძველზე, სასჯელის შემსუბუქება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 6 ნოემბრის განაჩენით მსჯავრდებულ ნ. დ-შვილის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. ცვლილება შევიდა თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 14 სექტემბრის განაჩენში შემდეგი მიმართებით:

ნ. დ-შვილს წარდგენილი ბრალდებიდან ამოერიცხა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის III ნაწილის «გ» ქვეპუნქტი (არაერთგზისობა).

ნ. დ-შვილი ცნობილი იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის II ნაწილის «ბ» და იმავე მუხლის III ნაწილის «ბ» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში და მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა ნ. დ-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორმა ითხოვა პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანა და სსკ-ის 50-ე მუხლის საფუძველზე სასჯელის შემსუბუქება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ განიხილა საქმის მასალები, შემოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მოისმინა პროკურორის პოზიცია და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ და გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულის სასიკეთოდ შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო გამოკვლევა ჩატარებულია სრულყოფილად და საპროცესო კანონმდებლობის დაცვით, განაჩენით მსჯავრდებულისათვის საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით შერაცხული ბრალდება, რომელიც დადასტურებულია დაზარალებულებისა და მოწმეთა ჩვენებებითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით, არავითარ ეჭვს არ იწვევს.

რაც შეეხება მსჯავრდებულ ნ. დ-შვილის დანაშაულებრივ ქმედებას, რომელიც დაკვალიფიცირებულია საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით (თაღლითობა, ჩადენილი დიდი ოდენობით), პალატის აზრით, არასწორია, რადგან თაღლითობისათვის, რომელიც მიეკუთვნება საკუთრების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთა რიცხვს, დიდ ოდენობად ითვლება მიყენებული ზიანის ოდენობა, რომლის ღირებულება აჭარბებს 10 000 ლარს. დამნაშავე, როდესაც სჩადის რამდენიმე, ერთმანეთისაგან დამოუკიდებელ თაღლითურ ქმედებას, რაშიც რეალიზებულია მისი რამდენიმე, ცალ-ცალკე წარმოშობილი განზრახვა, ფულში გამოხატული ზიანის შეჯამება და მის დიდ ოდენობად დაკვალიფიცირება სწორი არ არის. გამონაკლისს წარმოადგენს ერთიანი განგრძობადი დანაშაული, სადაც თაღლითური ქმედების ცალკეული ეპიზოდი მოცულია დამნაშავეს ერთიანი განზრახვით და დაუფლებული ქონების ჯამი დიდ ოდენობას ქმნის. აღნიშნულ შემთხვევაში ნ. დ-შვილის მიერ მითვისებული თანხები ცალ-ცალკე აღებული არ შეადგენს 10000 ლარს და არ გვაძლევს მისი ქმედების დიდ ოდენობად დაკვალიფიცირების საშუალებას.

აქედან გამომდინარე, პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ ნ. დ-შვილის დანაშაულებრივი ქმედება, დაკვალიფიცირებული საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით, არასწორია, უნდა ამოირიცხოს ბრალდებიდან და ამ ნაწილში შეწყდეს მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა.

ამასთან, საკასაციო პალატა თვლის, რომ ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე ცვლილება უნდა შევიდეს დანიშნულ სასჯელში, კერძოდ ნ. დ-შვილის მიმართ დანიშნული სასჯელი უნდა შემცირდეს ერთი წლით და მას საბოლოო სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ნ. დ-შვილის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2006 წლის 11 სექტემბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ.

ნ. დ-შვილის მიმართ შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში.

საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით ნ. დ-შვილს სასჯელად განესაზღვროს 5 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თაღლითობა

განჩინება

#2108-აპ-07

5 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

**დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),
მ. ოშარელი,
პ. სილაგაძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ კ. ს-ძის დამცველის, ადვოკატ ა. ა-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 8 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

კ. ს-ძე ამჟამად პატიმრობაში მყოფს, თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 19 ივნისის განაჩენით მსჯავრდებულ იქნა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლის ვადით.

განაჩენის მიხედვით, კ. ს-ძის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის ნოემბერში თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციისა და პროგრამების მართვის განყოფილების მთავარმა სპეციალისტმა კ. ს-ძემ, განიზრახა რა თაღლითური გზით სხვისი ნივთის დაუფლება, თავის ნაცნობს, ე. თ-შვილს, რომელსაც სურვილი ჰქონდა, მუშაობა დაეწყო რომელიმე სამედიცინო დაწესებულებაში, მოსთხოვა 3000 აშშ დოლარი, რის სანაცვლოდ შეჰპირდა, რომ, თითქოსდა, მოახდენდა ზეგავლენას სააქციო საზოგადოება «თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის» ადმინისტრაციის უფლებამოსილ წარმომადგენელზე და უკანა რიცხვით დაანიშნინებდა მას უმცროს ექიმად კარდიოლოგის სპეციალობით. დანაშაულებრივი მიზნის მისაღწევად კ. ს-ძემ ე. თ-შვილს ურჩია ყალბი დიპლომის შექმნა, ვინაიდან, მისივე თქმით, უმცროსი ექიმის თანამდებობა შეეძლო, დაეკავებინა მხოლოდ უმაღლესი სამედიცინო სასწავლებლის კურსდამთავრებულს. იმავედროულად მან ე. თ-შვილს განუ-მარტა, რომ მოქმედი კანონმდებლობით, პირს, რომელიც უმცროს ექიმად დაინიშნა და გავლილი აქვს სარეზიდენტო პროგრამის ნაწილი ამა თუ იმ საექიმო სპეციალობაში, მოდულების, ანუ დიპლომის შემდგომი განათლების პროგრამის დამოუკიდებელი ბლოკის გავლის შესაძლებლობა მიეცემა საკვალიფიკაციო გამოცდების ჩაბარების გარეშე, ხოლო სახელმწიფო სასერტიფიკატო გამოცდაზე დასაშ-ვებად მის მიერ შესრულებული სამუშაო და მუშაობის ხანგრძლივობა ჩაეთვლება პროფესიული მზადების ვადაში. 2006 წლის 1 დეკემბერს კ. ს-ძე თავის სამუშაო კაბინეტში კვლავ შეხვდა ე. თ-შვილს და შეეცადა, დაეყოლიებინა იგი ფულის მისაცემად, რა დროსაც არწმუნებდა, რომ ზემოთ მითითებული თანხის საფასურად დაეხმარებოდა ასევე დამოუკიდებელი საექიმო საქმიანობის უფლების მოსაპოვებლად საჭირო სახელმწიფო სერტიფიკატის მიღებაში. ე. თ-შვილმა ეჭვგარეშე აღიქვა კ. ს-ძის დამაჯერებელი საუბარი და ენდო მას, როგორც თანამდებობის პირს, რის გამოც შეთავაზებულ წინადადებას დასთანხმ-და. ამასთანავე, აღნიშნულის შესახებ მან იმავე დღეს წერილობითი განცხადებით მიმართა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის დირექტორის მოვალეობის შემსრულებელს და გამოთქვა საგამომიებო ორგანოებთან თანამშრომლობის სურვილი. 2006 წლის 4 დეკემბერს კ. ს-ძემ, დაგულვებული ჰქონდა რა ე. თ-შვილის ნდობა, თბილისის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის შენობის დერეფანში მას უთხრა, რომ ვერ ახერხებდა სს «თერაპიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტში» მის მოწყობას, თუმცა ჩანაფიქრის სისრულეში მოსაყვანად კიდევ ერთხელ მოატყუა იგი, რომ წინასწარ 1500 აშშ დოლარის, ხოლო შემდეგ 1000 აშშ დოლარის გადახდის შემთხვევაში გადასცემდა, ვითომდა, რუსეთის ფედერაციაში ორდინატურის გავლის დამადასტურებელ დიპლომს. 2006 წლის 5 დეკემბერს, დაახლოებით 14 საათზე, კ. ს-ძემ თავის სამუშაო კაბინეტში ე. თ-შვილს გამოართვა წინა დღით მოთხოვნილი 1500 აშშ დოლარი (შინაგან საქმეთა სამინისტროში ქიმიური ნივთიერებით დამუშავებული, 100 აშშ დოლარის ნომინალის 15 ბანკნოტი (FB84737816R, R57767867R, FB18530351R, AB28850675R, R54962604A, AB55387860Q, R502700583A, DF6434004B, AG85379353B, AB60222496J, FF19682490A, FL9376745R, FE31673653A, DL0639029A, AB23638692N), რომლებსაც იგი დაუფლა მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. იმავე დღეს, დაახლოებით 14 საათსა და 10 წუთზე, კ. ს-ძე დააკავეს ეჭვმიტანილის სახით. ამასთან, მის სამუშაო კაბინეტში ჩატარებული ჩხრეკისას ამოღებულ იქნა წინასწარ დამუშავებული ზემოთ ნახსენები 1500 აშშ დოლარი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულმა კ. ს-მემ, რომელიც საჩივარში აღნიშნავდა, რომ აღიარებს და ინანიებს დანაშაულს, არის II ჯგუფის ინვალიდი, ხანში შესული, რის გამოც ითხოვს სასჯელის შემსუბუქებას.

სააპელაციო საჩივარი განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ, რომელმაც, არ დააკმაყოფილა რა აპელანტის მოთხოვნა, 2007 წლის 8 ოქტომბრის განაჩენით მსჯავრდებულ კ. ს-მის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი ჩადენილი ქმედების კვალიფიკაციისა და სასჯელის ნაწილში დატოვა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულ კ. ს-მის დამცველმა, ადვოკატმა ა. ა-შვილმა საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას. კასატორი ითხოვს აღნიშნული განაჩენის გაუქმებასა და მსჯავრდებულ კ. ს-მის ბრალდების საქმის დაბრუნებას ხელახალი განხილვისათვის, შემდეგი მოტივებიდან გამომდინარე: მის მიმართ დარღვეულია სამართლიანი სასამართლოს პრინციპი; კ. ს-მეს ქმედების ჩადენისას არ გამოუყენებია და არც შეეძლო, გამოეყენებინა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობა, რაც სათანადო ყურადღების გარეშე დატოვა სააპელაციო სასამართლომ; კ. ს-მეს ფაქტობრივად დანაშაული არ ჩაუდენია, ის გახდა დანაშაულის პროვოკაციის მსხვერპლი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ კ. ს-მის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივრის მოთხოვნა არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის მიერ შეტანილი საკასაციო საჩივრის მოთხოვნას, რადგან მისი დაკმაყოფილებისათვის კ. ს-მის ბრალდების საქმის მასალებში არ მოიპოვება სამართლებრივი საფუძველი. საქმეში არსებული საპროცესო ნორმების დაცვით მოპოვებული, სარწმუნო მტკიცებულებებით: კ. ს-მის აღიარებითი ჩვენებით, საგნის წარმოდგენისა და დათვალიერების ოქმით, ნივთიერ მტკიცებულებად ცნობის დადგენილებით, ნივთიერი მტკიცებულების შემოწმების, დათვალიერების, დალუქვისა და საქმეზე დართვის შესახებ დადგენილებით, ფულადი ნიშნების დათვალიერებისა და გადაცემის ოქმით, ფულადი ნიშნების დაბრუნებისა და დათვალიერების ოქმით, დოკუმენტის დათვალიერებისა და გადაცემის ოქმით, ოპერატიულ-ტექნიკური ღონისძიების ჩატარების ოქმით, საიდუმლო ფორმა #5-ით, ექვმიტანილის დაკავებისა და პირადი ჩხრეკის ოქმით, სამუშაო კაბინეტის ჩხრეკის ოქმით, ქიმიური ექსპერტიზის #508\სქ დასკვნით, რომლებიც დაცვის მხარეს არ გაუზიარებია სხვა უტყუარი მტკიცებულებებითა და სარწმუნო არგუმენტებით, კ. ს-მის ბრალეულობა დადასტურებულია. ამასთან, საკასაციო პალატის აზრით, სააპელაციო სასამართლომ კ. ს-მის მიმართ სასჯელის განსაზღვროს დროს, საქართველოს სსკ-ის 53-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, გაითვალისწინა მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი გარემოებები და ისე განუსაზღვრა მას სამართლიანი სასჯელი, რომლის შეცვლის საფუძველი არ არსებობს.

ამავე დროს, საკასაციო პალატა თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ უტყუარად დადგინდა საქმის ფაქტობრივ გარემოებებს ვერ მისცა სწორი სამართლებრივი შეფასება და კვალიფიკაცია. მხედველობაშია შემდეგი გარემოებები: როგორც საქმის მასალებით უტყუარად არის დადგენილი, მას შემდეგ, რაც კ. ს-მეს შეუთანხმდა მის მიერ მოთხოვნილი თანხის - 1500 აშშ დოლარის გადაცემის ადგილისა და დროის შესახებ, დაზარალებულმა ე. თ-შვილმა მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს, რომლებმაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის კუთვნილი, 15 ცალი 100 აშშ დოლარის ნომინალის კუპიურების გამოყენებით დაგვემეს და ჩაატარეს კანონით გათვალისწინებული ოპერაცია კ. ს-მის დანაშაულის ფაქტზე მხილებისათვის, რაც განხორციელდა კიდევ და კ. ს-მე ფაქტზე დააკავეს.

კანონის თანახმად, თალითობა შედეგიან დელიქტს წარმოადგენს, რომელიც დამთავრებულად ითვლება მხოლოდ დამნაშავეს მიერ გამიზნული მართლსაწინააღმდეგო შედეგის რეალურად დადგომის შემთხვევაში, რაც გამოიხატება დაზარალებულის კუთვნილი ამა თუ იმ ნივთის დაუფლებაში, რითაც ზიანი ადგება დაზარალებულს. მოცემულ შემთხვევაში, მას შემდეგ, რაც დაზარალებულმა ე. თ-შვილმა სამართალდამცავ ორგანოებს მიმართა, მთლიანად გამორიცხა კ. ს-მის ქმედებით მისთვის ზიანის მიყენების ანუ მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობა, ვინაიდან დანაშაულის ობიექტის - დაზარალებულ ე. თ-შვილის საკუთრების უფლების ხელყოფა შეიძლება მომხდარიყო მხოლოდ შესაბამისი დანაშაულის საგნის - დაზარალებულ ე. თ-შვილის კუთვნილი თანხის დაუფლების გზით, რისი შესაძლებლობაც გამორიცხული იყო იქიდან გამომდინარე, რომ: ჯერ ერთი, დაზარალებულ ე. თ-შვილს თავისი კუთვნილი თანხა არ გადაუცია კ. ს-მისათვის, როცა ეს უკანასკნელი დააკავეს; მეორეც, იმ პირობებში, როცა კ. ს-მის მიმართ ხორციელდებოდა წინასწარ დაგეგმილი, დანაშაულის ფაქტზე დაკავების ოპერაცია, დაზარალებულ ე. თ-შვილს მისთვის თავისი კუთვნილი თანხა რომც გადაეცა, კ. ს-მე მაინც ვერ შეძლებდა ამ თანხის დაუფლებას (თავისუფალი განკარგვის აზრით), იმდენად სწრაფად დააკავეს იგი კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თანამშრომლებმა, რომლებიც მთლიანად აკონტროლებდნენ ე. თ-შვილის მიერ კ. ს-მისათვის თანხის გადაცემის პროცესს.

განხილული გარემოებები იმაზე მიუთითებს, რომ მსჯავრდებულ კ. ს-ძის მიერ ჩადენილია არა დამთავრებული თაღლითობა, არამედ - თაღლითობის მცდელობა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლითა და 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, რაც სააპელაციო სასამართლომ არ გაითვალისწინა განაჩენის დადგენისას. ამით სააპელაციო სასამართლომ დაუშვა საქართველოს სსსკ-ის 562-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტითა და 564-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული დარღვევა - სისხლის სამართლის კანონის არასწორი გამოყენება, კერძოდ, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, რაც განაჩენის შეცვლის საფუძველია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 8 ოქტომბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ კ. ს-ძის მიმართ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ კ. ს-ძის დამცველის, ადვოკატ ა. ა-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 8 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ კ. ს-ძის ქმედება საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის მე-19 მუხლსა და 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტზე.

განაჩენი სხვა ნაწილში მსჯავრდებულ კ. ს-ძის მიმართ დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თაღლითობა

განჩინება

#610-აპ

10 ნოემბერი, 2008 წ., თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),

მ. ოშხარელი,

ი. ტყეშელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ა. ა-იანის დამცველი ადვოკატების - კ. კ-ძისა და ვ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი აგრეთვე მსჯავრდებულ ხ. ო-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 11 იანვრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 13 ოქტომბრის განაჩენით ა. ა-იანი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის პირველი ნაწილის, იმავე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებისა და მესამე ნაწილის «ბ», «გ» ქვეპუნქტების საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით. მასვე დამატებითი სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა 3500 ლარის ოდენობით.

იმავე განაჩენით სამოქალაქო სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და მსჯავრდებულ ა. ა-იანს დაზარალებულ ლ. ბ-ძის სასარგებლოდ დაეკისრა 45 000 ლარის გადახდა, ხოლო დაზარალებულ მ. მ-შვილის სასარგებლოდ - 25 000 ლარის გადახდა.

იმავე განაჩენით ხ. ო-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის პირველი ნაწილის, იმავე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებისა და მესამე ნაწილის «ბ», «გ» ქვეპუნქტების საფუძველზე, რის გამოც მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლისა და 6 თვის ვადით. მასვე დამატებითი სასჯელის ზომად განესაზღვრა ჯარიმა 3500 ლარის ოდენობით. აღნიშნული განაჩენით მსჯავრდებულ ხ. ო-ძეს ასევე დაეკისრა: დაზარალებულ ნ. დ-ის სასარგებლოდ - 3300 ევროს ეკვივალენტი ლარის გადახდა, რ. დ-ძის სასარგებლოდ - 3500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, დ. კ-შვილის სასარგებლოდ - 3500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, ნ. შ-აიას სასარგებლოდ - 5400 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის

გადახდა, მ. მ-იანის სასარგებლოდ - 4500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, ლ. გ-შვილის სასარგებლოდ - 4500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, ლ. ჯ-ავას სასარგებლოდ - 3500 ევროს ეკვივალენტი ლარის გადახდა, გ. დ-იანის სასარგებლოდ - 2600 ევროს ეკვივალენტი ლარის გადახდა, ს. ა-იანის სასარგებლოდ - 5500 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, ი. გ-შვილის სასარგებლოდ - 3700 ევროს ეკვივალენტი ლარის გადახდა, ე. ს-ძის სასარგებლოდ - 3000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა, ა. ქ-შვილის სასარგებლოდ - 2100 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდა.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 13 ოქტომბრის განაჩენით მსჯავრდებულებს - ა. ა-იანსა და ხ. ო-ძეს მსჯავრი დაედოთ იმაში, რომ მათ ჩაიდინეს სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლება მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით, ჩადენილი წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, დიდი ოდენობით, არაერთგზის, რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის აგვისტოში ა. ა-იანი დანაშაულებრივად დაუკავშირდა ხ. ო-ძეს, რომელმაც ა. ა-იანს უთხრა, რომ მის ნაცნობ ლ. ბ-ძეს სურდა საბერძნეთში სამუშაოდ გამგზავრება და ვინაიდან არ ჰქონდა გასამგზავრებელი თანხა, თანახმა იყო, 5000 აშშ დოლარის სესხის სახით მიღების სანაცვლოდ, სესხის უზრუნველსაყოფად, თავისი ბინა, მდებარე ქ. ქუთაისში, ... ქ. #4\27-ში, დატვირთულიყო იპოთეკით.

ა. ა-იანმა და ხ. ო-ძემ მოილაპარაკეს და შეთანხმდნენ, რომ ლ. ბ-ძის მოტყუებით, თაღლითურად დაუფლებოდნენ მის კუთვნილ საცხოვრებელ ბინას. ა. ა-იანთან შეთანხმებული თაღლითური განზრახვის სისრულეში მოყვანისა და ლ. ბ-ძის ნდობის მოპოვების მიზნით, ხ. ო-ძემ ლ. ბ-ძეს წინასწარ გამოართვა საცხოვრებელი ბინის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები და დაეხმარა მას ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულების გაფორმებაში. ამის შემდეგ მან ა. ა-იანი სახლის დასათვალისწინებლად მიიყვანა ლ. ბ-ძის საცხოვრებელ ბინაში, სადაც იმყოფებოდა მისი შვილი - მ. ბ-ძე, რომელსაც ხ. ო-ძემ გააცნო ა. ა-იანი და უთხრა, რომ სწორედ ეს უკანასკნელი ასესხებდა ლ. ბ-ძეს საზღვარგარეთ გამგზავრებისათვის საჭირო ფულს და სესხის უზრუნველსაყოფად ბინას თავის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთავდა.

2006 წლის 10 აგვისტოს ლ. ბ-ძე, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრის - ხ. ო-ძის მითითებით, გამოცხადდა ქუთაისში, ... ქ. #5-ში მდებარე ნოტარიუს მ. ბ-ძის სანოტარო ბიუროში, სადაც ხ. ო-ძემ, ა. ა-იანთან წინასწარ შეთანხმებული დანაშაულებრივი გეგმის შესაბამისად, სესხით გათვალისწინებული თანხის გადაცემის გარეშე, ლ. ბ-ძეს, ნდობის ბოროტად გამოყენებითა და მოტყუებით, ნაცვლად იპოთეკის ხელშეკრულებისა, ხელი მოაწერინა #1-16891 სანოტარო აქტზე - მინდობილობაზე უძრავი ქონების გასხვისების უფლებით. ხ. ო-ძემ, თაღლითურად მოპოვებული მინდობილობით მიიღო რა ლ. ბ-ძის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, კერძოდ, ქალაქ ქუთაისში, ... ქ. #4\27-ში მდებარე საცხოვრებელი ბინის განკარგვის უფლება, აღნიშნული ინფორმაცია შეატყობინა ა. ა-იანს, რომელმაც მეორე დღესვე, ანუ 2006 წლის 11 აგვისტოს, ხ. ო-ძესთან შეთანხმებით, ბინის კანონიერი მესაკუთრის - ლ. ბ-ძისაგან მალულად, ისე, რომ მისთვის არ გადაუცია სიტყვიერი მოლაპარაკებით გათვალისწინებული სესხის თანხა, დანაშაულებრივი ქმედების შენიღბვისა და კვალის დაფარვის მიზნით, ხსენებული უძრავი ქონების იპოთეკით დატვირთვის ნაცვლად, ყალბად გააფორმა ნასყიდობის ხელშეკრულება #1-16948, ლ. ბ-ძის, თითქოსდა, რწმუნებულ ხ. ო-ძისაგან ქალაქ ქუთაისში, ... ქ. #4\27-ში მდებარე ბინის 16000 ლარად შესყიდვის შესახებ, რაც საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქუთაისის სარეგისტრაციო სამსახურში დაარეგისტრირა თავის საკუთრებად, რითაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენა დაზარალებულ ლ. ბ-ძეს. ხ. ო-ძემ კი, რომელსაც განზრახული ჰქონდა მიმალვა, გააფრთხილა ა. ა-იანი, რომ ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან ორი თვის განმავლობაში არ მისულიყო ლ. ბ-ძის საცხოვრებელ ბინაში, მათი გამოსახლების მოთხოვნით, რის შემდეგაც 2006 წლის სექტემბრის ბოლოს ხ. ო-ძე მიიმალა.

თაღლითური განზრახვის სისრულეში მოყვანისა და ხ. ო-ძის მიმალვის შემდეგ ა. ა-იანი პერიოდულად უკავშირდებოდა ლ. ბ-ძესა და მისი ოჯახის წევრებს და ემოქრებოდა მათ თავის სახელზე უკანონოდ დარეგისტრირებული საცხოვრებელი ბინიდან გამოსახლებით და მის მიერ თაღლითურად დაუფლებული ბინის უკან დაბრუნების სანაცვლოდ, მართლსაწინააღმდეგოდ სთხოვდა ხ. ო-ძისათვის სესხის სახით, თითქოსდა, გადაცემული ძირითადი თანხის - 5500 აშშ დოლარისა და ყოველთვიური 10%-იანი სარგებლის მისთვის გადახდას.

ა. ა-იანმა, ჩადენილი ჰქონდა რა ზემოთ აღნიშნული დანაშაული, კვლავ განიზრახა თაღლითობის ჩადენა. იგი მოქმედებდა წინასწარ შემუშავებული, უკვე ნაცადი თაღლითური ხერხებით. მასთან დანაშაულებრივ ჯგუფში მყოფ ხ. ო-ძის მეშვეობით 2006 წლის აგვისტოს ბოლოს ა. ა-იანი დაუკავშირდა სამუშაოდ საზღვარგარეთ, კერძოდ, იტალიაში წასვლის მსურველ მ. მ-შვილს, რომელსაც სურდა 5000 აშშ დოლარის სესხის სახით მიღება. ა. ა-იანმა ხ. ო-ძესთან ერთად დაათვალისწინა მ. მ-შვილის კუთვნილი, ქალაქ ქუთაისში, ... ქ. #3\10-ში მდებარე საცხოვრებელი სახლი, მოიწონა იგი და შეუთანხმდა მას, რომ ასესხებდა 5000 აშშ დოლარს 10%-იანი სარგებლით. სესხის უზრუნველსაყოფად კი თავის სასარგებლოდ იპოთეკით დატვირთავდა მის საცხოვრებელ სახლს.

2006 წლის პირველ სექტემბერს მ. მ-შვილი ხ. ო-ძესთან ერთად გამოცხადდა ქალაქ ქუთაისში, ... ქ. #5-ში მდებარე ნოტარიუს მ. ბ-ძის სანოტარო ბიუროში, სადაც მ. მ-შვილსა და ნაცვლად ა.

ა-იანისა, მის შვილს - ქ. ა-იანს შორის გაფორმდა #1-18192 სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მ. მ-შვილმა ქ. ა-იანისაგან, თითქოსდა, ისესხა 7000 აშშ დოლარი, თვეში ოთხი პროცენტის დარიცხვით, ნაცვლად წინასწარ შეთანხმებული 10%-იანი სარგებლით - 5000 აშშ დოლარისა. სესხის უზრუნველსაყოფად კი იპოთეკით დაიტვირთა მ. მ-შვილის კუთვნილი, ქუთაისში, ... ქ. #3\10-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა.

მ. მ-შვილის ნდობის ბოროტად გამოყენებითა და მოტყუებით მასთან გაფორმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების პირობა ა. ა-იანმა არ შეასრულა, არ გადასცა მას წინასწარ შეპირებული 5000 აშშ დოლარი, ხოლო დანაშაულებრივი ჯგუფის წევრი ხ. ო-ძე სექტემბრის ბოლოს მიიძალა, რის შემდეგაც ა. ა-იანი სისტემატურად სთხოვდა მ. მ-შვილსა და მისი ოჯახის წევრებს, თითქოსდა, მ. მ-შვილზე გასესხებული თანხის უკან დაბრუნებას, წინააღმდეგ შემთხვევაში ბინიდან გამოსახლებითა და მისი გასხვისებით ემუქრებოდა.

2006 წლის 2 მარტს ხ. ო-ძეს დაუკავშირდა ქალაქ ქუთაისში, ... ქ. #1ა\31-ში მცხოვრები ნ. ღ-ი, რომელმაც იცოდა, რომ ხ. ო-ძე, გარკვეული საზღაურის გადახდის სანაცვლოდ, ეხმარებოდა მოქალაქეებს საზღვარგარეთის ქვეყნების, კერძოდ, იტალიისა და საბერძნეთის ვიზების დამზადებასა და აღნიშნულ ქვეყნებში სამუშაოდ გამგზავრებაში. მძიმე ეკონომიკური მდგომარეობის გამო ნ. ღ-ს გადაწყვეტილი ჰქონდა იტალიაში სამუშაოდ გამგზავრება. 2006 წლის 2 მარტს ქალაქ ქუთაისში, ... ქუჩაზე, «სისხლის ბანკის» გვერდით, ხუთსართულიანი სახლის პირველ სართულზე განთავსებულ ოფისში, იგი შეხვდა ხ. ო-ძეს, რომელმაც იტალიაში გასამგზავრებელი ვიზის დამზადებასა და წასვლაში დახმარების სანაცვლოდ 3300 ევრო მოსთხოვა, რაზეც ნ. ღ-ი დასთანხმდა.

მიუხედავად იმისა, რომ ხ. ო-ძემ იცოდა, რომ თავისი მდგომარეობიდან გამომდინარე, ვერ შეძლებდა ნ. ღ-ის საზღვარგარეთ გამგზავრებას, მაინც განიზრახა თაღლითურად, მოტყუებით, ნ. ღ-ის ნდობის ბოროტად გამოყენებით, მისი ქონების - 3300 ევროს მართლსაწინააღმდეგოდ დაუფლება. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ნ. ღ-ის ნდობის მოსაპოვებლად, ხ. ო-ძემ მას ვიზის დასამზადებლად, აუცილებლობის მიზნით, თავდაპირველად გამოართვა საქართველოს მოქალაქის პასპორტი, ხოლო ერთი თვის შემდეგ, აპრილის ბოლოს - თითქოსდა, თავდაპირველად შესატანი 500 ევრო, ხოლო დარჩენილი 2800 ევროს გადახდა მოსთხოვა ვიზისა და იტალიაში გამგზავრებისათვის საჭირო სხვა დოკუმენტების დამზადების შემდეგ.

ხ. ო-ძე განაგრძობდა თავის დანაშაულებრივ საქმიანობას და 2006 წლის მაისში ნ. ღ-ს მოსთხოვა დარჩენილი თანხის - 2800 ევროს გადაცემა. მოთხოვნაზე თავდაპირველად ნ. ღ-მა, უკვე გადახდილი 500 ევროს სანაცვლოდ ვიზის დაუმზადებლობისა და დანაპირების შეუსრულებლობის მოტივით, უარი განუცხადა, თუმცა ხ. ო-ძემ ბოროტად გამოიყენა მისი ნდობა და დაარწმუნა იგი 2800 ევროს გადახდის აუცილებლობაში, კიდევ ერთხელ დაუდასტურა მას იტალიაში გამგზავრების უტყუარობა და მეტი დამაჯერებლობისათვის 2800 ევროს მისთვის გადასაცემად იგი დაიბარა «საქართველოს ბანკის» ქუთაისის ფილიალში, სადაც 2006 წლის ივნისში ნ. ღ-მა, მოქალაქე მ. ხ-ძე-მ-მის თანდასწრებით, ხ. ო-ძეს გადასცა 2800 ევრო.

ნ. ღ-მა, დარწმუნებულმა იმაში, რომ ხ. ო-ძისათვის გადაცემული თანხა მოხვედბოდა საბანკო ანგარიშზე, მას მოსთხოვა თანხის გადახდის დამადასტურებელი საბანკო ამონაწერი, რაზეც ხ. ო-ძემ მოიმიზეზა ბანკის საღარიბოებთან ხალხმრავალი რიგის არსებობა და საბანკო ქვითრის ნაცვლად ნ. ღ-ს გადახდილი თანხის დაკარგვის თავიდან აცილების გარანტიად ფურცელზე დაწერილი მისი სახელი და გვარი, ასევე მისი საბანკო ანგარიშის ნომერი გადასცა. აღნიშნულის შემდეგ ნ. ღ-ი პერიოდულად უკავშირდებოდა ხ. ო-ძეს და გადახდილი თანხის სანაცვლოდ იტალიაში გამგზავრებას სთხოვდა, რაზეც ხ. ო-ძე, თითქოს სხვადასხვა ხელის შემშლელი გარემოების მომიზეზებით, იტალიაში გამგზავრების სხვადასხვა თარიღს უსახელებდა.

დანაშაულებრივი კვალის დაფარვისა და თავის განზრახვის შენიღბვის მიზნით, ხ. ო-ძემ ნ. ღ-ი 2006 წლის სექტემბრის დასაწყისში ჩაიყვანა თბილისში, ... ქ. #185-ში განთავსებულ ოფისში, შეახვედრა ვინმე ნ. შ-ძეს და მისი მეშვეობით კიდევ ერთხელ დაჰპირდა იტალიაში გამგზავრებას.

ხ. ო-ძის მიერ პირობის კიდევ ერთხელ დარღვევის გამო ნ. ღ-მა მობილურ ტელეფონზე დაურეკა მას, რომელმაც იტალიაში გამგზავრების საბოლოო თარიღად 2006 წლის 5 სექტემბერი დაუსახელა. ხ. ო-ძის დანაპირების სიმართლეში დასარწმუნებლად ნ. ღ-ი ამჯერად მობილური ტელეფონით დაუკავშირდა ნ. შ-ძეს, რომელმაც უთხრა, რომ ხ. ო-ძე ნ. ღ-ის საზღვარგარეთ გასამგზავრებლად თანხას არ აძლევდა და მისი მოტყუებისა და კვლავ დაიმედების მიზნით, იტალიაში გამგზავრების თარიღად 5 ოქტომბრის დასახელებას სთხოვდა. ნ. შ-ძესთან საუბრის შემდეგ ნ. ღ-ი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ხ. ო-ძემ მოატყუა და განუწყვეტლად ცდილობდა მასთან დაკავშირებას, მაგრამ ხ. ო-ძე, რომელმაც მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრა ნ. ღ-ის კუთვნილი 3300 ევრო, 2006 წლის 20 სექტემბრიდან მიიძალა.

მანვე არაერთგზის, 2004 წლიდან 2006 წლის სექტემბრამდე, ანალოგიური ხერხებითა და მეთოდებით, თაღლითურად, თითქოსდა, საზღვარგარეთ წაყვანის პირობით მოქალაქეებისგან - გ. დ-იანისგან მიიღო 2600 ევრო, რ. დ-მისგან - 3500 აშშ დოლარი, დ. კ-შვილისგან - 4500 აშშ დოლარი, ი. გ-შვილისგან - 3700 ევრო, მ. მ-იანისგან - 4500 აშშ დოლარი, ს. ა-იანისგან - 5550 აშშ დოლარი, ლ. გ-შვილისგან - 4500 აშშ დოლარი, ლ. ჯ-ავასგან - 3500 ევრო და მართლსა-

წინააღმდეგოდ მისაკუთრა, რითაც ზემოთ დასახელებულ მოქალაქეებს მიაყენა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

ბ. ო-მემ, ჩადენილი ჰქონდა რა ზემომითითებული დანაშაულები, კვლავ განიზრახა თაღლითობის ჩადენა, კერძოდ, მან წინასწარი შეთანხმებით, მასთან დანაშაულებრივ ჯგუფში მყოფ ვ. მ-მესთან ერთად, 2500 აშშ დოლარის სესხის სახით გადაცემის სანაცვლოდ, მოქალაქე ზ. ბ-მეს მოტყუებით გააცემინა მინდობილობა მის საკუთრებაში არსებულ, ქალაქ ქუთაისში, ... ქ. 3\33-ში მდებარე ბინაზე, რომლის გამოყენებითაც ბინის მესაკუთრე ზ. ბ-მისაგან მალულად, ყალბად შედგენილი ნასყიდობის ხელშეკრულებით, 2006 წლის 11 ივლისს ზემოაღნიშნული ბინა ხ. ო-მემ და დანაშაულებრივი ჯგუფის წევრმა ვ. მ-მემ, დანაშაულებრივი კვალის დაფარვის მიზნით, გადააფორმეს მოქალაქე მ. ვ-მის სახელზე.

ბ. ო-მემ, მოქმედებდა რა დანაშაულებრივად, ზ. ბ-მის საკუთრებაში არსებულ საცხოვრებელ ბინაზე ქონებრივი უფლების ვ. მ-მისათვის გადაცემისა და ზ. ბ-მის მიერ დაბრუნებული ასევე ნასესხები თანხის - 2500 აშშ დოლარის, თავისივე პროცენტით მთლიანად 2700 აშშ დოლარის - მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით, მიუხედავად იმისა, რომ ნასესხები თანხა ზ. ბ-მემ მას დაუბრუნა, მაინც არ გააუქმა მინდობილობა და ზ. ბ-მეს თავისი ბინა არ დაუბრუნა, პირიქით, აღნიშნული თანხა მიითვისა და მიიმალა.

მანვე არაერთგზის, თითქოსდა, საზღვარგარეთ გამგზავრებისათვის საჭირო თანხის სესხების პირობით, წინასწარი შეთანხმებით, მასთან დანაშაულებრივ ჯგუფში მყოფ ა. ა-იანთან ერთად, საცხოვრებელი ბინების იპოთეკით დატვირთვის ნაცვლად, მოქალაქეებს - ლ. ბ-მესა და მ. მ-შვილს მოტყუებით გააცემინა მინდობილობა, რომლის გამოყენებითაც ბინის მესაკუთრისაგან მალულად, ყალბად შედგენილი ხელშეკრულებების საფუძველზე გაასხვისა ლ. ბ-მის საკუთრებაში არსებული, ქალაქ ქუთაისში, ... ქ. #4\27-ში მდებარე ბინა, ხოლო მ. მ-შვილს არ გადასცა წინასწარი შეთანხმებისამებრ ა. ა-იანისაგან ნასესხები 5000 აშშ დოლარი, აღნიშნული თანხა მიითვისა, ხოლო მისი კუთვნილი, ქალაქ ქუთაისში, ... ქ. #3\10-ში მდებარე საცხოვრებელი ბინა სანოტარო წესით იპოთეკით დატვირთა ა. ა-იანის სასარგებლოდ, თვითონ კი მიიმალა, რითაც დაზარალებულებს მიაყენა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

მანვე არაერთგზის, თითქოსდა, საზღვარგარეთ გამგზავრებისათვის საჭირო თანხის სესხების პირობით, საცხოვრებელი ბინები იპოთეკით დაატვირთვინა მოქალაქეებს - ე. ს-მეს, ა. ქ-შვილსა და ნ. შ-აიას, რომელსაც არ გადასცა წინასწარი შეთანხმებისამებრ იპოთეკარ ლ. მ-იასაგან ნასესხები 5400 აშშ დოლარი, აღნიშნული თანხა მიითვისა და მიიმალა, ხოლო ე. ს-მისა და ა. ქ-შვილის მიერ ხ. ო-მის შუამავლობით ნასესხები თანხა - 3000 აშშ დოლარი და 2100 აშშ დოლარი, მისთვის ამ უკანასკნელთაგან დაბრუნების მიუხედავად, არ გადასცა იპოთეკარებს, რომლებმაც, თავის მხრივ, არ მოხსნეს იპოთეკა მსესხებელთა ბინებზე და, შესაბამისად, არ დაუბრუნდათ მათ ბინები. ხ. ო-მემ კი თანხა მიითვისა და მიიმალა, რითაც დაზარალებულებს მიაყენა მნიშვნელოვანი მატერიალური ზიანი.

ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 13 ოქტომბრის განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მსჯავრდებულმა ა. ა-იანმა და მისმა დამცველმა ადვოკატებმა - ი. კ-მემ, კ. კ-მემ და ვ. ბ-მემ, აგრეთვე, მსჯავრდებულმა ხ. ო-მემ.

აპელანტი, მსჯავრდებული ა. ა-იანი და მისი ინტერესების დამცველი ადვოკატები თავიანთი სააპელაციო საჩივრით ითხოვდნენ გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებასა და მის ნაცვლად გამამართლებელი განაჩენის დადგენას იმ მოტივით, რომ გასაჩივრებული განაჩენი არის უკანონო და დაუსაბუთებელი; აპელანტების განმარტებით, ა. ა-იანმა იცოდა, რომ ხ. ო-მე ცნობილი ბიზნესის წარმომადგენელი იყო და ამიტომ ჩადო გარკვეული თანხა ბიზნესში, ასეც მის კლიენტებს ფული და სესხის ამოღების უზრუნველსაყოფად იპოთეკით დატვირთა მათი ბინები, შესაბამისად, უნდოდა სარგებლის მიღება 10%-ის მოგებით. აპელანტები აღნიშნავენ, რომ შეუძლებელია, დაზარალებულები არ ყოფილიყვნენ ინფორმირებული, თუ რას აწერდნენ ხელს. ა. ა-იანმა ორივე დაზარალებულის ბინაში გადაიხადა გარკვეული თანხა, საიდანაც ელოდა 10%-იან მოგებას, აღნიშნულ ქმედებაში კი თაღლითობა არანაირად არ იკვეთება. ამასთან, საქმის განხილვისას დაირღვა მოწმის დაკითხვის წესი, ასევე დაირღვა სსსკ-ის 475-ე და 479-ე მუხლების მოთხოვნები, არ გამოკვლეულა საქმეში არსებული მტკიცებულებები და ასევე ფარული აუდიო-ვიდეოჩანაწერი, რაც, შესაბამისად, არ უნდა დასდებოდა საფუძველად გამამტყუნებელი განაჩენის დადგენას.

აპელანტი, მსჯავრდებული ხ. ო-მე სააპელაციო საჩივრით ითხოვდა თავისი ქმედების დაკვალიფიცირებას საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილებით იმ მოტივით, რომ მის ქმედებაში წინასწარი განზრახვა არ ყოფილა, მას ინიციატივა არ გამოუჩენია, დაზარალებულები თვითონ მივიდნენ მასთან საზღვარგარეთ გამგზავრების მოთხოვნით; ამასთან, გულწრფელი აღიარების, მონანიებისა და ოჯახური მდგომარეობის გათვალისწინებით, ითხოვა სასჯელის შემსუბუქება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 11 იანვრის განაჩენით ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 13 ოქტომბრის განაჩენში შევიდა შემდეგი ცვლილება: ა. ა-იანსა და ხ. ო-მეს ბრალდებიდან ამოერიცხათ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის პირველი ნაწილითა და იმავე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «ბ» ქვეპუნქტებით შერაცხული ბრალდება, როგორც ზედმეტად წარდგენილი, ხოლო განაჩენი სხვა ნაწილში დარჩა უცვლელად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულების - ა. ა-იანისა და ხ. ო-ძის მიმართ და შეამოწმა საკასაციო საჩივრების საფუძვლიანობა, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივრები არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ ა. ა-იანისა და ხ. ო-ძის ბრალდების საქმეში წარმოდგენილია საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები, რომლებითაც დასტურდება, რომ მათ ნამდვილად ჩადინეს თაღლითობა, წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფურად, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ასევე - დიდი ოდენობითა და არაერთგზის. მათი ბრალეულობა დადასტურებულია თვით დაზარალებულებისა და მოწმეების ჩვენებით, ნაწილობრივ თვით მსჯავრდებულ ხ. ო-ძის ჩვენებითა და საქმეში არსებული სხვა მტკიცებულებებით, რომლებიც მოპოვებულია წინასწარი და სასამართლო გამოძიების სტადიაზე საპროცესო ნორმების დაცვით.

ამავე დროს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ხ. ო-ძის მიმართ შერაცხული ბრალდება ორ ეპიზოდში - კერძოდ, დაზარალებულების - ა. ქ-შვილისა და ე. ს-ძის მიმართ თაღლითობის ჩადენის ეპიზოდებში - არ არის დადასტურებული სხვა უტყუარი მტკიცებულებებით, გარდა თვით ხ. ო-ძის მიერ პირველი ინსტანციის სასამართლოში მიცემული აღიარებითი ჩვენებისა, რომელშიც ის მხოლოდ ზოგადად აცხადებს, რომ თავს ცნობს დამნაშავედ აღნიშნულ ეპიზოდებშიც. საქართველოს კონსტიტუციისა და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის მიხედვით, პირის დამნაშავედ ცნობა არ შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ ბრალდებულის (მსჯავრდებულის) აღიარებას, რომელიც არ არის დადასტურებული სხვა უტყუარი მტკიცებულებებით, რის გამოც მსჯავრდებულ ხ. ო-ძის მიმართ უნდა შეწყდეს სისხლისსამართლებრივი დევნა დაზარალებულების - ა. ქ-შვილისა და ე. ს-ძის მიმართ მკვალიფიცირებელ გარემოებებში თაღლითობის ჩადენის ბრალდების ნაწილში.

რაც შეეხება გასაჩივრებული განაჩენით მსჯავრდებულ ხ. ო-ძისათვის ბრალად შერაცხულ სხვა დანაშაულებრივ ქმედებებს, აგრეთვე, მსჯავრდებულ ა. ა-იანისათვის ბრალად შერაცხული დანაშაულებრივი ქმედების ეპიზოდებს, საქმეში არ არსებობს სხვა ისეთი მტკიცებულებები, რომლებითაც გაბათილდებოდა, ანდა ეჭვქვეშ დადგებოდა ა. ა-იანისა და ხ. ო-ძის მიმართ აღნიშნულ ნაწილში განაჩენით შერაცხული ბრალდება. ამდენად, განხილული გარემოებებიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლოს განაჩენით საბოლოოდ სწორად არის დაკვალიფიცირებული მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი ის ქმედებები, რომლებიც მათ უნდა შეერაცხოთ და არ არსებობს საფუძველი აღნიშნული კვალიფიკაციის შეცვლისათვის.

რაც შეეხება სასამართლოს მიერ მსჯავრდებულების - ა. ა-იანისა და ხ. ო-ძის მიმართ დანიშნულ სასჯელებს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ ისინი განსაზღვრულია მსჯავრდებულთა მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმის, დამდგარი შედეგებისა და თვით მსჯავრდებულთა პიროვნების გათვალისწინებით, რის გამოც არ არსებობს საფუძველი მათი შეცვლისათვის.

ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ დაზარალებული ე. ს-ძე საქმეში არ არის ცნობილი სამოქალაქო მოსარჩელედ და მისი სახელით არც სამოქალაქო სარჩელია წარდგენილი მსჯავრდებულ ხ. ო-ძის მიმართ. ასევე დაზარალებული ა. ქ-შვილი საქმეში, მართალია, ცნობილია სამოქალაქო მოსარჩელედ, მაგრამ არც მას აქვს წარდგენილი სამოქალაქო სარჩელი ხ. ო-ძის მიმართ რაიმე მოთხოვნით, ამიტომ საქმეში აღნიშნული დაზარალებულების მიმართ ხ. ო-ძის მოპასუხედ ცნობა იყო უკანონო.

ხსენებული გარემოებების გათვალისწინებით, გასაჩივრებული განაჩენის სარეზოლუციო ნაწილიდან უნდა ამოირიცხოს მითითება მსჯავრდებულ ხ. ო-ძისათვის დაზარალებულ ა. ქ-შვილის სასარგებლოდ 2 100 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის, ხოლო დაზარალებულ ე. ს-ძის სასარგებლოდ - 3000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაკისრების შესახებ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 11 იანვრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილებები მსჯავრდებულ ხ. ო-ძის მიმართ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

დ ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ ა. ა-იანის დამცველი ადვოკატების - კ. კ-ძისა და ვ. ბ-ძის საკასაციო საჩივარი, აგრეთვე, მსჯავრდებულ ხ. ო-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 11 იანვრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ ხ. ო-ძის მიმართ შეწყდეს სისხლის-სამართლებრივი დევნა დაზარალებულების - ა. ქ-შვილისა და ე. ს-ძის მიმართ თაღლითობის ჩადენის ბრალდების ნაწილში; შესაბამისად, აღნიშნული განაჩენის სარეზოლუციო ნაწილიდან ამოირიცხოს მითითება მსჯავრდებულ ხ. ო-ძისათვის დაზარალებულ ე. ს-ძის სასარგებლოდ 3000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის, ხოლო დაზარალებულ ა. ქ-შვილის სასარგებლოდ 2 100 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის დაკისრების შესახებ.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.
საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თაღლითობა

განჩინება

#753-აპ

14 ნოემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),
- დ. სულაქველიძე,
- პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ ნ. ი-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 28 მარტის განაჩენზე ნ. ი-შვილისა და მ. ხ-ძის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2007 წლის 18 ოქტომბრის განაჩენით ნ. ი-შვილი ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტითა (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) და 24-ე, 373-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დიდი ოდენობით დაუფლება მოტყუებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; ასევე - დანაშაულის შესახებ ცრუ დასმენის მოწყობა.

ამავე განაჩენით მ. ხ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „ბ“, „გ“ ქვეპუნქტებითა (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია) და 373-ე მუხლის 1-ლი ნაწილით იმაში, რომ ჩაიდინა თაღლითობა, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, არაერთგზის, წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია; ასევე - დანაშაულის შესახებ ცრუ დასმენა.

განაჩენით დადგენილად იქნა მიჩნეული შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

2006 წლის აგვისტოში ფინანსური პოლიციის საგამომიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს პირველი სამმართველოს წარმოებაში არსებულ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, დააკავეს და საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 197-ე მუხლის მე-2 ნაწილით, მე-200 მუხლის მე-2 ნაწილის „ა“, „გ“ ქვეპუნქტებითა და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის სისხლის სამართლის პასუხისგებაში მისცეს ს. კ-ძე, რომელსაც აღკვეთის ღონისძიების სახით შეეფარდა წინასწარი პატიმრობა. ს. კ-ძის მეუღლე ლ. კ-აკი თავისი ნათესავის - გ. კ-შვილის მეშვეობით დაუკავშირდა ადვოკატ ნ. ი-შვილს, რომელსაც სთხოვა მეუღლის ინტერესების დაცვა. ისარგებლა აღნიშნული სიტუაციით და ნ. ი-შვილმა განიზრახა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, თაღლითურად დაუფლებოდა ლ. კ-აკის ქონებას (თანხას) და თავისი მომსახურებისათვის აღებული 300 აშშ დოლარის გარდა, დამატებით, ექსპერტიზისა და სხვა პრობლემების მოსაგვარებლად, ლ. კ-აკს გ. კ-შვილის მეშვეობით მოსთხოვა 15000 აშშ დოლარი. ლ. კ-აკმა მხოლოდ 2500 აშშ დოლარის მოგროვება შეძლო, საიდანაც 2006 წლის აგვისტოში, ზუსტი რიცხვი დაუდგენელია, გ. კ-შვილმა ნ. ი-შვილს გადასცა მხოლოდ 2000 აშშ დოლარი (ეროვნულ ვალუტაში - 3509 ლარი), რაც მან თაღლითურად მიითვისა.

აღნიშნულის შემდეგ ნ. ი-შვილმა ლ. კ-აკს მოსთხოვა 10000 აშშ დოლარის გადახდა, რაც მას უნდა გაენაწილებინა საქმეზე ზედამხედველი პროკურორისათვის, რომელიც მისი მეზობელი იყო, და მოსამართლისათვის, რის სანაცვლოდ ს. კ-ძეს შეუმსუბუქებოდა მაკვალიფიცირებული მუხლი და შესაძლებელი გახდებოდა საპროცესო შეთანხმების დამტკიცება ჯარიმის გადახდით, დამატებით - 15000 ლარის ოდენობით. ვინაიდან ლ. კ-აკს არ გააჩნდა აღნიშნული თანხა, ნ. ი-შვილს განუმარტა, რომ საკუთარი საცხოვრებელი ბინის დაგირავებით შეძლებდა თანხის სესხებას. ნ. ი-შვილმა მას გააცნო თავისი თანამშრომელი თ. გ-ძე, რომელიც მიეხმარებოდა მას თანხის სესხებისათვის საორგანიზაციო საკითხების მოგვარებაში. მართლაც, 2006 წლის 29 სექტემბერს ლ. კ-აკმა, ნ. ი-შვილისა და თ. გ-ძის დახმარებით, შეძლო თავისი ბინის დაგირავება და 5%-იანი სარგებლის გადახდით სესხის სახით მიიღო 10000 აშშ დოლარი (ეროვნულ ვალუტაში - 17360 ლარი). აღნიშნული თანხა მან, თავისი ძმის - დ. კ-აკისა და თ. გ-ძის თანდასწრებით, გადასცა ნ. ი-შვილს მის ოფისში, მდებარე თბილისში, ... 33-ში. მითითებული თანხა ნ. ი-შვილმა თაღლითურად მიითვისა და ლ. კ-აკს მიაყენა მნიშვნელოვანი მატერიალური და მორალური ზიანი.

ჰქონდა რა ჩადენილი ზემოხსენებული დანაშაული, ნ. ი-შვილმა არ გამოიტანა შესაბამისი დასკვნა და 2007 წლის აპრილის დასაწყისში, ზუსტი რიცხვი დაუდგენელია, განიზრახა, მოეწყო დანაშაულის ჩადენის შესახებ ცრუ დასმენა. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად იგი დანაშაულებრივად დაუკავშირდა თავის ძველ ნაცნობ მ. ხ-ძეს, რომელსაც 1500 ლარის სანაცვლოდ შესთავაზა დანაშაულის ჩადენის შესახებ ცრუ დასმენა, კერძოდ: საგამომიებო ორგანოებისათვის მას უნდა განეცხადებინა და მიეცა ჩვენება დანაშაულის ჩადენის შესახებ, რომ, თითქოსდა, თბილისში, ... დასახლებაში, რადიოქარხნის მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული საცხოვრებელი კორპუსის პირველ სართულზე, დაქირავებულ ფართში, არარსებული პირი ნ. კ-ძე (რომელიც, თითქოსდა, სარგებლობდა მობილური ტელეფონით - 893-...) და ვინმე „მერაბი“ ეწოდნენ ყალბი აქტიური მარკებისა და სხვა დოკუმენტების დამზადებას, რასაც სხვადასხვა ადგილზე უკეთებდნენ რეალიზაციას.

2007 წლის 14 აპრილს მ. ხ-ძემ განცხადებით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას ზემოაღნიშნული, არარსებული დანაშაულის ჩადენის შესახებ, რომლის საფუძველზეც იმავე დღეს დაიწყო წინასწარი გამოძიება სისხლის სამართლის #74078192 საქმეზე, ყალბი აქტიური მარკების დამზადება-გასაღების ფაქტზე, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის მე-200¹ მუხლის 1-ლი ნაწილით. მ. ხ-ძეს ჩამოერთვა ხელწერილი ცრუ დასმენაზე საქართველოს სსკ-ის 373-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ და დაიკითხა მოწმის სახით, რა დროსაც მან დაადასტურა თავის განცხადებაში მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებები. გამოძიებამ ჩაატარა მთელი რიგი ოპერატიულ-საგამომიებო მოქმედებებისა, რის შედეგადაც დანაშაულის ჩადენის ფაქტი არ დადასტურდა. ამდენად, ამ ქმედებამ ხელი შეუშალა სასამართლო ხელისუფლებისა და საგამომიებო ორგანოების ნორმალურ საქმიანობას, ფუჭად დაიკარგა ამ ორგანოების ენერგია და დრო.

2003 წლის ოქტომბერში მ. ხ-ძემ განიზრახა, მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, დაუფლებოდა რომელიმე მოქალაქის კუთვნილ თანხას. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად იგი მივიდა ყოფილ თანამშრომელ ლ. მ-ძესთან, რომელიც დაავადებული იყო მენჯ-ბარძაყის სახსრის კოქსართროზით, საჭიროებდა სასწრაფო ოპერაციას და არ გააჩნდა ამისათვის საჭირო თანხა - 5347 ლარის ოდენობით. მ. ხ-ძემ ლ. მ-ძესა და მის მეუღლეს - დ. ჯ-ძეს აღუთქვა დახმარება და შეჰპირდა მათ, რომ თბილისის საკრებულოდან, თავისი ნაცნობების დახმარებით, გადმორიცხვდა ოპერაციისათვის საჭირო თანხას, რისთვისაც საზღაურის სახით მოითხოვა 500 აშშ დოლარი. მ. ხ-ძემ დ. ჯ-ძის ნდობა ბოროტად გამოიყენა, სხვადასხვა დროს, ნაწილ-ნაწილ გამოართვა მას აღნიშნული თანხა და მიიმალა, რითიც დაზარალებულს მიაყენა 500 აშშ დოლარის (ეროვნულ ვალუტაში - 1050 ლარის) მნიშვნელოვანი ზიანი.

ჩადენილი ჰქონდა რა დანაშაული, მ. ხ-ძემ 2005 წლის ზაფხულში, ზუსტი დრო დაუდგენელია, განიზრახა, მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, არაერთგზის დაუფლებოდა რომელიმე მოქალაქის კუთვნილ თანხას. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად იგი დანაშაულებრივად დაუკავშირდა თავის ნაცნობ მ. ე-შვილს, რომელიც, მ. ხ-ძესთან შეთანხმებით, მივიდა ნაცნობთან - ნ. ქ-შვილთან და აცნობა, რომ, მსურველების არსებობის შემთხვევაში, 300 აშშ დოლარის სანაცვლოდ, მ. ხ-ძე კომპანია „კოკა-კოლაში“ დააწყებინებდა მუშაობას. ნ. ქ-შვილმა ამის შესახებ უამბო მეუღლეს - დ. ქ-შვილსა და ნაცნობს - გ. ბ-ოვს, რომლებმაც გამოთქვეს სურვილი, დაეწყოთ მუშაობა და ამის სანაცვლოდ გადაეხადათ მოთხოვნილი თანხა. მ. ხ-ძემ და მ. ე-შვილმა ბოროტად გამოიყენეს აღნიშნული პირების ნდობა და თბილისში, ოპერის თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე, დ. ქ-შვილს გამოართვეს 300 აშშ დოლარი, ხოლო გ. ბ-ოვს - 170 აშშ დოლარი, რასაც თაღლითურად დაეუფლნენ და დაზარალებულებს მიაყენეს მნიშვნელოვანი ზიანი.

აღნიშნული ქმედებისათვის მ. ხ-ძეს საბოლოოდ მიესაჯა 4 წლით თავისუფლების აღკვეთა, ხოლო ნ. ი-შვილს - 10 წლით თავისუფლების აღკვეთა და ჯარიმა - 10 ათასი ლარის ოდენობით. ნ. ი-შვილს დაზარალებულ ლ. კ-აკის სასარგებლოდ დაეკისრა 22500 ლარის გადახდა, მ. ხ-ძეს დაზარალებულ დ. ჯ-ძის სასარგებლოდ - 1050 ლარის გადახდა.

ნ. ი-შვილს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 28 მაისიდან, ხოლო მ. ხ-ძეს - 2007 წლის 29 მაისიდან; მასვე სასჯელის მოხდაში ჩათვალა პატიმრობაში ყოფნის ერთი დღე - 2006 წლის 17 ივნისი.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ ნ. ი-შვილის ინტერესების დამცველმა პ. ხ-შვილმა. მან ითხოვა განაჩენის გაუქმება და მსჯავრდებულის გამართლება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 მარტის განაჩენით სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და გასაჩივრებული განაჩენი დარჩა უცვლელად.

კასატორი - მსჯავრდებულ ნ. ი-შვილის ადვოკატი ზ. ხ-შვილი საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლო იყო მიკერძოებული, არ იმსჯელა დაცვის მხარის მიერ წარდგენილ არც ერთ მტკიცებულებაზე, რომელიც ამართლებდა ნ. ი-შვილს; აღნიშნულის გამო განაჩენი უკანონო და დაუსაბუთებელია, ამიტომ იგი უნდა გაუქმდეს, ხოლო მსჯავრდებული გამართლდეს, შემდეგ გარემოებათა გამო:

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი აგებულია ძირითადად დაზარალებულ ლ. კ-აკის ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებებზე; სასამართლომ არ იმსჯელა კანონის დაცვით გაფორმებულ 2006 წლის 30 სექტემბრის ხელშეკრულებაზე, რომელიც, თუ ლ. კ-აკმა მასზე ხელი მოაწერა, დაზარალებულს უნდა ჰქონოდა წაკითხული, ხოლო, თუ ხელმოწერა მას არ ეკუთვნის, უნდა

გარკვეულიყო ხელმომწერის ვინაობა; სააპელაციო პალატამ ასევე არ იმსჯელა ნ. ი-შვილის მიერ გადახდილ თანხებთან დაკავშირებით, რითიც დაარღვია ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის 6.1 მუხლი; ნ. ი-შვილმა დაიცვა ხელშეკრულების გაფორმების ყველა კანონიერი მეთოდი; იმ შემთხვევაში, თუ ლ. კ-აკმა მოტყუებით მოაწერა ხელი ხელშეკრულებაზე, მაშინ ეს არის მოტყუებით დადებული გარიგება, რომელიც მოწესრიგებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 81-ე მუხლით; ვინაიდან, ამავე კოდექსის 84-ე მუხლის თანახმად, გასულია ხელშეკრულების გასაჩივრების ხანდაზმულობის ერთწლიანი ვადა, ზემოაღნიშნული ხელშეკრულება ძალაშია და ის არავის უცვნია ბათილად, ხოლო განაჩენში ნ. ი-შვილის მიერ თაღლითობის ჩადენაზე მითითება - აბსურდულია.

კასატორის აზრით, სასამართლომ ხელშეკრულებაზე წინ დააყენა დაინტერესებული მოწმეების ჩვენებები; ვინაიდან ადვოკატმა ნ. ი-შვილმა კანონიერი გზით ვერ მიაღწია საპროცესო შეთანხმების გაფორმებას, ლ. კ-აკმა გადაწყვიტა ჰონორარის სახით გადახდილი თანხის უკან დაბრუნება პროცენტის დამატებით, რაზეც ნ. ი-შვილისაგან მიიღო უარი; იმის ნაცვლად, რომ ლ. კ-აკს წარმოშობილი დავის გადასაწყვეტად მიემართა სასამართლოსათვის სამოქალაქო წესით, მან 2007 წლის 17 მარტს განცხადებით მიმართა საგამომიებო ორგანოებს და ისინი განაწყობა ნ. ი-შვილის წინააღმდეგ პროკურორისა და სასამართლოს დასახელებით, რომლებსთვისაც ადვოკატს, თითქოსდა, ფული უნდა გადაეცა საპროცესო შეთანხმების გაფორმების სანაცვლოდ, რაც გახდა ნ. ი-შვილის მიმართ არაობიექტური და ტენდენციური გამოძიების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი; ის ფაქტი, რომ ლ. კ-აკისათვის ძალიან კარგად იყო ცნობილი მასა და ადვოკატ ნ. ი-შვილს შორის დადებული ხელშეკრულების რეალური არსი, დასტურდება ლ. კ-აკის 2007 წლის 16 თებერვლის განცხადებითაც, რომლითაც იგი ითხოვდა ადვოკატისაგან, მიემართა პროკურატურისათვის ს. კ-ძესთან საპროცესო გარიგების დადების მიზნით, რაც ნ. ი-შვილმა შეასრულა, მაგრამ მიიღო უარყოფითი პასუხი; დაზარალებულისათვის კარგად იყო ცნობილი განსხვავება ქრთამის მიცემასა და საპროცესო შეთანხმების გაფორმებას შორის, ამიტომ ის თვითონ არის თაღლითობის თანაავტორი.

საჩივრის ავტორი ასევე აღნიშნავს, რომ სასამართლომ დაარღვია ევროპის ადამიანის უფლებათა დაცვის კონვენციის მე-6 მუხლის მოთხოვნები - სამართლიანი სასამართლოსა და სამართლიანი და დასაბუთებული განაჩენის მიღების უფლება; ბუნდოვანი და დაუკონკრეტებელია ნ. ი-შვილის მიერ, თითქოსდა, თაღლითური გზით მითვისებული თანხის საბოლოო ოდენობა; საბრალდებო დასკვნაში მითითებული რიცხვების დაანგარიშებით, ამ თანხამ, ალბათ, უნდა შეადგინოს 20869 ლარი, ლ. კ-აკის მიერ ხელმომწერილი ოფიციალური იურიდიული და სახელალტრო დოკუმენტებით კი - 18900 ლარი; ამასთან, განაჩენში არასწორადაა მითითებული, რომ, თითქოს, მსჯავრდებულმა მთლიანად მიითვისა აღნიშნული თანხა; გაუგებარია, გამოძიებამ და სასამართლომ რატომ არ გაითვალისწინეს ს. კ-ძის ინტერესების დაცვასთან დაკავშირებით სახელმწიფო ბიუჯეტისათვის გადახდილი თანხა; ნ. ი-შვილს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ გადახდილი აქვს საშემოსავლო გადასახადი - 2000 ლარის ოდენობით; ლ. კ-აკისა და მისი ოჯახის წევრების ჩვენებების გაზიარებით, ნ. ი-შვილის მიერ, თითქოსდა, თაღლითური გზით მითვისებული მაქსიმალური თანხა არ აღემატება 8869 ლარს, მაგრამ სასამართლო იმდენად არაობიექტური იყო, რომ „მსჯავრდებულს იმდენ თანხას დააკისრებდა, რამდენსაც პროკურატურა მოითხოვდა».

სასამართლომ არ გაიზიარა თ. გ-ძის ჩვენება, წინასწარმა გამოძიებამ 5 თვის განმავლობაში საერთოდ არ დაკითხა ის; თ. გ-ძისაგან ობიექტური ჩვენების მიღებისათვის ხელის შეშლის მიზნით, წინასწარმა გამოძიებამ, საგამომიებო მოქმედების საბაზით, სასამართლოში ჩვენების მიცემამდე ერთი დღით ადრე მიიყვანა საგამომიებო ორგანოში, სადაც იგი პრაქტიკულად დაიკითხა ნ. ი-შვილის საქმიანობასთან დაკავშირებულ საკითხებზე, რითიც შენიღბული ფორმით სცადეს მასზე ზეგავლენის მოხდენა, თუმცა - უშედეგოდ; დაკითხვისას თ. გ-ძემ არ დაადასტურა ლ. კ-აკისა და მისი ოჯახის წევრების ჩვენებები და დამაჯერებლად განმარტა, რომ დაზარალებულის მიერ ნ. ი-შვილისათვის გადახდილი თანხა იყო მხოლოდ ჰონორარი და ვინმესთვის ქრთამის მიცემაზე საუბარი საერთოდ არ ყოფილა; სამწუხაროდ, სასამართლომ არ გაიზიარა ეს ჩვენება, სამაგიეროდ, გაიზიარა ლ. კ-აკის ძმის, რძლისა და მეუღლის ბიძაშვილის მოგონილი ჩვენებები მსჯავრდებულის საწინააღმდეგოდ, რითიც დაარღვია მხარეთა თანასწორობის უფლება.

გაუგებარია, რატომ ჩათვალეს წინასწარმა გამოძიებამ და სასამართლომ, რომ ადვოკატმა ნ. ი-შვილმა 2007 წლის 17 მარტის მდგომარეობით უკვე მოატყუა ლ. კ-აკი და ფაქტობრივად მიიჩნია იგი ექვიმიტანილად თაღლითობაში (თუმცა ოფიციალურად ის არ ცნეს ექვიმიტანილად), მაშინ, როდესაც იმ დროისათვის და თუნდაც 2007 წლის 28-30 მაისისათვის ს. კ-ძის საკითხი დასრულებული არ იყო; ადვოკატმა მისი ინტერესები დაიცვა მხოლოდ წინასწარ გამოძიებასა და პირველი ინსტანციის სასამართლოში და, იურიდიული დოკუმენტების შესაბამისად, მას უნდა გაეგრძელებინა თავისი საქმიანობა დარჩენილ სასამართლო ინსტანციებში, რისი საშუალებაც არ მიეცა; აქედან გამომდინარე, გამოიკვეთა ნ. ი-შვილის დაპატიმრებისა და გასამართლების ერთადერთი საფუძველი - ლ. კ-აკისა და მისი ოჯახის წევრების ჩვენებები; მათ გარდა, ბრალდების მხარის არც ერთმა მოწმემ (გ. კ-შვილმა, ზ. რ-შვილმა, ვ. დ-ძემ) არ დაადასტურა ლ. კ-აკის ჩვენებები იმის შესახებ, რომ 10 ათასი აშშ დოლარი ადვოკატს ქრთამის სახით უნდა გადაეცა რომელიმე თანამდებობის პირისათვის; აღნიშნული პირები დაზარალებულმა თავად დაასახელა მოწმეებად, მაგრამ მათ დაადასტურეს მხოლოდ ლ. კ-აკის მიერ სესხის აღების ფაქტი, რომელიც სჭირდებოდა საპროცესო შეთანხმებისათვის; ზემოაღნიშნულ

მოწმეთა ჩვენებების შინაარსის გათვალისწინებით, გაურკვეველია, რა კონტექსტში მოიყვანა იგი სასამართლომ თავის განაჩენში ნ. ი-შვილის საწინააღმდეგოდ.

დაცვის მხარის შუამდგომლობით სასამართლოზე მოწმედ დაკითხულმა თ. გ-მემ კატეგორიულად უარყო ნ. ი-შვილის მიერ თაღლითობის ჩადენა და აჩვენა, რომ ადვოკატი ლ. კ-აკს არ შეჰპირებია თანხის პროკურორის ან მოსამართლისათვის გადაცემას საპროცესო შეთანხმების გაფორმების მისაღწევად; ამრიგად, ამ ეპიზოდში წარდგენილი ბრალდება დადასტურებულია მხოლოდ საქმის შედეგით დაინტერესებული და ადვოკატზე განაწევილი ლ. კ-აკისა და მისი ოჯახის წევრების ჩვენებებით, რომლებიც საქმის მასალებით არ დასტურდება და არ წარმოადგენს უტყუარ მტკიცებულებებს, ამიტომ მხოლოდ დაზარალებულისა და მისი ოჯახის წევრების ცრუ ჩვენებები არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანას; მათი ჩვენებების შეფასებისას არ შეიძლება მხედველობაში არ იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ, მათივე ჩვენებებიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ 2006 წლის აგვისტო-სექტემბრიდან იყო ცნობილი, რომ ნ. ი-შვილის მხრიდან მზადდებოდა მძიმე დანაშაულის - ქრთამის მიცემა-აღების ჩადენა, მაგრამ მათ ამის შესახებ სათანადო ორგანოებს არ შეატყობინეს, პირიქით, მათ ადვოკატს მისცეს თანხმობა და, როგორც თვითონ აღნიშნავენ, ფულიც; მას შემდეგ, რაც ადვოკატმა ვერ მიაღწია სასურველ შედეგს, ლ. კ-აკმა განცხადებით მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს. ეს გარემოებებიც სასამართლომ სათანადოდ არ შეაფასა.

რაც შეეხება ნ. ი-შვილისათვის საქართველოს სსკ-ის 24,373-ე მუხლის 1-ლი ნაწილით წარდგენილ ბრალდებას, ადვოკატის აზრით, ამ ეპიზოდშიც რაიმე უტყუარი მტკიცებულება მოპოვებული არ ყოფილა; მ. ხ-მე თავდაპირველ ჩვენებებში ნ. ი-შვილს რაიმე დანაშაულის ჩადენაში არ ამხელს; მხოლოდ 2007 წლის 28 მაისს, მოწმის სახით დამატებით დაკითხვისას, მან განმარტა, რომ მის მიერ 2007 წლის 14 აპრილის დაწერილი განცხადება და ჩვენება იყო არასწორი და ასეთი განცხადების შედგენის ინიციატორი იყო ნ. ი-შვილი, რომელმაც ამ ქმედებისათვის მას შესთავაზა 1500 ლარი. სასამართლო სხდომაზე დაკითხვისას მ. ხ-მემ კვლავ შეცვალა მამხილებელი ჩვენება და განაცხადა, რომ მან დაარწმუნა ნ. ი-შვილი, რომ მის მიერ მითითებული სტამბა ნამდვილად არსებობდა, სადაც სისტემატურად მზადდებოდა ყალბი ანგარიშ-ფაქტურები და აქციზური მარკები და მის მიერ დასახელებული პირები რეალურად არსებობდნენ; ამ ინფორმაციისათვის ნ. ი-შვილს არ უნდა მიეცა 1500 ლარი, მაგრამ უნდა ესესხებინა 1000 ან 2000 ლარი; აღნიშნულ ჩვენებაში მ. ხ-მემ კატეგორიულად უარყო ნ. ი-შვილის მიერ დანაშაულის შესახებ ცრუ დასმენის ორგანიზება. 2007 წლის 17 ოქტომბერს მ. ხ-მის ადვოკატმა წარმოადგინა მ. ხ-მის შუამდგომლობა, რომლითაც ის ითხოვდა დამატებით დაკითხვას, ვინაიდან წინა სხდომებზე, ნ. ი-შვილის სასარგებლო ჩვენების მიცემისას, იყო შეუძლოდ; მიუხედავად იმისა, რომ დარღვეული იყო შუამდგომლობის წარდგენის ხუთდღიანი ვადა, სასამართლომ მაინც დააკმაყოფილა იგი, მაგრამ სხდომაზე მ. ხ-მემ კვლავ არ მისცა ნ. ი-შვილის საწინააღმდეგო ჩვენება, გახდა ცუდად, რის გამოც სხდომა გადაიდო მეორე დღისათვის; 2007 წლის 18 ოქტომბერს აშკარა იყო, რომ მ. ხ-მეზე ხორციელდებოდა ზეწოლა, რის შედეგადაც მან კვლავ მისცა ცრუ ჩვენება ნ. ი-შვილის მიმართ; აღსანიშნავია, რომ ობიექტური და სწორი ჩვენების მიცემისას მ. ხ-მე იყო ჯანმრთელი და არავითარი საჩივარი ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებით მას არ განუცხადებია; საყურადღებოა, რომ არაერთი დაზარალებულის ჩვენებით დადასტურდა, რომ ეს პირი სისტემატურად, წლების განმავლობაში ატყუებდა ადამიანებს მათგან თანხების გამოძალვისა და მითვისების მიზნით, რის გამოც მასზე გამოცხადებული იყო ძებნა; ასეთ ვითარებაში სარწმუნო არ არის მ. ხ-მის ბოლო ჩვენებები, რომლებიც მიცემულია შეღავათიანი სასჯელის მიღებისა და თავის გადარჩენის მიზნით. საბოლოოდ, ნ. ი-შვილის საწინააღმდეგო ჩვენების მიცემის სანაცვლოდ, მ. ხ-მეს ამ ეპიზოდისათვის მიესაჯა სასჯელის მინიმუმი - 1 წელი, ხოლო ნ. ი-შვილს მაქსიმუმი - 3 წელი.

ადვოკატ ზ. ხ-შვილის აზრით, გარდა მ. ხ-მის არათანმიმდევრული, ურთიერთსაწინააღმდეგო და აშკარად არასწორი ჩვენებებისა, ნ. ი-შვილის მიმართ ამ ეპიზოდში სხვა რაიმე უტყუარი მტკიცებულება საქმეში არ მოიპოვება; თავად ნ. ი-შვილის განმარტებით, მ. ხ-მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია, მისი დადასტურების შემთხვევაში, მას ესაჭიროებოდა ს. კ-მის საქმეზე გამოსაყენებლად. ნაცვლად იმისა, რომ დეტალურად შეემოწმებინათ მ. ხ-მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია, გამოძიებამ, მობილური ტელეფონების კუთვნილობიდან გამომდინარე, გააკეთა მცდარი დასკვნა, რომ დასახელებული პირები მოგონილი იყო; საგამოძიებო ორგანოებმა არ მიიღეს ზომები მუხიანის დასახლებაში მდებარე სტამბაში მომუშავე პირების დასადგენად, მათი შესაძლო კავშირების შესასწავლად ს. კ-მესთან; განსაკუთრებით საყურადღებოა ვინმე ა. ბ-ვეის პიროვნება, რომელიც ადრე პასუხისგებაში იყო მიცემული ყალბი ანგარიშ-ფაქტურების დამზადება-რეალიზაციისათვის და ამჟამადაც პასუხისგებაშია მიცემული ანალოგიური დანაშაულის ჩადენისათვის.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორი აღნიშნავს, რომ დარღვეულია საქართველოს კონსტიტუციის მე-40, 42-ე, მე-3, მე-6 და მე-7 მუხლების მოთხოვნები, სსსკ-ის მე-10, 132-ე, 503-ე მუხლები; გასაჩივრებული განაჩენის გაუქმების საფუძველია საპროცესო კანონის არსებითი დარღვევა, სისხლის სამართლის კანონის არასწორი გამოყენება, გამამტყუნებელი განაჩენისათვის კანონის დარღვევით მოპოვებული მტკიცებულებების საფუძველად დადება; სასამართლომ ნ. ი-შვილთან მიმართებით გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოყენებინა და არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოყენებინა; უკანონოდ არ დაკმაყოფილდა დაცვის მხარის შუამდგომლობა ხელშეკრულებაზე ექსპერტიზის დანიშვნასთან დაკავშირებით და მოწმის სახით ი. მ-მის დაკითხვაზე, რომელიც იყო ნ.

ი-შვილის პარტნიორი, ამიტომ უნდა გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს 2008 წლის 28 მარტის საოქმო დადგენილება ადვოკატის შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, ადვოკატი ზ. ხ-შვილი ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 მარტის განაჩენის გაუქმებასა და ნ. ი-შვილის მიმართ სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

სსსკ-ის 567-ე მუხლის 1-ლი ნაწილის შესაბამისად, პალატამ შეამოწმა საქმე სრული მოცულობით, გააანალიზა საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს კასატორების მოტივს გასაჩივრებული განაჩენის დაუსაბუთებლობის შესახებ და აღნიშნავს, რომ საქმეში არსებული უტყუარი მტკიცებულებები უდავოდ ადასტურებს მსჯავრდებულთა მიერ მათთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენას, კერძოდ:

დაზარალებული ლ. კ-აკი თავის ყველა ჩვენებაში მიუთითებს, რომ ნ. ი-შვილი ითხოვდა თანხას, რომელიც, მისივე თქმით, ლ. კ-აკის დაპატიმრებულ მეუღლესთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების მიზნით უნდა გადაეცა პროკურორისა და მოსამართლისათვის. მას შემდეგ, რაც საპროცესო შეთანხმება არ შედგა, ნ. ი-შვილმა დაზარალებულს უთხრა, რომ მიღებული თანხა მისი ჰონორარი იყო და «ჯიბეში ჩავიდევ».

ანალოგიური ჩვენებები მისცეს მოწმეებმა - ნ. მ-შვილმა და დ. კ-აკმა. მათ განმარტეს, რომ ნ. ი-შვილი ჯერ 2000, შემდეგ კი 10 000 აშშ დოლარი გადასცეს. ნ. ი-შვილი არწმუნებდა, რომ გაფორმდებოდა საპროცესო შეთანხმება, მაგრამ შემდეგ განუცხადა - ეს ფული ჩემი ჰონორარი იყო.

მოწმე გ. კ-შვილიც ადასტურებს, რომ ნ. ი-შვილი დამატებით ითხოვდა 10 000 აშშ დოლარს «საქმის დასამთავრებლად» და იძლეოდა საპროცესო შეთანხმების გარანტიას.

უსაფუძვლოა კასატორის მითითება, თითქოს ნ. ი-შვილისათვის წარდგენილი ბრალდება ემყარება მხოლოდ საქმის შედეგით დაინტერესებული დაზარალებულისა და მისი ოჯახის წევრების ჩვენებებს.

მოწმე ზ. რ-შვილი განმარტავს, რომ ესწრებოდა ნ. ი-შვილისათვის თანხის გადაცემას. საუბრისას შეიტყო, რომ ლ. კ-აკს თანხა სჭირდებოდა თავის დაპატიმრებულ მეუღლესთან საპროცესო შეთანხმების გასაფორმებლად.

მოწმე ვ. დ-მე მიუთითებს, რომ იპოთეკური სესხის მისაღებად შეაფასა ლ. კ-აკის საცხოვრებელი ბინა. შეიტყო, რომ დაზარალებულს 10000 აშშ დოლარი სჭირდებოდა თავის დაპატიმრებულ მეუღლესთან საპროცესო შეთანხმების გასაფორმებლად.

ამდენად, ლ. კ-აკის მიერ აღწერილ ვითარებას, გარდა დაზარალებული მხარისა, სხვა პირებიც ადასტურებენ.

კასატორი მიუთითებს 2006 წლის 30 სექტემბრით დათარიღებულ ხელშეკრულებაზე, როგორც დაცვის ერთ-ერთ მთავარ არგუმენტზე, რომელსაც, მისივე მტკიცებით, ხელი მოაწერა ლ. კ-აკმა.

ამ საკითხთან დაკავშირებით ლ. კ-აკმა მიუთითა, რომ ხელი მოაწერა სხვა დოკუმენტს წარწერით - «შემოსავლების სალარო». მოწმე დ. კ-აკიც აღნიშნავს, რომ თავის დას ნ. ი-შვილმა ხელმოსაწერად გადასცა ჩეკი. კასატორის ჩვენების საპირისპიროდ, ამ საკითხზე სააპელაციო პალატამ იმსჯელა და გაიზიარა ლ. კ-აკის განმარტება, რომ მან ხელი მოაწერა სხვა დოკუმენტს. ასეთ შემთხვევაში იმ გარემოებას, თუ როგორ აღმოჩნდა ხელშეკრულებაზე დაზარალებულის ხელმოწერა, განსახილველ საქმესთან კავშირი არ ჰქონდა და მასზე ვერც სასამართლო იმსჯელებდა.

გასაჩივრებული განაჩენი დასაბუთებული და სამართლიანია მ. ხ-მის მსჯავრდების ნაწილშიც. ამ უკანასკნელის მიერ სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «ბ», «გ» ქვეპუნქტებითა და 373-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედებების ჩადენა უტყუარად დასტურდება არაერთი მტკიცებულებით, მათ შორის დაზარალებულების - დ. ქ-შვილისა და დ. ჯ-მის ჩვენებებით.

ამასთან, საბრალდებო დასკვნით და ორივე ინსტანციის სასამართლოს განაჩენით დადგენილადაა მიჩნეული, რომ ნ. ი-შვილმა თაღლითურად მიითვისა ჯერ 2000 აშშ დოლარი (3509 ლარი), შემდეგ კი 10 000 აშშ დოლარი (17 360 ლარი), ე.ი. სულ 20869 ლარი. ნ. ი-შვილს დაზარალებულის სასარგებლოდ დაეკისრა 22 500 ლარის გადახდა ისე, რომ სასამართლომ არ იმსჯელა და არანაირად არ დაასაბუთა თანხის ეს რაოდენობა. შესაბამისად, მსჯავრდებულს დაზარალებულის სასარგებლოდ გადასახდელად უნდა დაეკისროს თანხის ის ოდენობა, რაც უტყუარად დგინდება საქმეში არსებული მასალებით.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში კანონიერი, დასაბუთებული და სამართლიანია და უნდა დარჩეს უცვლელად.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის 1-ლი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ ნ. ი-შვილის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. ხ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 28 მარტის განაჩენი შეიცვალოს: მსჯავრდებულ ნ. ი-შვილს დაზარალებულ ლ. კ-აკის სასარგებლოდ საბოლოოდ დაეკისროს 20869 ლარის გადახდა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

თაღლითობა

განჩინება

#815-აპ

12 დეკემბერი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

პ. სილაგაძე (თავმჯდომარე),

დ. სულაქველიძე,

ი. ტყემელაშვილი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ გ. მ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 მარტის განაჩენზე, რომლითაც გ. მ-ძე ცნობილ იქნა ბრალულად საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის III ნაწილის «გ» და 177-ე მუხლის III ნაწილის «ბ» ქვეპუნქტებით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩადენაში.

აღწერილობითი ნაწილი:

ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 18 ოქტომბრის განაჩენით გ. მ-ძე, ამჟამად პატიმარი, ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის III ნაწილის «გ» და 177-ე მუხლის III ნაწილის «ბ» ქვეპუნქტებით, რისთვისაც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის გამოყენებით, შეკრების პრინციპით, საბოლოო სასჯელად განესაზღვრა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა.

იგი სასჯელს იხდის 2007 წლის 12 ივნისიდან.

გ. მ-ძეს განაჩენით მსჯავრი დაედო თაღლითობისათვის, ე.ი. მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი მოძრავი ნივთის არაერთგზის მოტყუებით დაუფლებისათვის; ასევე - ქურდობისათვის, ე.ი. სხვისი მოძრავი ნივთის არაერთგზის ფარულად დაუფლებისათვის, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, რაც გამოიხატა შემდეგში:

გ. მ-ძემ 2005 წლის სექტემბერში, ზუსტი რიცხვი დაუდგენელია, გადაწყვიტა, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით დაუფლებოდა სხვის ქონებას. დანაშაულებრივი განზრახვის განსახორციელებლად მან წინასწარ შეარჩია ქ. ტყიბულში, ... ქუჩის #1-ში მცხოვრები გ. გ-ძე, რომელსაც შეპირდა ზამთრისათვის შეშის დამზადებასა და სახლში მიტანას. მოიპოვა რა მისი ნდობა, წინასწარ გამოართვა და მართლსაწინააღმდეგოდ მისაკუთრების მიზნით, მოტყუებით, თაღლითურად დაეუფლა მისსავე კუთვნილ 50 ლარს.

იგი ასევე არაერთგზის, 2006 წლის სექტემბერში, ზუსტი რიცხვი დაუდგენელია, იმავე განზრახვით, ზამთრისათვის შეშის დამზადებისა და სახლში მიტანის სანაცვლოდ, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, თაღლითურად დაეუფლა მოქალაქეების - ზ. ბ-შვილის კუთვნილ 20 ლარს და ლ. ბ-შვილის კუთვნილ 100 ლარს.

მანვე, არაერთგზის, ჩადენილი ჰქონდა რა სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლება მოტყუებით, მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, 2006 წლის ოქტომბერში, ზუსტი რიცხვი დაუდგენელია, განიზრახა, მოეჭრა და ფარულად დაუფლებოდა ქ. ტყიბულში ე.წ. «ლაღორის» მიმდებარე ტერიტორიაზე მდებარე ტყის მასივი #9-ის კვარტალში არსებულ სხვადასხვა ჯიშის ხეებს. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, დაარწმუნა რა სათანადო ნებართვის არსებობაში, შეცდომაში შეიყვანა ი. ხ-ძე, მ. ზ-შვილი და ავტომანქანის მძღოლები - ს. ს-ძე, ზ. ფ-ძე. გარკვეული ანაზღაურების გადახდის სანაცვლოდ, გ. მ-ძემ, მ. ზ-შვილის კუთვნილი, ხის მჭრელი მექანიკური ხერხით ზემოაღნიშნულ ტყის მასივში უკანონოდ მოჭრა და მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ფარულად დაეუფლა რცხილისა და წიფლის ჯიშის ხეებს, რითაც სახელმწიფოს მიაყენა 89,17 ლარის მატერიალური ზიანი, ხოლო გარემოსთვის მიყენებულმა ზარალმა კი შეადგინა 437,13 ლარი.

აპელანტი, მსჯავრდებული გ. მ-ძე თავისი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 18 ოქტომბრის განაჩენის კვალიფიკაციის ნაწილში ცვლილების შეტანას,

კერძოდ, მისი ქმედებისათვის სწორი იურიდიული კვალიფიკაციის მიცემას და, შემამსუბუქებელი გარემოებების გათვალისწინებით სასჯელის მინიმუმის დანიშვნას, რასაც ასაბუთებდა იმ მოტივაციით, რომ ის არ არის თაღლითი და ქურდი, რომ არის მშრომელი ახალგაზრდა, რომელსაც ისიც კი არა აქვს გათვითცნობიერებული, თუ რამდენად დიდია მისი დანაშაული ამ საქმეში.

სასამართლო სხდომაზე მსჯავრდებულმა დააზუსტა თავისი სააპელაციო საჩივარი და ითხოვა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის III ნაწილის «გ» ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში გამართლება, ხოლო საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის III ნაწილის «ბ» ქვეპუნქტიდან მისი ქმედების გადაკვალიფიცირება იმავე კოდექსის 303-ე მუხლზე და აღნიშნული კვალიფიკაციით, მისი პიროვნული მახასიათებელი მონაცემების გათვალისწინებით, სასჯელის მინიმუმის დანიშვნას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 მარტის განაჩენით ტყიბულის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 18 ოქტომბრის განაჩენი დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენის თაობაზე მსჯავრდებულმა გ. მ-მემ საკასაციო საჩივრით მიმართა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატას.

კასატორმა ითხოვა საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის III ნაწილის «გ» ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში გამართლება, რადგან ქმედების ამ ნაწილში თავს არ ცნობს დამნაშავედ და აღნიშნავს, რომ აღიარება მოხდა მხოლოდ საპროცესო შეთანხმების დადების მიზნით, ასევე ითხოვა სსკ-ის 177-ე მუხლის III ნაწილის «ბ» ქვეპუნქტიდან მისი ქმედების გადაკვალიფიცირება იმავე კოდექსის 303-ე მუხლის I ნაწილზე და აღნიშნული კვალიფიკაციით, მისი პიროვნული მახასიათებელი მონაცემების გათვალისწინებით, სასჯელის მინიმუმის შეფარდება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და თვლის, რომ მსჯავრდებულ გ. მ-მის საკასაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგი გარემოებების გამო:

პალატას მიაჩნია, რომ გ. მ-მის მიმართ დანიშნული სასჯელი არის სამართლიანი, შეესაბამება დამნაშავეს პიროვნებას და მის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმეს, შესაბამისად, არ არსებობს მსჯავრდებულის საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილების საფუძველი.

პალატა არ იზიარებს მსჯავრდებულ გ. მ-მის საკასაციო საჩივრის მოთხოვნას სააპელაციო სასამართლოს უკანონო, დაუსაბუთებელ განაჩენში ცვლილების შეტანის: საქართველოს სსკ-ის 180-ე მუხლის III ნაწილის «გ» ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებაში - გამართლების, ხოლო სსკ-ის 177-ე მუხლის III ნაწილის «ბ» ქვეპუნქტიდან მისი ქმედების იმავე კოდექსის 303-ე მუხლზე გადაკვალიფიცირებისა და სასჯელის მინიმუმის დანიშვნის შესახებ, უსაფუძვლობის გამო.

საქმეზე წინასწარი გამოძიება და სასამართლო განხილვა ჩატარებულია სრულყოფილად, საპროცესო კანონმდებლობის დაცვით. სააპელაციო სასამართლომ, საქართველოს სსკ-ის მე-18 მუხლის მოთხოვნათა დაცვით, სრულად, ყოველმხრივ და ობიექტურად გამოიკვლია საქმის ფაქტობრივი გარემოებები, მსჯავრდებულის პასუხისმგებლობის როგორც შემამსუბუქებელი, ისე დამამძიმებელი გარემოებები. რაც შეეხება მისი ქმედების გადაკვალიფიცირებას 177-ე მუხლის III ნაწილის «ბ» ქვეპუნქტიდან სსკ-ის 303-ე მუხლზე, პალატა, სააპელაციო სასამართლოს მსგავსად, არ იზიარებს, რადგან 2007 წლის 23 ივლისის დადგენილებით, საქართველოს სსკ-ის 28-ე მუხლის I ნაწილის თანახმად, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო, მის მიმართ კანონიერად შეწყდა სისხლისსამართლებრივი დევნა.

პალატა თვლის, რომ საქმეზე წარმოდგენილ მტკიცებულებათა ერთობლიობით: დაზარალებულების: გ. გ-მის, ზ. ბ-შვილის, ლ. ბ-შვილის, ნ. კ-შვილის, მოწმეების: ც. ც-მის, მ. ზ-შვილის, ზ. ფ-მის, ს. ს-მის, გ. კ-მის, ლ. ც-მისა და სასამართლო სხდომაზე გამოქვეყნებული ი. ხ-მისა და ს. ბ-ულის ჩვენებებით, იმერეთის რეგიონული სატყეო მეურნეობის #05\01-274 წერილით, შემთხვევის ადგილის დათვალიერების ოქმითა და საქმის სხვა მასალებით მსჯავრდებულისათვის ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია და, პალატის აზრით, სწორი სამართლებრივი შეფასება აქვს მიცემული კვალიფიკაციისა და სასჯელის ნაწილში.

საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

რაც შეეხება პირველი ინსტანციისა და სააპელაციო სასამართლოების გადაწყვეტილებებს სამოქალაქო სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში, რომლითაც მსჯავრდებულ გ. მ-მეს დაზარალებულების: გ. გ-მის, ზ. ბ-შვილისა და ლ. ბ-შვილის სასარგებლოდ დაეკისრა - 50, 20 და 100 ლარის გადახდა, პალატის აზრით, არასწორია.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საქმის მასალების მიხედვით, მსჯავრდებულ გ. მ-მის საქმის სამართალწარმოებისას, 1-ლი ინსტანციის სასამართლოში სასამართლო გამოძიების დროს, დაზარალებულებმა საქართველოს სსკ-ის 86-ე მუხლის საფუძველზე უარი განაცხადეს სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, პალატა თვლის, რომ როგორც 1-ლი ინსტანციის, ასევე სააპელაციო სასამართლოები არ იყვნენ უფლებამოსილი, დაზარალებულების სასარგებლოდ მსჯავრდებულისათვის დაეკისრებინათ ზემოაღნიშნული თანხის გადახდა.

ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე უნდა შეწყდეს სამოქალაქო სამართალწარმოება და განაჩენი უნდა შეიცვალოს მსჯავრდებულ გ. მ-ძის მიმართ დაზარალებულების: გ. გ-ძის, ზ. ბ-შვილისა და ლ. ბ-შვილის სასარგებლოდ - 50, 20 და 100 ლარის დაკისრების ნაწილში.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის I ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებითა და 568-ე მუხლით,

და ა ა დ გ ი ნ ა:

მსჯავრდებულ გ. მ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2008 წლის 17 მარტის განაჩენში შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ გ. მ-ძის სასიკეთოდ:

გ. მ-ძის მიმართ შეწყდეს სამოქალაქო სამართალწარმოება სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში.

სამოქალაქო სარჩელი ნაწილობრივ არ დაკმაყოფილდეს და, შესაბამისად, განაჩენიდან ამოირიცხოს მითითება დაზარალებულების: გ. გ-ძის, ზ. ბ-შვილისა და ლ. ბ-შვილის სასარგებლოდ თანხის - 50, 20 და 100 ლარის გადახდის თაობაზე.

განაჩენი სხვა ნაწილში, მათ შორის იმერეთის სატყეო დეპარტამენტისათვის 530 ლარისა და 30 თეთრის გადახდის ნაწილში, დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

გამომალვა

განჩინება

#224-აპ

11 აპრილი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

- ი. ტყეშელაშვილი (თავმჯდომარე),**
- ზ. მეთევილი,**
- ლ. მურუსიძე**

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ დ. ბ-ულის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. ფ-ძის საკასაციო საჩივარი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ნოემბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

თერჯოლის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 24 აგვისტოს განაჩენით დ. ბ-ული ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის «დ» ქვეპუნქტით იმაში, რომ ძალადობის მუქარით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, ჩაიდინა ძარცვა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია და რაც გამოიხატა შემდეგში:

2006 წლის 26 დეკემბერს დ. ბ-ულმა განიზრახა, აშკარად დაუფლებოდა თერჯოლის რაიონის სოფელ ... მცხოვრებ, შერეული მაღაზიის მფლობელ ი. ა-ძის კუთვნილ თანხას. ამისათვის იგი იმავე დღეს, დაახლოებით 18 საათსა და 30 წუთზე, მივიდა აღნიშნულ მაღაზიაში, სადაც შეხვდა ი. ა-ძეს და მოსთხოვა 100 ლარი, რაზეც მისგან მიიღო უარი. იმავდროულად დ. ბ-ულმა დახლიდან აიღო საწონი გირა და მისი გამოყენებით, მაღაზიისა და იქ არსებული ინვენტარის დანგრევის, ასევე, ძალადობის გამოყენების მუქარით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, ი. ა-ძეს კატეგორიულად მოსთხოვა თანხა. დ. ბ-ულის მოქმედებით და მისი რეალური მუქარით შეშინებულმა ი. ა-ძემ მისცა მას ნავაჭრი თანხა 160 ლარის ოდენობით, რითაც ამ უკანასკნელს მიაღდა მნიშვნელოვანი ზიანი. მეორე დღეს, მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შიშით, დ. ბ-ულმა ი. ა-ძეს დაუბრუნა აშკარად გატაცებული თანხის ნაწილი - 140 ლარი.

აღნიშნული ქმედებისათვის დ. ბ-ულს საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის «დ» ქვეპუნქტით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 5 წლითა და 6 თვით, რომლის ათვლა დაეწყო 2006 წლის 24 იანვრიდან.

აღნიშნული განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულის ადვოკატმა ზ. ფ-ძემ და მოითხოვა დ. ბ-ულის გამართლება.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ნოემბრის განაჩენით საჩივარი არ დაკმაყოფილდა. ამასთან, მსჯავრდებულს სასჯელის მოხდა დაეწყო 2007 წლის 24 იანვრიდან.

კასატორი - მსჯავრდებულ დ. ბ-ულის ინტერესების დამცველი ადვოკატი ზ. ფ-მე საკასაციო საჩივარში აღნიშნავს, რომ განაჩენი უკანონოა შემდეგ გარემოებათა გამო:

განსაჯელმა დ. ბ-ულმა სასამართლო სხდომაზე განაცხადა, რომ ძარცვა არ ჩაუდენია; სასამართლომ დ. ბ-ულის მიმართ წარდგენილი ბრალდება დადასტურებულად მიიჩნია დაზარალებულ ი. ა-ძის და მოწმეების: გ. ა-ძის, ტ. გ-შვილის და მ. კ-ძის ჩვენებებით, თუმცა გარდა დაზარალებულისა, არც ერთს უთქვამს, რომ დ. ბ-ულმა ი. ა-ძეს ფული წართვა. ასეთს რომ მომხდარიყო, დაზარალებული მაშინვე ეტყოდა იქ შესულ გ. ა-ძეს; დ. ბ-ულმა გულწრფელად განმარტა, რომ მას ფულის სესხება სურდა, რასაც ადასტურებს მეორე დღეს თანხის ნაწილის უკან დაბრუნება; კასატორის აზრით, დ. ბ-ულს დანაშაული არ ჩაუდენია, რადგანაც ფულის სესხად აღება არ არის მართლსაწინააღმდეგო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, კასატორის მოითხოვს გასაჩივრებული განაჩენის გაუქმებას და დ. ბ-ულის მიმართ საქმის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა დასკვნამდე, რომ იგი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებული განაჩენი უნდა შეიცვალოს შემდეგ გარემოებათა გამო:

პალატა ვერ გაიზიარებს საჩივრის მოტივს იმის შესახებ, რომ დ. ბ-ულს დანაშაული არ ჩაუდენია, და მან მხოლოდ ისეხსა ფული ი. ა-ძისაგან.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ დაზარალებულ ი. ა-ძეს არავითარი მოტივი არ ამოძრავებდა, რომ დ. ბ-ულის წინააღმდეგ მიეცა ცრუ ჩვენება. უფრო მეტიც, მას პოლიციაშიც არ განუცხადებია მომხდარის შესახებ და დ. ბ-ულის მამხილებელი ჩვენება მისცა მხოლოდ მას შემდეგ, რაც გამოიძახეს გამომძიებელთან. დ. ბ-ული იყო იმავე სოფლის მკვიდრი, სადაც მაღაზია ჰქონდა ი. ა-ძეს, ეს უკანასკნელი მას და მის ოჯახს კარგად იცნობდა, ჰქონდათ ნორმალური ურთიერთობა, ხშირად ატანდა პროდუქტებს თანხის შემდეგ გადახდის პირობით და შემთხვევის დღეს არ მისცა ფული სწორედ დიდი რაოდენობით ვალის დაგროვების გამო.

ამავე დროს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ დ. ბ-ულის ქმედება საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტიდან და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტიდან უნდა გადაკვალიფიცირდეს ამავე კოდექსის 181-ე მუხლის პირველ ნაწილზე, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს სსკ-ის 178-ე მუხლის მიხედვით, ძარცვა არის სხვისი მოძრავი ნივთის აშკარა დაუფლება მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით. ამ მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ პუნქტი მიუთითებს ამ მოქმედების ჩადენაზე ისეთი ძალადობით, რომელიც საშიში არ არის სიცოცხლისათვის და ჯანმრთელობისათვის, ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით. მუხლის დისპოზიციიდან გამომდინარე, ძალადობა ან ასეთის მუქარა მიმართული უნდა იყოს თვითონ პიროვნების და არა მისი ქონების მიმართ. დაზარალებულის ქონების მოთხოვნა, რასაც თან ერთვის მისი ნივთის განადგურების ან დაზიანების მუქარა, არის გამომალვა, ანუ საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული.

დაზარალებულ ი. ა-ძის როგორც წინასწარ გამოძიებაში, ისე სასამართლოში მიცემული ჩვენებებით ირკვევა, რომ მან, უარი უთხრა რა დ. ბ-ულს მოთხოვნაზე, მიეცა 100 ლარი, ეს უკანასკნელი განაწყენდა, აიღო დახლზე დადებული საწონი გირა, მოიქნია მაცივრისაკენ და უთხრა, რომ დაამტვრევდა მაღაზიაში ყველაფერს, თუ არ მისცემდა ფულს. ი. ა-ძეს შეეშინდა მისი მუქარის, გამოალო უჯრა და მისცა 160 ლარი. ი. ა-ძე ასევე აღნიშნავს, რომ დ. ბ-ულს თავისუფლად შეეძლო გირა ჩაერთყა მისთვის. ამდენად, დ. ბ-ულის მუქარა მიმართული იყო ი. ა-ძის ქონების განადგურებისაკენ, ამიტომ მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს საქართველოს სსკ-ის 181-ე მუხლის პირველი ნაწილით (ვინაიდან მას არ ახლავს ამ მუხლის მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული მაკვალიფიცირებელი ნიშნები).

პირველი ინსტანციის სასამართლომ განაჩენში მსჯავრდებულ დ. ბ-ულს, კანონის დარღვევით, პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად ჩაუთვალა გაქარწყლებული ნასამართლობა, ასევე, კანონის დარღვევით ასეთივე გარემოებად ჩაუთვალა, რომ იგი თავს არ ცნობდა დამნაშავედ და არ აღიარებდა დანაშაულს. სააპელაციო სასამართლომ ეს დარღვევები არ აღმოფხვრა.

პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებად სასამართლომ სწორად ჩათვალა, რომ მსჯავრდებული ხასიათდება დადებითად და კმაყოფაზე ჰყავს მეუღლე და ორი მცირეწლოვანი შვილი.

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ დ. ბ-ულის ინტერესების დამცველის, ადვოკატ ზ. ფ-ძის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 26 ნოემბრის განაჩენი შეიცვალოს მსჯავრდებულის სასიკეთოდ: დ. ბ-ულის ქმედება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტიდან და მე-3 ნაწილის «დ» ქვეპუნქტიდან გადაკვალიფიცირდეს ამავე კოდექსის 181-ე მუხლის პირველ ნაწილზე და სასჯელის ზომად განესაზღვროს 2 წლით თავისუფლების აღკვეთა.

გასაჩივრებული განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მითვისება ან გაფლანგვა

განჩინება

#1937-აპ

5 თებერვალი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

დ. სულაქველიძე (თავმჯდომარე),

მ. გოგიშვილი,

ნ. კვანტალიანი

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ თ. დ-შვილის დამცველის, ადვოკატ ი. გ-შვილის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 3 ოქტომბრის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

დმანისის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 20 თებერვლის განაჩენით თ. დ-შვილი ცნობილ იქნა ბრალეულად და მიესაჯა: საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებისა და მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 7 წლის ვადით, ხოლო იმავე კოდექსის 210-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე - თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით, რის გამოც საქართველოს სსკ-ის 59-ე მუხლის (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) საფუძველზე მას სასჯელის ზომად განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით.

განაჩენის მიხედვით, თ. დ-შვილს მსჯავრი დაედო მის მართლზომიერ მგლობელობასა და გამგებლობაში არსებული სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისებისათვის, ჩადენილი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, ასევე, ყალბი საანგარიშსწორებო ბარათების დამზადებისათვის გასაღების მიზნით, გასაღებისა და გამოყენებისათვის, რაც გამოიხატა შემდეგში: დმანისის სატყეო მეურნეობის მოლარედ 1974 წლიდან 2005 წლის ოქტომბრამდე მუშაობდა დმანისის რაიონის სოფელ ... მცხოვრები თ. დ-შვილი, რომლის სამსახურებრივ ფუნქციებში შედიოდა სატყეო მეურნეობის მიერ რეალიზებული ხე-ტყიდან შემოსული თანხების აღრიცხვა სალაროში და შემდგომ სალაროს გასავლის ორდერებით გადაგზავნა სს «სახალხო ბანკის» დმანისის ფილიალში, ქვემო ქართლის რეგიონული ხაზინის ანგარიშზე, საიდანაც შემდეგ აღირიცხებოდა ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლებში აღრიცხვა. თ. დ-შვილმა აღნიშნულ თანამდებობაზე მუშაობისას განიზრახა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ყალბი საანგარიშსწორებო ბარათის დამზადება, რათა გასაღების გზით მიეთვისებინა თავის მართლზომიერ მგლობელობასა და გამგებლობაში არსებული დიდი ოდენობით თანხა. თავისი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, 2000 წლის დასაწყისიდან 2005 წლის 6 ივნისამდე მას დმანისის სატყეო მეურნეობის სალაროში შემოსული თანხები შეჰქონდა სს «სახალხო ბანკის» ანგარიშზე შემცირებული სახით, კერძოდ, ბანკის სალაროს შემოსავლის ორდერების მეორე ეგზემპლარში, რომელიც ივსება ხელით სპეციალურ ასლის გადასაღებ ქაღალდზე და რომლის პირველი პირი რჩება ბანკში, იგი ასწორებდა ან ამატებდა ციფრებს და ნაცვლად იმისა, რომ შეეტანა მთლიანი თანხა, ბანკის ანგარიშზე შეჰქონდა გარკვეული ნაწილი, ხოლო დარჩენილ ნაწილებს ითვისებდა. მან 2000 წლიდან 2005 წლის ექვსი თვის ჩათვლით აღნიშნული ხერხით სულ მითვისა 18831.42 ლარი, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია. სასამართლო-საბუღალტრო რევიზიის 2006 წლის 12 ივნისის აქტით: 2000 წლის დასაწყისიდან 2005 წლის 6 თვის ჩათვლით დმანისის სატყეო მეურნეობის ბუღალტერიაში არსებული ბუნებრივი რესურსების გადასახადის სალაროს გასავლისა და ბანკის შემოსავლის ორდერებით მიხედვით, სპეციალურ სალარო ანგარიშზე უნდა შემოსულიყო 104880.78 ლარი, ხოლო ბანკიდან შემოსავლის ორდერები, ქვემო ქართლის რეგიონული ხაზინიდან და დმანისის საგადასახადო ინსპექციიდან წარმოდგენილი დოკუმენტებით შემოსულმა თანხამ შეადგინა 86049.36 ლარი, ე.ი. 18831 ლარით ნაკლები.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ თ. დ-შვილის დამცველმა, ადვოკატმა ი. გ-შვილმა, რომელიც საჩივრით ითხოვდა დმანისის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 20 თებერვლის განაჩენში ცვლილების შეტანას, მსჯავრდებულ თ. დ-შვილისათვის სასჯელის შემსუბუქებას, კერძოდ კი სასჯელის დარჩენილი ნაწილის ჩათვლას პირობით მსჯავრად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 28 მარტის განაჩენით სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რის შედეგადაც დმანისის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 20 თებერვლის განაჩენი მსჯავრდებულ თ. დ-შვილის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ თ. დ-შვილის დამცველმა, ადვოკატმა ი. გ-შვილმა, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვდა განაჩენის გაუქმებასა და საქმის გაგზავნას სააპელაციო სასამართლოში ახალი სასამართლო განხილვისათვის.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 17 ივლისის განჩინებით საკასაციო საჩივრის მოთხოვნა დაკმაყოფილდა, რის შედეგადაც გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 28 მარტის განაჩენი მსჯავრდებულ თ. დ-შვილის მიმართ და საქმე ახალი სასამართლო განხილვისათვის გაგზავნა იმავე სასამართლოს სხვა შემადგენლობას.

მსჯავრდებულ თ. დ-შვილის დამცველი, ადვოკატი ი. გ-შვილი ითხოვდა საქმის განხილვას ზეპირი მოსმენით, მსჯავრდებულისა და პროკურორის მონაწილეობით, მათ შორის, საპროცესო შეთანხმების დასამტკიცებლად.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 3 ოქტომბრის განაჩენით სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა, რის შედეგადაც დმანისის რაიონული სასამართლოს 2007 წლის 20 თებერვლის განაჩენი მსჯავრდებულ თ. დ-შვილის მიმართ დარჩა უცვლელად.

სააპელაციო სასამართლოს განაჩენი საკასაციო წესით გაასაჩივრა მსჯავრდებულ თ. დ-შვილის ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა ი. გ-შვილმა, რომელიც თავისი საჩივრით ითხოვს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 3 ოქტომბრის განაჩენის შეცვლას მსჯავრდებულის სასიკეთოდ, კერძოდ, დმანისის რაიონული სასამართლოს მიერ განსაზღვრული სასჯელის 1/4-ის პირობით ჩათვლას, შესაბამისი გამოსაცდელი ვადის დანიშვნით იმ მოტივით, რომ მსჯავრდებული პირველად სასამართლოში, ხასიათდება დადებითად, არის ავადმყოფი, ქვრივი, ნებაყოფილობით აანაზღაურა სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანი, აღიარებს და ინანიებს ჩადენილ ქმედებას, რომელიც ჩაიდინა უკიდურესი გაჭირვების გამო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, შეისწავლა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები მსჯავრდებულ თ. დ-შვილის მიმართ, შეამოწმა საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მოუსმინა მხარეებს, მიიჩნია, რომ აღნიშნული საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

სისხლის სამართლის საქმის მასალებით უდავოდ არის დადასტურებული, რომ მსჯავრდებულმა თ. დ-შვილმა ნამდვილად ჩაიდინა სასამართლოს განაჩენით მისთვის ბრალად შერაცხული ქმედება, რასაც თვით მსჯავრდებულები არ უარყოფს.

რაც შეეხება სასამართლოს მიერ მსჯავრდებულ თ. დ-შვილისათვის დანიშნულ სასჯელს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ იგი განსაზღვრულია მსჯავრდებულის პიროვნების, მის მიერ ჩადენილი ქმედების სიმძიმისა და დამდგარი შედეგის გათვალისწინებით, რის გამოც ვერ ჩაითვლება უსამართლო ან ზედმეტად მკაცრ ღონისძიებად. მითითებული გარემოებების გათვალისწინებით, საკასაციო პალატა თვლის, რომ არ არსებობს საკასაციო საჩივრის მოთხოვნის დაკმაყოფილების საფუძველი.

ამავე დროს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ თ. დ-შვილის მიმართ უნდა გავრცელდეს «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მოქმედება, კერძოდ, აღნიშნული კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, მას საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით - უნდა გაუნახევრდეს და ამ ნაწილში სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, შესაბამისად, მას უნდა შეუმცირდეს გასაჩივრებული განაჩენით განსაზღვრული საბოლოო სასჯელის ზომა.

ზემოაღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა მივიდა იმ დასკვნამდე, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 3 ოქტომბრის განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება მსჯავრდებულ თ. დ-შვილის სასიკეთოდ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ, იხელმძღვანელა რა საქართველოს სსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტითა და 568-ე მუხლით,

და ა დ გ ი ნ ა :

მსჯავრდებულ თ. დ-შვილის დამცველის, ადვოკატ ი. გ-შვილის საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 3 ოქტომბრის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება: მსჯავრდებულ თ. დ-შვილს «ამნისტიის შესახებ» 2007 წლის 29 ნოემბრის საქართველოს კანონის მე-2 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების თანახმად, საქართველოს სსკ-ის 210-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე დანიშნული სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 2 წლის ვადით - გაუნახევრდეს და ამ ნაწილში მას სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 1 წლის ვადით, შესაბამისად, თ. დ-შვილს აღნიშნული განაჩენით განსაზღვრული საბოლოო სასჯელი - თავისუფლების აღკვეთა 9 წლის ვადით - შეუმცირდეს 1 წლით და მას საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს თავისუფლების აღკვეთა 8 წლის ვადით.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

საკასაციო პალატის განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

მითვისება ან გაფლანგვა

განჩინება

#1630-აპ

27 მარტი, 2008 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ შემდეგი შემადგენლობით:

ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე),

ი. ტყემელაშვილი,

დ. სულაქველიძე

უპირი მოსმენის გარეშე განიხილა მსჯავრდებულ რ. ჯ-ძის ინტერესების დამცველი ადვოკატების - ნ. კ-იასა და გ. ო-ანის საკასაციო საჩივარი თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ივნისის განაჩენზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ხაშურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 20 ოქტომბრის განაჩენით რ. ჯ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა», „ბ», „გ», „დ» და ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ» ქვეპუნქტებით, სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა» ქვეპუნქტით და სასჯელის ზომად, სსკ-ის 59-ე მუხლის გამოყენებით, განესაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 6 წლისა და 6 თვის ვადით.

რ. ჯ-ძეს ხაშურის რაიონული ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისრა 22492 ლარის გადახდა.

საბრალდებო დასკვნით, რ. ჯ-ძეს ბრალი დაედო შემდეგი დანაშაულის ჩადენისათვის;

ხაშურის 2004 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით სხვა ხარჯებთან ერთად გათვალისწინებული იყო სახელმწიფო ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების მიმდინარე და კაპიტალური სარემონტო ხარჯები.

ბიუჯეტის შესაბამისად, ხაშურის რაიონულმა გამგეობამ სხვადასხვა ობიექტთან ერთად დაგეგმა სახელმწიფო ბალანსზე რიცხული ხაშურის რაიონის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის გადახურვის სარემონტო სამუშაოები.

ხაშურის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელ რ. ჯ-ძესა და შპს „შასი-3-ის» დირექტორ შ. ს-ძეს შორის 2004 წლის 10 მაისს დაიდო ხელშეკრულება #31-10 ხაშურის რაიონის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის გადახურვის სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშების შედგენის თაობაზე.

შპს „შასი-3-ის» მიერ შესრულდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და განისაზღვრა ხაშურის რაიონის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის გადახურვის სამუშაოებზე ხარჯთაღრიცხვა, რომლის მიხედვითაც, შესასრულებელი იყო 64472,2 ლარის ღირებულების სამუშაოები.

ხაშურის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა რ. ჯ-ძემ, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, თავისთვის გამორჩენის, შპს „პირამიდა-98-ის» დირექტორ, თ. გ-ძისა და ამავე საზოგადოების საქმის მწარმოებელ თ. ც-ძისათვის გამორჩენისა და უპირატესობის მიღების მიზნით, განიზრახა წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფთან ერთად თანხის დიდი ოდენობით გაფლანგვა და მითვისება.

დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, მითითებული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შემდეგ, რ. ჯ-ძე დანაშაულებრივად დაუკავშირდა თ. გ-ძეს, რომელსაც მიანიჭა უპირატესობა და მასთან 2006 წლის 7 ივნისს გააფორმა ხელშეკრულება #1/15, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

ხელშეკრულების შესაბამისად, შპს „პირამიდა-98» იღებდა ვალდებულებას 64472, 2 ლარად შეესრულებინა ხაშურის რაიონის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის გადახურვის სამუშაოები ზემოაღნიშნული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად. შეთანხმებისამებრ, ხაშურის რაიონის გამგეობამ შპს „პირამიდა-98-ის» ანგარიშზე 2004 წლის 8 ივნისს გადაირიცხა 26000 ლარი, 2004 წლის 30 ივნისს - 20000 ლარი, 2004 წლის 17 სექტემბერს - 18747 ლარი, სულ გადაირიცხა 64747 ლარი (დღგ-ს ჩათვლით). განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, თ. გ-მემ და თ. ც-მემ რ. ჯ-მესთან დანაშაულებრივი შეთანხმების თანახმად, გადაწყვიტეს ხაშურის რაიონის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის გადახურვის სამუშაოების ჩატარებისას არასრულყოფილად შეესრულებინათ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, საბუღალტრო და ჩატარებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტები კი ეწარმოებინათ იმგვარად, რომ ეჩვენებინათ ნაკისრი ვალდებულების ვითომდა სრულად შესრულება, ხოლო შეუსრულებელი სამუშაოებისათვის განკუთვნილი დიდი ოდენობის თანხა მიეთვისებინათ და ურთიერთშორის გაენაწილებინათ.

რ. ჯ-მესთან შეთანხმებით, თ. ც-მემ და თ. გ-მემ, ტექნიკისა და მუშების გამოყენებით ხაშურის რაიონის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის გადახურვისას მართლაც ჩატარეს ხელშეკრულებითა და დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ სამუშაოებზე გაცილებით ნაკლები სამუშაოები, ხოლო სამუშაოების დამთავრების შემდეგ, რ. ჯ-მემ, გამოიყენა რა სამსახურებრივი მდგომარეობა ბოროტად, საჯარო სამსახურის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, თავისთვის, თ. გ-მისა და თ. ც-მისათვის გამორჩენის მიღების მიზნით, ისე, რომ განზრახ არ დაადგინა რეალურად შესრულებული სამუშაოს ოდენობა, მათთან გააფორმა შესრულებულ სამუშაოზე მიღება-ჩაბარების აქტი, რომ ვითომდა შესრულებული სამუშაოს ხარჯთაღრიცხვა და სხვა დოკუმენტები შეესაბამებოდა დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ 53725 ლარს (დღგ-ს გარეშე). ფაქტობრივად კი შეასრულეს და გახარჯეს მხოლოდ 35008 ლარი (დღგ-ს გარეშე), რითაც განზრახვა სისრულეში მოიყვანეს და დარჩენილი, სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 18717 ლარის დიდი ოდენობის თანხა მიითვისეს და ურთიერთშორის გაინაწილეს, რამაც სახელმწიფო ინტერესების არსებითი დარღვევა და მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

ხაშურის 2004 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით, სხვა ხარჯებთან ერთად ასევე გათვალისწინებული იყო სახელმწიფო ბალანსზე რიცხული სხვადასხვა შენობა-ნაგებობის მიმდინარე და კაპიტალური სარემონტო ხარჯები.

დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, ხაშურის რაიონულმა გამგეობამ სხვადასხვა ობიექტთან ერთად დაგეგმა ქალაქ ხაშურის ცენტრალურ ნაწილში არსებული შენობა-ნაგებობების ფასადების მოპირკეთება, ... ქუჩის მიმდებარე ღობეების შეღებვის, საგზაო ხაზებისა და ფეხით მოსიარულეთა გადასასვლელების მოწყობის სამუშაოების შესრულება.

2004 წლის 16 ივლისს რ. ჯ-მესა და შპს „არქიტექტურის» დირექტორ მ. მ-შვილს შორის დაიდო ხელშეკრულება #1, ქალაქ ხაშურის ცენტრალურ ნაწილში არსებული შენობა-ნაგებობების ფასადების მოპირკეთების, ღობეების შეღებვისა, საგზაო შუქნიშნებისა და მაჩვენებლების სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის თაობაზე.

შპს „არქიტექტურამ» შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და განისაზღვრა ქალაქ ხაშურის ცენტრალურ ნაწილში არსებული შენობა-ნაგებობების ფასადების მოპირკეთების, ღობეების შეღებვისა და საგზაო შუქნიშნებისა და მაჩვენებლების სამუშაოებზე ხარჯთაღრიცხვა, რომლის მიხედვითაც, შესასრულებელი იყო 34002,70 ლარის (დღგ-ს) ჩათვლით ღირებულების სამუშაოები.

ხაშურის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელმა რ. ჯ-მემ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, თავისთვის გამორჩენის, შპს „პირამიდა-2004-ის» დირექტორ თ. ც-მისათვის გამორჩენისა და უპირატესობის მიღების მიზნით, კვლავ განზრახა წინასწარი შეთანხმებით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სახელმწიფოს კუთვნილი თანხის დიდი ოდენობით არაერთგზის მითვისება და გაფლანგვა.

დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, მითითებული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შემდეგ, რ. ჯ-მე დანაშაულებრივად დაუკავშირდა შპს „პირამიდა-2004-ის» დირექტორ თ. ც-მეს, რომელსაც მიანიჭა უპირატესობა და მასთან 2004 წლის 20 ივლისს გააფორმა ხელშეკრულება (უნომრო) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

ხელშეკრულების შესაბამისად - შპს „პირამიდა-2004» იღებდა ვალდებულებას 49800 ლარის ფარგლებში შეესრულებინა ქ. ხაშურის ცენტრალურ ნაწილში არსებული შენობა-ნაგებობების ფასადების მოპირკეთების, ღობეების შეღებვის საგზაო შუქნიშნებისა და მაჩვენებლების სარემონტო სამუშაოები.

შეთანხმებისამებრ, ხაშურის რაიონის გამგეობამ შპს „პირამიდა-2004-ის» ანგარიშზე 2004 წლის 20 ივლისს გადაირიცხა 24500 ლარი, 2004 წლის 23 სექტემბერს - 10 000 ლარი და 2005 წლის 8 ოქტომბერს - 5920 ლარი, სულ გადაირიცხა 40420 ლარი.

განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, თ. ც-მემ რ. ჯ-მესთან დანაშაულებრივი შეთანხმების თანახმად, გადაწყვიტა ხაშურის ცენტრალურ ნაწილში არსებული შენობა-ნაგებობების ფასადების მოპირკეთების, ღობეების შეღებვის, საგზაო შუქნიშნებისა და მაჩვენებლების სარემონტო სამუშაოების ჩატარებისას არასრულყოფილად შეესრულებინა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, საბუღალტრო და ჩატარებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტები კი ეწარმოებინათ იმგვარად,

რომ ეჩვენებინათ ნაკისრი ვალდებულების ვითომდა სრულად შესრულება, ხოლო შეუსრულებელი სამუშაოსათვის განკუთვნილი დიდი ოდენობის თანხა მიეთვისებინათ.

რ. ჯ-ძესთან შეთანხმებით, თ. ც-ძემ ტექნიკისა და მუშების გამოყენებით ხაშურის ცენტრალურ ნაწილში არსებული შენობა-ნაგებობების ფასადების მოპირკეთების, ღობეების შეღებვის, საგზაო შუქნიშნებისა და მაჩვენებლების სარემონტო სამუშაოების შესრულებისას ჩაატარა ხელშეკრულებითა და დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ სამუშაოზე ნაკლები სამუშაოები, ხოლო სამუშაოების დამთავრების შემდეგ რ. ჯ-ძემ, არაერთგზის გამოიყენა რა სამსახურებრივი მდგომარეობა ბოროტად, საჯარო სამსახურის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, თავისთვის და თ. ც-ძისათვის გამორჩენის მიღების მიზნით, ისე, რომ განზრახ არ დაადგინა რეალურად შესრულებული სამუშაოს ოდენობა, მასთან გააფორმა შესრულებულ სამუშაოზე მიღება-ჩაბარების აქტი, რომ ვითომდა შესრულებული სამუშაოს ხარჯთაღრიცხვა და სხვა დოკუმენტები შეესაბამებოდა დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ 28335,58 ლარს (დღგ-ს გარეშე). ფაქტობრივად კი შესრულებული და გახარჯული იყო 24436 ლარი (დღგ-ს გარეშე), რითაც დანაშაულებრივი განზრახვა სისრულეში მოიყვანეს და დარჩენილი, სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 4899,39 ლარი და ზედმეტად გადარიცხული 5417,49 ლარი, საერთო ჯამში დიდი ოდენობით რ. ჯ-ძის მიერ გაფლანგული თანხა -11316,69 ლარი, არაერთგზის მიითვისეს და ურთიერთშორის გაინაწილეს, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა და მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

2004 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, ხაშურის რაიონულმა გამგეობამ სხვადასხვა ობიექტებთან ერთად, ასევე დაგეგმა სახელმწიფო ბალანსზე რიცხული ხაშურის რაიონის სოფელ ... დაწყებითი სკოლის სარემონტო სამუშაოები.

2004 წლის 16 ივლისს რ. ჯ-ძესა და შპს „არქიტექტურის“ დირექტორ მ. მ-შვილს შორის დაიდო ხელშეკრულება #3, ხაშურის რაიონის სოფელ ... დაწყებითი სკოლის კაპიტალური შეკეთების სამუშაოებისა და საპროექტო სამიზნო ხარჯთაღრიცხვის შედგენის თაობაზე.

შპს „არქიტექტურამ“ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და განსაზღვრა ხაშურის რაიონის სოფელ ... დაწყებითი სკოლის კაპრემონტის სამუშაოებზე ხარჯთაღრიცხვა, რომლის მიხედვითაც, შესასრულებელი იყო 29606 (დღგ-ს ჩათვლით) ლარის ღირებულების სამუშაოები.

რ. ჯ-ძემ, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, თავისთვის, შპს „პირამიდა-2004-ის“ დირექტორმა თ. ც-ძისა და საქმის მწარმოებელ ი. გ-შვილისათვის გამორჩენისა და უპირატესობის მიღების მიზნით, კვლავ განიზრახა წინასწარი შეთანხმებით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სახელმწიფოს კუთვნილი ფულადი თანხის არაერთგზის მიითვისება და გაფლანგვა.

დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, მითითებული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შემდეგ, რ. ჯ-ძე დანაშაულებრივად დაუკავშირდა შპს „პირამიდა-2004-ის“ დირექტორ თ. ც-ძეს, რომელსაც მიანიჭა უპირატესობა და მასთან 2004 წლის 23 ივლისს გააფორმა ხელშეკრულება (უნომრო) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

ხელშეკრულების შესაბამისად, შპს „პირამიდა-2004“ იღებდა ვალდებულებას 29600 ლარის (დღგ-ს ჩათვლით) ფარგლებში შეესრულებინა ხაშურის რაიონის სოფელ ... დაწყებითი სკოლის კაპრემონტის სამუშაოები ზემოაღნიშნული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

სკოლის რემონტის დაწყებისას აღმოჩნდა, რომ შენობის აღდგენისათვის საჭირო იყო არადაამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში არსებული კედლების დაშლა და საძირკველის ზემოთ ახალი შენობის აშენება, რამაც გამოიწვია შესასრულებელ სამუშაოთა ფასის გაძვირება, რის თაობაზეც შეტანილ იქნა ხელშეკრულებაში ცვლილება და საბოლოოდ სახელშეკრულებო თანხა გაიზარდა 56927 ლარამდე (დღგ-ს ჩათვლით).

შეთანხმებისამებრ, ხაშურის რაიონულმა გამგეობამ, შპს „პირამიდა 2004-ის“ ანგარიშზე 2004 წლის 12 აგვისტოს გადარიცხა 8900 ლარი, 2004 წლის 18 ოქტომბერს - 9378 ლარი, 2004 წლის 7 დეკემბერს - 4340 ლარი, 2004 წლის 30 სექტემბერს - 17000 ლარი და 2005 წლის 4 მარტს - 16300 ლარი, სულ გადაირიცხა 55908 ლარი (დღგ-ს ჩათვლით).

განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, თ. ც-ძემ და ი. გ-შვილმა, რ. ჯ-ძესთან დანაშაულებრივი შეთანხმების თანახმად, გადაწყვიტეს, ხაშურის რაიონის სოფელ ... დაწყებითი სკოლის სამშენებლო სამუშაოების ჩატარებისას არასრულყოფილად შეესრულებინათ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, საბუღალტრო და ჩატარებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტები კი ეწარმოებინათ იმგვარად, რომ ეჩვენებინათ ნაკისრი ვალდებულების ვითომდა სრულად შესრულება, ხოლო შეუსრულებელი სამუშაოსათვის განკუთვნილი თანხა მიეთვისებინათ და ურთიერთშორის გაენაწილებინათ.

რ. ჯ-ძესთან შეთანხმებით, თ. ც-ძემ და ი. გ-შვილმა, 2004 წლის 23 ივლისიდან 2004 წლის 29 სექტემბრამდე პერიოდში ტექნიკისა და მუშების გამოყენებით ხაშურის რაიონის სოფელ ... დაწყებითი სკოლის მშენებლობისას ჩაატარეს ხელშეკრულებითა და დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ სამუშაოებზე ნაკლები სამუშაოები, ხოლო სამუშაოების დამთავრების შემდეგ, რ. ჯ-ძემ, არაერთგზის გამოიყენა რა სამსახურებრივი მდგომარეობა ბოროტად, საჯარო სამსახურის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, თავისთვის, თ. ც-ძისა და ი. გ-შვილისათვის გამორჩენის მიღების მიზნით, ისე, რომ განზრახ არ დაადგინა რეალურად შესრულებული სამუშაოს ოდენობა, მასთან გააფორმა შესრულებულ სამუშაოზე მიღება-ჩაბარების აქტი, რომ ვითომდა შესრულებული სამუშაოს

ხარჯთაღრიცხვა და სხვა დოკუმენტები შეესაბამებოდა დამტკიცებულ ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ 47439 ლარს (დღგ-ს გარეშე). ფაქტობრივად კი შესრულდა და გაიხარჯა 43310 ლარი (დღგ-ს გარეშე), რითაც დანაშაულებრივი განზრახვა სისრულეში მოიყვანეს და დარჩენილი, რ. ჯ-ძის მიერ გაფლანგული, სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 4129 ლარი (დღგ-ს გარეშე) არაერთგზის მითვისეს და ურთიერთშორის გაინაწილეს, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა და მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

2004 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, ხაშურის რაიონის გამგეობამ სხვადასხვა ობიექტთან ერთად ასევე დაგეგმა სახელმწიფო ბალანსზე რიცხული ხაშურის რაიონის სოფელ ... საშუალო სკოლის სარემონტო სამუშაოები.

2004 წლის 16 ივლისს რ. ჯ-ძესა და შპს „არქიტექტურის“ დირექტორ მ. მ-შვილს შორის დაიდო ხელშეკრულება #2 ხაშურის რაიონის სოფელ ... საშუალო სკოლის კაპიტალურად შეკეთების სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშების შედგენის თაობაზე.

შპს „არქიტექტურამ“ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და განსაზღვრა ხაშურის რაიონის სოფელ ... საშუალო სკოლის კაპიტალური რემონტის სამუშაოებზე ხარჯთაღრიცხვა, რომლის მიხედვითაც, შესასრულებელი იყო 88717 ლარის (დღგ-ს ჩათვლით) ღირებულების სამუშაოები. რ. ჯ-ძემ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, თავისთვის, შპს «პირამიდა - 2004-ის» დირექტორ თ. ც-ძისათვის გამორჩენისა და უპირატესობის მიღების მიზნით, კვლავ განიზრახა, წინასწარი შეთანხმებით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სახელმწიფოს კუთვნილი ფულადი თანხის დიდი ოდენობით არაერთგზის მითვისება და გაფლანგვა.

დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, მითითებული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შემდეგ, რ. ჯ-ძე დანაშაულებრივად დაუკავშირდა შპს „პირამიდა - 2004-ის“ დირექტორ თ. ც-ძეს, რომელსაც მიანიჭა უპირატესობა და მასთან 2004 წლის 11 აგვისტოს გააფორმა ხელშეკრულება (უნომრო) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

ხელშეკრულების შესაბამისად შპს „პირამიდა - 2004“ იღებდა ვალდებულებას 88700 (დღგ-ს ჩათვლით) ლარის ფარგლებში შეესრულებინა ხაშურის რაიონის სოფელ ... საშუალო სკოლის სარემონტო სამუშაოები ზემოაღნიშნული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

შეთანხმებისამებრ, ხაშურის რაიონის გამგეობამ შპს „პირამიდა - 2004-ის“ ანგარიშზე 2004 წლის 12 აგვისტოს გადარიცხა 39900 ლარი, 2004 წლის 17 სექტემბერს - 8000 ლარი, სულ გადაირიცხა 93131 ლარი.

განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, თ. ც-ძემ და ი. გ-შვილმა, რ. ჯ-ძესთან დანაშაულებრივი შეთანხმების თანახმად, გადაწყვიტეს ხაშურის რაიონის სოფელ ... საშუალო სკოლის კაპიტალური რემონტის სამუშაოების ჩატარებისას არასრულყოფილად შეესრულებინათ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, საბუღალტრო და ჩატარებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტები კი ეწარმოებინათ იმგვარად, რომ ეჩვენებინათ ნაკისრი ვალდებულების ვითომდა სრულად შესრულება, ხოლო შეუსრულებელი სამუშაოსათვის განკუთვნილი თანხა მიეთვისებინათ და ურთიერთშორის გაენაწილებინათ.

რ. ჯ-ძესთან შეთანხმებით, თ. ც-ძემ ტექნიკისა და მუშების გამოყენებით ხაშურის რაიონის სოფელ ... საშუალო სკოლის კაპიტალური რემონტისას ჩაატარა ხელშეკრულებითა და დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ სამუშაოებზე ნაკლები სამუშაოები, ხოლო სამუშაოების დამთავრების შემდეგ რ. ჯ-ძემ, გამოიყენა რა არაერთგზის სამსახურებრივი მდგომარეობა ბოროტად, საჯარო სამსახურის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, თავისთვის და თ. ც-ძისათვის გამორჩენის მიღების მიზნით, ისე, რომ განზრახ არ დაადგინა რეალურად შესრულებული სამუშაოს ოდენობა, მასთან გააფორმა შესრულებულ სამუშაოზე მიღება-ჩაბარების აქტი, რომ ვითომდა შესრულებული სამუშაოს ხარჯთაღრიცხვა და სხვა დოკუმენტები შეესაბამებოდა დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ 74611 ლარს (დღგ-ს გარეშე), ფაქტობრივად კი შესრულდა და გაიხარჯა 63977 ლარი (დღგ-ს გარეშე), ამით დანაშაულებრივი განზრახვა სისრულეში მოიყვანეს და დარჩენილი, რ. ჯ-ძის მიერ გაფლანგული, სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 10634 ლარის დიდი ოდენობის თანხა არაერთგზის მითვისეს და ურთიერთშორის გაინაწილეს, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა და მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

ხაშურის 2004 წლის ადგილობრივი ბიუჯეტით, სხვა ხარჯებთან ერთად, გათვალისწინებული იყო სახელმწიფო ბალანსზე რიცხული ხაშურის სტადიონ „ივერიის“ ტრიბუნების ჰიდროიზოლაცია და კეთილმოწყობა.

2004 წლის 17 ივლისს რ. ჯ-ძესა და შპს „არქიტექტურის“ დირექტორ მ. მ-შვილს შორის დაიდო ხელშეკრულება ხაშურის სტადიონ „ივერიის“ ტრიბუნების ჰიდროსაიზოლაციო და სარემონტო სამუშაოების საპროექტო-სადიეზო დოკუმენტაციის შედგენის თაობაზე.

შპს „არქიტექტურამ“ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და განსაზღვრა ხაშურის სტადიონ „ივერიის“ ტრიბუნების ჰიდროსაიზოლაციო და კეთილმოწყობის სამუშაოებზე ხარჯთაღრიცხვა, რომლის მიხედვითაც, სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 42140 ლარი.

რ. ჯ-ძემ, სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, თავისთვის გამორჩენისა და შპს „თბილისის წყალმომარაგების დისტანცია #2-ის“ დირექტორ ს. გ-ძისა და ამავე საზოგადოების საქმის მწარმოებელ ნ. გ-ძისათვის გამორჩენისა და უპირატესობის მიღების მიზნით, არაერთგზის განიზრახა,

წინასწარი შეთანხმებით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სახელმწიფოს კუთვნილი თანხის მითვისება და გაფლანგვა.

დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, მითითებული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შემდეგ, რ. ჯ-მე დანაშაულებრივად დაუკავშირდა ს. გ-მეს, რომელსაც მიანიჭა უპირატესობა და მასთან 2004 წლის 26 აგვისტოს გააფორმა ხელშეკრულება (უნომრო) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

ხელშეკრულების შესაბამისად, შპს „თბილისის წყალმომარაგების დისტანცია #2» იღებდა ვალდებულებას 42500 ლარის ფარგლებში შეესრულებინა ხაშურის სტადიონ „ივერიის» აღმოსავლეთ ტრიბუნის ჰიდროსაინჟინერიო და კეთილმოწყობითი სამუშაოები ზემოაღნიშნული ხარჯთაღრიცხვის საფასურად. ხელშეკრულებაში შესასრულებელი სამუშაოების ღირებულებას - 42140 ლარს დაემატა შპს „არქიტექტორზე» ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა - 360 ლარი და მთლიანად სტადიონ „ივერიის» სარემონტო სამუშაოების ღირებულებამ შეადგინა 42500 ლარი.

შეთანხმებისამებრ, ხაშურის რაიონულმა გამგეობამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის 50% - 21250 ლარი 2004 წლის 7 სექტემბერს გადარიცხა შპს „თბილისის წყალმომარაგების დისტანცია #2-ის» ანგარიშზე, ხოლო დარჩენილი 20890 ლარი კი - 2004 წლის 25 ნოემბერს.

განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, ს. გ-მემ და ნ. გ-მემ, რ. ჯ-მესთან დანაშაულებრივი შეთანხმების თანახმად, გადაწყვიტეს, სტადიონ „ივერიის» სამუშაოების ჩატარებისას არასრულყოფილად შეესრულებინათ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, საბუღალტრო და ჩატარებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტები ეწარმოებინათ იმგვარად, რომ ეჩვენებინათ ნაკისრი ვალდებულების ვითომდა სრულად შესრულება, ხოლო შეუსრულებელი სამუშაოსათვის განკუთვნილი თანხა მიეთვისებინათ და ურთიერთშორის გაენაწილებინათ.

რ. ჯ-მესთან შეთანხმებით, ს. გ-მემ და ნ. გ-მემ 2004 წლის 26 აგვისტოდან 2004 წლის 25 ნოემბრამდე პერიოდში ტექნიკისა და მუშების გამოყენებით ჩატარეს სტადიონ „ივერიის» ტრიბუნების ჰიდროსაინჟინერიო და კეთილმოწყობის ხელშეკრულებითა და დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ სამუშაოებზე ნაკლები სამუშაოები, ხოლო სამუშაოების დამთავრების შემდეგ, რ. ჯ-მემ, არაერთგზის გამოიყენა რა სამსახურებრივი მდგომარეობა ბოროტად, საჯარო სამსახურის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, თავისთვის, ს. გ-მისა და ნ. გ-მისათვის გამორჩენის მიღების მიზნით, ისე, რომ განზრახ არ დაადგინა რეალურად შესრულებული სამუშაოს ოდენობა, მასთან გააფორმა შესრულებულ სამუშაოზე მიღება-ჩაბარების აქტი, რომ ვითომდა შესრულებული სამუშაოს ხარჯთაღრიცხვა და სხვა დოკუმენტები შეესაბამებოდა დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ 35116 ლარს (დღგ-ს გარეშე), ფაქტობრივად კი შეასრულეს და გახარჯეს 27242 ლარი (დღგ-ს გარეშე), რითაც დანაშაულებრივი განზრახვა სისრულეში მოიყვანეს და დარჩენილი, რ. ჯ-მის მიერ გაფლანგული, სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 7874 ლარი არაერთგზის მითვისეს და ურთიერთშორის გაინაწილეს, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა და მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

2004 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, ხაშურის რაიონულმა გამგეობამ სხვადასხვა ობიექტთან ერთად ასევე დაგეგმა სახელმწიფო ბალანსზე რიცხული ხაშურის რაიონის დაბა სურამის კულტურის სახლის სარემონტო სამუშაოები.

რ. ჯ-მესა და შპს „არქიტექტურის» დირექტორ მ. მ-შვილს შორის დაიდო ხელშეკრულება ხაშურის რაიონის დაბა სურამის კულტურის სახლის კაპიტალური რემონტის სამუშაოებზე ხარჯთაღრიცხვის შედგენის თაობაზე, რომლის მიხედვითაც, შესასრულებელი იყო 26252 ლარის (დღგ-ს) ჩათვლით ღირებულების სამუშაოები. რ. ჯ-მემ შპს „პირამიდა - 2004-ის» დირექტორ თ. ც-მისათვის გამორჩენისა და უპირატესობის მიღების მიზნით, კვლავ განიზრახა, წინასწარი შეთანხმებით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სახელმწიფოს კუთვნილი ფულადი თანხის არაერთგზის მითვისება და გაფლანგვა.

დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, მითითებული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შემდეგ, რ. ჯ-მე დანაშაულებრივად დაუკავშირდა შპს «პირამიდა - 2004-ის» დირექტორ თ. ც-მეს, რომელსაც მიანიჭა უპირატესობა და მასთან 2004 წლის 3 სექტემბერს გააფორმა ხელშეკრულება (უნომრო) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ. ხელშეკრულების შესაბამისად, შპს „პირამიდა - 2004» იღებდა ვალდებულებას 25 000 ლარის ფარგლებში შეესრულებინა ხაშურის რაიონის დაბა სურამის კულტურის სახლის სარემონტო სამუშაოები ზემოაღნიშნული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

შეთანხმებისამებრ, ხაშურის რაიონულმა გამგეობამ შპს „პირამიდა 2004-ის» ანგარიშზე 2004 წლის 29 ნოემბერს გადარიცხა 8750 ლარი, ხოლო 2004 წლის 7 დეკემბერს - 15876 ლარი, სულ გადარიცხა 24626 ლარი.

განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, თ. ც-მემ რ. ჯ-მესთან დანაშაულებრივი შეთანხმების თანახმად, გადაწყვიტა ხაშურის რაიონის დაბა სურამის კულტურის სახლის კაპიტალური რემონტის სამუშაოების ჩატარებისას არასრულყოფილად შეესრულებინათ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, საბუღალტრო და ჩატარებული სამუშაოების დამადასტურებელი დოკუმენტები კი ეწარმოებინათ იმგვარად, რომ ეჩვენებინათ ნაკისრი ვალდებულების ვითომდა სრულად შესრულება, ხოლო შეუსრულებელი სამუშაოსათვის განკუთვნილი თანხა მიეთვისებინათ და ურთიერთშორის გაენაწილებინათ.

რ. ჯ-მესთან შეთანხმებით, თ. ც-მემ ტექნიკისა და მუშების გამოყენებით, ხაშურის რაიონის დაბა სურამის კულტურის სახლის კაპიტალური რემონტისას ჩაატარეს გათვალისწინებულ სამუშაოებზე ნაკლები სამუშაოები, ხოლო სამუშაოების დამთავრების შემდეგ, რ. ჯ-მემ, გამოიყენა რა არაერთგზის სამსახურებრივი მდგომარეობა ბოროტად, საჯარო სამსახურის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, თავისთვის და თ. ც-მისათვის გამორჩენის მიღების მიზნით, ისე, რომ განზრახ არ დაადგინა რეალურად შესრულებული სამუშაოს ოდენობა, მასთან გააფორმა შესრულებულ სამუშაოზე მიღება-ჩაბარების აქტი, რომ ვითომდა შესრულებული სამუშაოს ხარჯთაღრიცხვა და სხვა დოკუმენტები შეესაბამებოდა დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ 20521 ლარს (დღგ-ს გარეშე). ფაქტობრივად კი შესრულდა და გაიხარჯა 18745 ლარი (დღგ-ს გარეშე), ამით დანაშაულებრივი განზრახვა სისრულეში მოიყვანეს და დარჩენილი, რ. ჯ-მის მიერ გაფლანგული, სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 1776 ლარი არაერთგზის მითვისეს და ურთიერთშორის გაინაწილეს, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა და მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

2004 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, ხაშურის რაიონულმა გამგეობამ სხვადასხვა ობიექტთან ერთად ასევე დაგეგმა სახელმწიფო ბალანსზე რიცხული ხაშურის სანიტარული ზედამხედველობის სამსახურის შენობის სარემონტო სამუშაოები.

რ. ჯ-მესა და შპს „არქიტექტურის“ დირექტორ მ. მ-შვილს შორის დაიდო ხელშეკრულება ხაშურის სანიტარული ზედამხედველობის სამსახურის შენობის კაპიტალური რემონტის სამუშაოებზე ხარჯთაღრიცხვის შედგენის თაობაზე, რომლის მიხედვითაც, შესასრულებელი იყო 12 000 ლარის ღირებულების სამუშაოები.

რ. ჯ-მემ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, თავისთვის გამორჩენის და თ. ც-მისათვის გამორჩენისა და უპირატესობის მიღების მიზნით, კვლავ განიზრახა, წინასწარი შეთანხმებით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სახელმწიფოს კუთვნილი ფულადი თანხის არაერთგზის მითვისება და გაფლანგვა.

დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, მითითებული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შემდეგ, რ. ჯ-მე დანაშაულებრივად დაუკავშირდა თ. ც-მეს, რომელსაც მიანიჭა უპირატესობა და მასთან 2004 წლის 3 სექტემბერს გააფორმა ხელშეკრულება (უნომრო) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

ხელშეკრულების შესაბამისად, შპს „პირამიდა - 2004“ იღებდა ვალდებულებას 12 000 ლარის ფარგლებში შეესრულებინა ხაშურის სანიტარული ზედამხედველობის სამსახურის შენობის სარემონტო სამუშაოები ზემოაღნიშნული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

შეთანხმებისამებრ, ხაშურის რაიონულმა გამგეობამ შპს „პირამიდა 2004-ის“ ანგარიშზე 2004 წლის 28 ოქტომბერს გადარიცხა 4200 ლარი, ხოლო 2004 წლის 7 დეკემბერს - 7612 ლარი, სულ გადარიცხა 11812 ლარი.

განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, თ. ც-მემ რ. ჯ-მესთან დანაშაულებრივი შეთანხმების თანახმად, გადაწყვიტა ხაშურის სანიტარული ზედამხედველობის სამსახურის კაპიტალური რემონტის სამუშაოების ჩატარებისას არასრულყოფილად შეესრულებინათ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, საბუღალტრო და ჩატარებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტები კი ეწარმოებინათ იმგვარად, რომ ეჩვენებინათ ნაკისრი ვალდებულების ვითომდა სრულად შესრულება, ხოლო შეუსრულებელი სამუშაოსათვის განკუთვნილი თანხა მიეთვისებინათ და ურთიერთშორის გაენაწილებინათ.

რ. ჯ-მესთან შეთანხმებით, თ. ც-მემ ტექნიკისა და მუშების გამოყენებით, ხაშურის სანიტარული ზედამხედველობის სამსახურის შენობის კაპიტალური რემონტისას ჩაატარა ხელშეკრულებითა და დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ სამუშაოებზე ნაკლები სამუშაოები, ხოლო სამუშაოების დამთავრების შემდეგ, რ. ჯ-მემ, არაერთგზის გამოიყენა რა სამსახურებრივი მდგომარეობა ბოროტად, საჯარო სამსახურის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, თავისთვის და თ. ც-მისათვის გამორჩენის მიღების მიზნით, ისე, რომ განზრახ არ დაადგინა რეალურად შესრულებული სამუშაოს ოდენობა, მასთან გააფორმა შესრულებულ სამუშაოზე მიღება-ჩაბარების აქტი, რომ ვითომდა შესრულებული სამუშაოს ხარჯთაღრიცხვა და სხვა დოკუმენტები შეესაბამებოდა დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ 9843 ლარს (დღგ-ს გარეშე), ფაქტობრივად კი შესრულდა და გაიხარჯა 9578 ლარი (დღგ-ს გარეშე), რითაც დანაშაულებრივი განზრახვა სისრულეში მოიყვანეს და დარჩენილი, რ. ჯ-მის მიერ გაფლანგული, სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 265 ლარი არაერთგზის მითვისეს და ურთიერთშორის გაინაწილეს, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა და მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

2004 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, ხაშურის რაიონულმა გამგეობამ მიერ სხვადასხვა ობიექტთან ერთად, ასევე დაგეგმა სახელმწიფო ბალანსზე რიცხული ხაშურის სამშობიარო სახლის სარემონტო სამუშაოები.

შპს „არქიტექტურამ“ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და განსაზღვრა ხაშურის სამშობიარო სახლის კარემონტის სამუშაოებზე ხარჯთაღრიცხვა, რომლის მიხედვითაც, შესასრულებელი იყო 7290 ლარის ღირებულების სამუშაოები.

რ. ჯ-მემ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, თავისთვის გამორჩენის, ასევე შპს „პირამიდა-2004-ის“ დირექტორ თ. ც-მისათვის გამორჩენისა და უპირატესობის მიღების მიზნით, კვლავ განიზრახა წინასწარი შეთანხმებით, სახელმწიფოს კუთვნილი ფულადი თანხის არაერთგზის მითვისება და გაფლანგვა.

დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, მითითებული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შემდეგ, რ. ჯ-მე დანაშაულებრივად დაუკავშირდა შპს „პირამიდა-2004-ის« დირექტორ თ. ც-მეს, რომელსაც მიანიჭა უპირატესობა და მასთან 2004 წლის 3 სექტემბერს გააფორმა ხელშეკრულება (უნომრო) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

ხელშეკრულების შესაბამისად, შპს „პირამიდა-2004« იღებდა ვალდებულებას 7500 ლარის ფარგლებში შეესრულებინა ხაშურის სამშობიარო სახლის სარემონტო სამუშაოები ზემოაღნიშნული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად. შეთანხმებისამებრ, ხაშურის რაიონულმა გამგეობამ შპს „პირამიდა 2004-ის« ანგარიშზე 2004 წლის 28 ოქტომბერს გადარიცხა 2625 ლარი, ხოლო 2005 წლის 18 მაისს კი - 4500 ლარი, სულ გადაირიცხა 7125 ლარი.

განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, თ. ც-მემ და ი. გ-შილმა, რ. ჯ-მესთან დანაშაულებრივად შეთანხმების თანახმად, გადაწყვიტეს ხაშურის სამშობიარო სახლის სარემონტო სამუშაოების ჩატარებისას არასრულყოფილად შეესრულებინათ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, საბუღალტრო და ჩატარებული სამუშაოს დამადასტურებელი დოკუმენტები კი ეწარმოებინათ იმგვარად, რომ ეჩვენებინათ ნაკისრი ვალდებულების ვითომდა სრულად შესრულება, ხოლო შეუსრულებელი სამუშაოსათვის განკუთვნილი თანხა მიეთვისებინათ და ურთიერთშორის გაენაწილებინათ.

რ. ჯ-მესთან შეთანხმებით, თ. ც-მემ ტექნიკისა და მუშების გამოყენებით ხაშურის სამშობიარო სახლის კაპიტალური რემონტისას ჩაატარა ხელშეკრულებით და დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ სამუშაოებზე ნაკლები სამუშაოები, ხოლო სამუშაოების დამთავრების შემდეგ რ. ჯ-მემ, არაერთგზის გამოიყენა რა სამსახურებრივი მდგომარეობა ბოროტად, საჯარო სამსახურის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, თავისთვის და თ. ც-მისათვის გამორჩენის მიღების მიზნით, ისე, რომ განზრახ არ დაადგინა რეალურად შესრულებული სამუშაოს ოდენობა, მასთან გააფორმა შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტი, რომ ვითომდა შესრულებული სამუშაოს ხარჯთაღრიცხვა და სხვა დოკუმენტები შეესაბამებოდა დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ 7534 ლარს (დღგ-ს გარეშე), ფაქტობრივად კი შესრულდა და გაიხარჯა 5816 ლარი (დღგ-ს გარეშე), რითაც დანაშაულებრივი განზრახვა სისრულეში მოიყვანეს და დარჩენილი, რ. ჯ-მის მიერ გაფლანგული სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 1718 ლარი არაერთგზის მიითვისეს და ურთიერთშორის გაინაწილეს, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა და მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

2004 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის შესაბამისად, ხაშურის რაიონულმა გამგეობამ სხვადასხვა ობიექტთან ერთად, ასევე დაგეგმა სახელმწიფო ბალანსზე რიცხული ხაშურის რაიონის ბავშვთა პოლიკლინიკის შენობის სარემონტო სამუშაოები.

2004 წლის 3 სექტემბერს რ. ჯ-მესა და შპს „არქიტექტურის« დირექტორ მ. მ-შილს შორის დაიდო ხელშეკრულება #15 ხაშურის რაიონის ბავშვთა პოლიკლინიკის შენობის კაპიტალური შეკეთების სამუშაოების სახარჯთაღრიცხვო გაანგარიშების შედეგის თაობაზე.

შპს „არქიტექტურამ« შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და განსაზღვრა ხაშურის რაიონის ბავშვთა პოლიკლინიკის შენობის კაპიტალური რემონტის სამუშაოებზე ხარჯთაღრიცხვა, რომლის მიხედვითაც, შესასრულებელი იყო 5361 ლარის ღირებულების სამუშაოები.

რ. ჯ-მემ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, თავისთვის გამორჩენის, შპს „პირამიდა-2004-ის« დირექტორს თ. ც-მისათვის გამორჩენისა და უპირატესობის მიღების მიზნით, კვლავ განზრახა წინასწარი შეთანხმებით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, სახელმწიფოს კუთვნილი ფულადი თანხის არაერთგზის მიითვისება და გაფლანგვა.

დანაშაულის ჩადენის გაადვილების მიზნით, მითითებული ხარჯთაღრიცხვის დამტკიცების შემდეგ რ. ჯ-მე დანაშაულებრივად დაუკავშირდა თ. ც-მეს და მასთან 2004 წლის 3 სექტემბერს გააფორმა ხელშეკრულება (უნომრო) სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

ხელშეკრულების თანახმად, შპს „პირამიდა-2004« იღებდა ვალდებულებას 5500 ლარის ფარგლებში შეესრულებინა ხაშურის რაიონის ბავშვთა პოლიკლინიკის შენობის სარემონტო სამუშაოები ზემოაღნიშნული ხარჯთაღრიცხვის შესაბამისად.

რ. ჯ-მესთან შეთანხმებით თ. ც-მემ ტექნიკისა და მუშების გამოყენებით ხაშურის ბავშვთა პოლიკლინიკის შენობის კაპიტალური რემონტისას ჩაატარა ხელშეკრულებითა და დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ სამუშაოებზე ნაკლები სამუშაოები, ხოლო სამუშაოების დამთავრების შემდეგ რ. ჯ-მემ, გამოიყენა რა არაერთგზის სამსახურებრივი მდგომარეობა ბოროტად, საჯარო სამსახურის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, თავისთვის და თ. ც-მისათვის გამორჩენის მიღების მიზნით, ისე, რომ განზრახ არ დაადგინა რეალურად შესრულებული სამუშაოს ოდენობა, მასთან გააფორმა შესრულებულ სამუშაოზე მიღება-ჩაბარების აქტი, რომ ვითომდა შესრულებული სამუშაოს ხარჯთაღრიცხვა და სხვა დოკუმენტები შეესაბამებოდა დამტკიცებული ხარჯთაღრიცხვით გათვალისწინებულ 1917 ლარს (დღგ-ს გარეშე). ფაქტობრივად კი შესრულდა და გაიხარჯა 1609 ლარი (დღგ-ს გარეშე), რითაც დანაშაულებრივი განზრახვა სისრულეში მოიყვანეს და დარჩენილი, რ. ჯ-მის მიერ გაფლანგული, სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი 308 ლარი არაერთგზის მიითვისეს და ურთიერთშორის გაინაწილეს, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა და მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

რ. ჯ-მემ სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, საჯარო მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, თ. ც-მესთან, თ. გ-მესთან, ი. გ-შილთან, ს. გ-მესა და ნ. გ-მესთან წინასწარი

შეთანხმებით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით არაერთგზის მიითვისა, გაფლანგა და ურთიერთშორის გაინაწილეს სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი, დიდი ოდენობის თანხა - 50320 ლარი, რამაც სახელმწიფოს კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა და მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

საბოლოოდ, ხაშურის რაიონულმა სასამართლომ რ. ჯ-ძეს საბრალდებო დასკვნით წარდგენილი ცხრა ეპიზოდებიდან მსჯავრი დასდო მხოლოდ ოთხ ეპიზოდში, კერძოდ, ხაშურის გამგეობის ადმინისტრაციული შენობის გადახურვაზე, სოფელ ... სკოლის შეკეთებაზე, სოფელ ... სკოლის შეკეთება და ხაშურის ცენტრალურ ნაწილში სხვადასხვა სამუშაოზე სამსახურებრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებით, არაერთგზის, დანაშაულებრივი ჯგუფის წევრ თ. ც-ძესთან წინასწარი შეთანხმებით, სახელმწიფოს კუთვნილი, დიდი ოდენობის თანხის - 42446 ლარის მითვისება - გაფლანგვაში. დანარჩენ ეპიზოდებში, თ. გ-ძესთან, ს. გ-ძესთან, ნ. გ-ძესა და ასევე დანარჩენ ეპიზოდებში, თ. გ-ძესთან, ს. გ-ძესთან, ნ. გ-ძესთან და ი. გ-შვილთან ერთად წინასწარი შეთანხმებით დანაშაულის ჩადენა ჯ-ძეს ბრალდებიდან ამოერიცხა.

განაჩენი სააპელაციო წესით გაასაჩივრეს შიდა ქართლის საოლქო პროკურატურის განყოფილების პროკურორმა მორის ჩუბინიძემ, მსჯავრდებულმა რ. ჯ-ძემ და მისმა ინტერესების დამცველმა, ადვოკატმა გ. ო-ანმა.

აპელანტი მორის ჩუბინიძე სააპელაციო საჩივრით ითხოვდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანას, კერძოდ: მსჯავრდებულ რ. ჯ-ძის დამნაშავედ ცნობას საბრალდებო დასკვნით წარდგენილ ყველა ბრალდების ეპიზოდში და მისთვის 10 წლით თავისუფლების აღკვეთის განსაზღვრას, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ სახელმწიფოსათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების მიზნით, 33245 ლარის დაკისრებას. აპელანტს ხაშურის რაიონული სასამართლოს განაჩენი მიაჩნდა ლმობიერად და თვლიდა, რომ იგი არ გამოდინარეობდა რ. ჯ-ძის მიერ ჩადენილი დანაშაულის სიმძიმედან.

აპელანტი რ. ჯ-ძე სააპელაციო საჩივრით ითხოვდა პირველი ინსტანციის სასამართლოს განაჩენის გაუქმებას და მის მიმართ გამამართლებელი განაჩენის დადგენას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 29 ივნისის განაჩენით ნაწილობრივ დაკმაყოფილდა რ. ჯ-ძის სააპელაციო საჩივარი, კერძოდ: განაჩენის სარეზოლუციო ნაწილიდან ამოერიცხა მითითება ზიანის ანაზღაურების შესახებ, სამოქალაქო სარჩელის არარსებობის გამო. სხვა ნაწილში ხაშურის რაიონული სასამართლოს განაჩენი დარჩა უცვლელად. მსჯავრდებულ რ. ჯ-ძის ინტერესების დამცველი ადვოკატები - ნ. კ-ია და გ. ო-ანი საკასაციო საჩივრით ითხოვენ განაჩენის გაუქმებასა და რ. ჯ-ძის მიმართ საქმის შეწყვეტას.

სამოტივაციო ნაწილი:

პალატამ შეისწავლა საქმის მასალები, გააანალიზა წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს ცვლილება შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა თვლის, რომ უსაფუძვლოა საჩივრის მტკიცება იმის შესახებ, რომ რ. ჯ-ძეს არ ჩაუდენია მასზე ბრალად შერაცხული დანაშაულებრივი ქმედებები.

საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, კერძოდ, მოწმე თ. ც-ძის ჩვენებით, საინჟინრო-ტექნიკური ექსპერტიზის დასკვნითა და საქმეში არსებული სხვა მასალებით რ. ჯ-ძის მიერ მასზე ბრალად შერაცხული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენა დადასტურებულია.

რაც შეეხება აღნიშნულ ქმედებათა სამართლებრივ კვალიფიკაციასა და სასჯელს, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მსჯავრდებულ რ. ჯ-ძეს შერაცხული ბრალდების კვალიფიკაციიდან უნდა ამოერიცხოს საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტი, როგორც ზედმეტად წარდგენილი, ვინაიდან მსჯავრდებულ რ. ჯ-ძეს აღნიშნულ მუხლებთან ერთად მსჯავრი დაედო ასევე იმაში, რომ მან ჩადინა არაერთგზის, დიდი ოდენობით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მის მართლობიერ მფლობელობასა და გამგებლობაში მყოფი სხვისი მოძრავი ნივთის წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ მართლსაწინააღმდეგო მითვისება-გაფლანგვა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია, დანაშაული, გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის «ა», «ბ», «გ», «დ» ქვეპუნქტებითა და მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იმ შემთხვევაში, თუ პირის ქმედებაში სისხლის სამართლის კოდექსის ზოგადი ნორმით გათვალისწინებულ შემადგენლობასთან ერთად არსებობს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის სპეციალური ნორმით გათვალისწინებული შემადგენლობაც, რომლითაც დაწესებულია პასუხისმგებლობა იმავე დანაშაულებრივი ქმედებისათვის, რომელსაც ასევე მოიცავს ზოგადი ნორმის შემადგენლობა, მაშინ აღნიშნული ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ სპეციალური ნორმით. ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში საქართველოს სსკ-ის 182-ე მუხლის მეორე ნაწილის «დ» ქვეპუნქტი მაკვალიფიცირებელ გარემოებად ითვალისწინებს აღნიშნული დანაშაულის ჩადენას სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, იგი დამატებით, ზოგადი ნორმით - 332-ე მუხლის მესამე ნაწილის «ა» ქვეპუნქტით კვალიფიკაციას აღარ საჭიროებს, რის გამოც გასაჩივრებულ განაჩენში უნდა შევიდეს შესაბამისი ცვლილება მსჯავრდებულ რ. ჯ-ძის სასიკეთოდ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რ. ჯ-მეს ასევე უნდა მოეხსნას საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით დანიშნული სასჯელი და მას საბოლოო სასჯელის ზომად უნდა განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

საკასაციო პალატა თვლის, რომ საქმეში არ მოიპოვება სისხლის სამართლის საპროცესო კანონის ისეთი არსებითი ხასიათის დარღვევა, რაც საფუძვლად დაედება განაჩენის გაუქმებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს სსსკ-ის 561-ე მუხლის პირველი ნაწილის «ა», «დ» ქვეპუნქტებით, 568-ე მუხლით და

და ა ა დ გ ი ნ ა:

საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატის 2007 წლის 29 ივნისის განაჩენში შევიდეს შემდეგი ცვლილება:

მსჯავრდებულ რ. ჯ-მეს ამოერიცხოს საქართველოს სსკ-ის 332-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტი, როგორც ზედმეტად შერაცხული.

რ. ჯ-მეს საბოლოო სასჯელის ზომად განესაზღვროს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა.

განაჩენი სხვა ნაწილში დარჩეს უცვლელად.

განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.